...ამოგდებდა დამწყდარი მიწის ნაჭრებიდან
და ყვავილებად წამოიზრდებოდა ოვნი დამცველი

ნანა

..ადამიანის სულ ორი გასაღები აქვს-ბავშვობა და სიყვარული... გამორჩეული, ამ ორიდან რომელი ო

ოლიერია.... ამოიღომასაა ამ ბრძოლებში ორივეისაკენ სიფაა...

ნანო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა შაინიძე

ჩემი ავან - სცე - ნა

თბილისი
2019

UDC (უდკ) 016:929(479.22)
ფ - 96

ავტორი: ნანა შაინიძე
რედაქტორი: ნონა გიგინეიშვილი
კომპიუტერული მომსახურება: გიგი გელაშვილი
გარეკანის დიზაინერი: როსტომ ცინცაძე (RO-CIN)

ISBN 978-9941-9652-3-4
© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
© ნანა შაინიძე

არც გაშლილი ატმის ყვავილებიდან დავბადებულვარ და არც დამსკდარი ბროწეულის სიხასხასე დამყოლია იმთავითვე...

1975 წლის 16 ოქტომბერს დავიბადე... ღვინობისთვეს. ალბათ ამიტომაც დამსდევს მუდმივ თანამგზავად ბადაგისეული, არეული ხილვებიცა და მათრობელობაც: მიყუჩებაცა და სიშლეგეც... არადა თითქმის ჩვეულებრივი ნაწნავებიანი გოგონა ვყოფილვარ.ოღონდ ცოტა ფართოდ მქონდა გახელილი თვალები ვიდრე სხვებს და ცოტა უფრო სხვანაირად ვხედავდი ვიდრე სხვები... ისინი ხედავდნენ, რომ დგას უძრავი ხე, ან არადა მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს, ან ჰყვავის და ის – ისაა კოკრები გამოაქვს. მე კი ვხედავდი , რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიალებდა ყუნწებში უღიტინებდა და ფოთლები ხტოდნენ, ხითხითებდნენ, ლამის გულები უსკდებოდათ. ხე უბრალოდ კი არ ჰყვაოდა, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებდა, თვალებს იფშვნეტდა, იზმორებოდა და – ტკაც! ღიმილით უბ-რწყინდებოდა სახე. თვალდახუჭულიც ვხედავდი, სხვებთან შედარებით ! შენ სულ ასე უცნაურად გეჩვენება ყველაფერიო და არ დამიჯერებდნენ. ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაიმე გჯერა და სხვები არ გიჯერებენ....

ხულო, სოფელი რაქვთაა ჩემი ადგილის დედა და ფესვებიდანვე მომყვება სხალთისმიერი მორჩილება და მოკრძალებულობა;

სარეკელას ჭალის სინოყივე; ალიკარის ჩანჩქერის შხეფებში ცისარტყელას წამიერი გაელვება; დიდიეილას, სამსმელოსა და თეთრობის მთების ღრუბლებისაკენ სწრაფვის სურვილი; ხიხანის ციხის სიგოროზე და სიამაყე; ცივტბის იდუმალება. აკი თავიდანვე ვთქვი ღვინობისთვიდან გამომყვა - მეთქი ბადაგისეული ხილვები...

ოჯახის ნებიერი, ნაბოლარა, მერვე შვილი ვიყავი და ეს იყო ყველაზე ბედნიერი ხანა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა განა მეტწილად ასე არ ხდება ადამიანებში?! ახლაც თვალწინ მიდგას ზამთრისპირის ლბილი, ლბილი ბინდი... მამა ღონივრად მიაბიჯებს, თან ღიღინებს და რომ უფრო ღონივრად გაებიჯებინა კისერზე შემისვა. დედა ცდილობდა არ ჩამოგვრჩენოდა, მარცხენა მკლავზე ეხუტებოდა მამას, დაბლიდან შემოგვხაროდა და მისი კარგი, კეთილი თვალები ახლა უკვე თმაში გაბნეულ ფიფქებშორის ბრწყინავდა.ნეტა რა იყო ასე მტკიცე მაშინ–

მამაჩემის მხრები თუ თვითონ დედამიწა?!

მერ, მერე 15 წლის მოვეკიდე ოჯახს. მიყვარდა...მიყვარდა, როგორც უყვართ ხოლმე ჩემნაირებს. გაზაფხულიანი ხასხასა ჭალები, თოვლის ფიფქებიც, სევდიანი მთაც, ის შეჭაღარავებული ტყე, მუხის ნაჭრილობევში ამოსული მთელი ბღუჯა იაცა და ჩიტი სკვინჩას მოძახილი – „სკვინჩ, სკვინჩო» სულ ჩემად მეგულებოდა. უჩვეულოდ ლამაზად მეჩვენებოდა ყველაფერი... დედა გავხდი...

ზეცაში წაიყვანეს ჩემი გიორგი ანგელოზებმა და აქ, დედამიწაზე გააუდაბნოა ჩემთვის ყველაფერი არსთა გამრიგემ. არ იკმარა განსაცდელმა ჩემი ცრემლი, ჯერ აფხაზეთის ომმა და შემდეგ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მეუღლე...

ისევ ცრემლი, ისევ ძაძები, ისევ სიმარტოვე, მაგრამ ამჯერად ბედნიერების ნამსხვრევი გამოიმეტა გამჩენმა–ჩემი ორი მარგალიტი, ჩემი ქალ–ვაჟი... და ჩემს მიერ გამოვლილ უღიმღამო დღეების ფონზე, მხოლოდ ისინი ბრწყინავენ, როგორც ღამეულ უდაბნოში ჩარჩენილი ბროლის ნამსხვრევები.

...შემდეგ გამოჩნდა ისიც... და ახლა ვცხოვრობ განუზომელი, უსაზღვრო, უანგარო სიყვარულით!..

სიცოცხლე გრძელდება. იმედიც ბჟუტავს, ადამიანი ცოცოხალია მანამ, სანამ მასში ანთია აღთქმული ბედნიერების იმედი და მეც მჯერა, რომ მხოლოდ უდიდესი განცდებითაა შესაძლებელი ბედნიერების ნაპირებთან მიახლოვება. ბოლოსდა-ბოლოს, მწერლობაც ხომ განცდები და ამ განცდების მახსოვრობაა... მეც მუდამ მემახსოვრება ჩემს მიერ განვლილი ყოველი გაბრწყინებული თუ ნარ-ეკლიანი ბილიკიც, სადაც ყოველი წაფორხილებისას დავტოვე ჩემი სულის პაწაწინა ნამსხვრევი. ყოველთვის განცდებით ვიცხოვრებ და თუ სადმე სიმძაფრე ჩამომრჩა, ეს იქნება ჩემი სულის გარდაცვალება. სულისა, რომელიც ჩემს სტრიქონებში გააგრძელებენ სიცოცხლეს, ასე რუდუნებით რომ გამომყავს შავით თეთრზე და ნაღვედალივით ვუბერავ სულს, რომ არ განელდეს და გამიცივდეს...

აკი ვამბობდი-ცოტათი სხვანაირად ვხედავ-მეთქი ყველაფერს და ბადაგისეული ხილვები დამყოლია ღვბინობისთვიდან...

...ეს მაშინ!

ამდენ ქარტეხილებს გადარჩენილი, ისევ არ დამინდო ბედმა და შემმოსა შავით...

...მეორე მეუღლეც წამართვა...

ახლა კი ვდგავარ, უამრავთა ფეხით გათელილ ცხოვრების ქვაფენილზე-მარტოდ, უმისამართოდ...მისგან, მისით თავნაპოვნი და თავდაკარგულიც!..

და ვსუნთქავ მხოლოდ მასზედ სანთლებად ანთებული სიყვრულითა და ლამაზი მოგონობებით-ჩვენი,, საგა»რომ ქვია... და კიდევ ჯერვერნაპატიები დედობის და სისხლის ყივილის იმედად..

***

...ადამიანში ბავშვობა არასოდეს კვდება, მას ღრმა ძილით ძინავს ჩვენში და გვეშინია ისეთ დროს არ გაეღვიძოს, გაუკუღმართებული დიდობის არ შეგვრცხვეს...

ჰო, ამიტომაც დავდივართ ფეხაკრეფით და ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე გავეცალოთ მას...

მაგრამ, ის ხომ არ მომკვდარა, მხოლოდ დროებით ჩაეძინა და რაღაც დროში აუცილებლად გამოიღძებს!..

მას სუფთა თვალები და სინდისის ფერი აქვს...

-ასე ამიტომაც გვეშინია ალბათ, მისი გამოღვიძების...

..ჰო...

...ჰო,მე მთებში დავიბადე, და მაშინ როცა სხვისი დედები საკვებს მთელი ამბით და კაპრიზით ურჩევდნენ შვილებს, დედაჩემი ინგრედიენტზე გაცილებით ბევრ წყალს ასხამდა ქვაბში, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახი გამოეკვება...

ყველაზე ბოლოს ჯდებოდა სუფრასთან, ან საერთოდ არ ჯდებოდა, რომ ქმარ-შვილი კარგად დანაყრებული ყოლოდა...

ჰო,მე მთებში დავიბადე - მერვე შვილად (სიბერის ჯოხად, როგორც მამა იტყოდა)... არასოდეს მივლია ბაღში და სკოლამდე, დათვლაც არ ვიცოდი ალბათ (არ მახსოვს), ენაც მოჩლექილი მქონია კარგა ხანობა. ჩვეულებრივ ვცხოვრობდით,

უჩვეულო ისღა იყო, რომ სხვა მამებისგან განსხვავებით (იმ დროისთვის მამისა და პაპის უფლებები, მეფის უფლებებს უტოლდებოდა მაღალმთიან აჭარაში) მამაჩემი ძალიან მეგობრული იყო, მეტიც, სხვების თქმით,ზედმეტადაც მანებივრებდა - თურმე...

ჰო, ბაღი არ მქონია და სკოლაშიც შეძლებისდაგვარად ვსწავლობდი (კარგი მოსწავლე იყავიო, მითხრა ამასწინებზე ჩემმა მასწავლებელმა)... ორი უცხოენიდან (რუსული, გერმანული) ვერცერთი ვერ ავითვისე სათანადოდ... სამაგიეროდ ჩემი მერხის ამხანაგი, ეთერ შაინიძე სწავლობდა გერმანულს გასაკვირი და შესაშური ნიჭიერებით. (ახლა მათემატიკოსია და სკოლაში ასწავლის).

ჰო, არც ერთი ენა არ ვიცოდი, ქართულისა და ჩიტების ენის გარდა, რადგან აკი გითხარით, მთებში დავიბადე-მეთქი და მის მდიდარ ბუნებაში უამრავი ფრინველი იყო, რომლებთანაც თავს ძალიან ახლოს და კარგად ვგრძნობდი...

საერთოდ, ბავშვობიდან მეოცნებე ვიყავი და ვერც ერთს ვერ მივწვდი, ისე მაღალი იყო ჩემი ოცნებები...

ვერ მოვიხმარე სათანადოდ ის დრო, რომელსაც მოზარდის განვითარებისა და აღზრდის დრო ქვია...მრავალრიცხოვანი ოჯახი ვახსენე ზემოთ და დისშვილ-ძმისშვილების თანატოლი თითქმის, მათი ძიძაც უნდა ვყოფილიყავი... თუმცა სკოლის ბიბლიოთეკაში გამოწერილ წიგნთა შორის ყველაზე მეტი ჩემი იყო, ძალიან მიყვარდა კლასგარეშეს კითხვა, ერთხელ კიდევაც მისაყვედურა ომარ მასწავლებელმა - ისე რომ გაკვეთილს სწავლობდე, როგორც წიგნებს კითხულობ, ტოლი არ გეყოლებაო!!!

...მე კი არავის ვეტოლებოდი, უბრალო, სოფლელი გოგო ვიყავი, ჩემი ცისხელა ოცნებებით, ჩემი ოჯახისშვილობითა და დედმამიშვილობით.

...ჩემი სამყარო უზარმაზარი კლდის ქარაფებიდან დაშვებული ჩანჩქერით იწყებოდა და ჩემივე სოფლის ბოლოშივე მთავრდებოდა და ისეთი პირველყოფილი სისპეტაკით ილექებოდა ჩემს ცნობიერებაში, დღემდე მისი სისუფთავე ვერაფერმა შერყვნა და გააუგემურა.

...ბავშვობა ადრე წამართვეს, 15 წლისას და მეც რომ არ ჩამოვრჩენოდი ცხოვრებას, დედამთილმა სხვის თვალში დასანახად „ღამის კლასში შემიყვანა». ვსწავლობდი, ტოლებს თითქმის ორი წლის ჩამორჩენით და მაშინაც ვოცნებობდი... ხშირად მიწევდა გაკვეთილიდან წასვლა,შვილი რომ გამომე-

კვება (გიორგი მყავდა მაშინ) და აქაც ვერ ჩაველრმავე წიგნსა და ცოდნის საიდუმლოს...

თუმცა კლასგარეშე წიგნებს კვლავაც ვკითხულობდი, ამჯერად მთვარის შუქზე, „უფროსებს» რომ არ დაენახათ საძინებელში ანთებული შუქი და ოჯახის ზედმეტ დახარჯიანებაში ბრალი არ დაედოთ... მე კი კვლავ განვაგრძობდი ოცნებას..

დამაგვიანდა - ჩემმა ტოლებმა გამასწრეს და მე დავრჩი წარსულსა და აწმყოს შუა წიგნიდან დაუნდობლად ამოხეული ფურცელივით,რომელზეც ისეთი არაფერი ეწერა, რომელიც წიგნის საერთო შინაარს რაიმეს დააკლებდა...ოცნებას კი გული ვატკინე...

თუმცა არც ისეთი განაწყენებული უნდა მყავდეს, რადგან ვფიქრობ ყველაზე ლამაზი და ხელშეუხები სურვილი ავუსრულე (ოცნებასაც აქვს სურვილები) თუ ამისრულა,შემიყვარდა თავდაკარგულად და თავგადაკლულად...

ჰო,ის მოვიდა და ყველა წაუკითხავი წიგნი და გაცდენილი გაკვთილი ერთად მოიტანა...ისე ამავსო, ისე თავდაჯერებული გამხადა, დღემდე რომ მყოფნის და ხმის ამოღების უფლებას მაძლევს.

ჰო, მოვიდა თუ არა, ცხოვრების დალაქავებულ სარკესთან დამაყენა და მითხრა: „ეცადე, ისეთი გამოჩნდე ამ სარკეში, არც ერთი ლაქა არ ჩანდესო!“..

მოვინდომე...

სარკე გაწკრიალდა, გამზიანდა, ათასფერად აკაშკაშდა და დამარწმუნა, რომ შემიძლია!!!

...მაშინ, როცა დედაშენი ფერად ბაფთებსა და ფეხსაცმელს არჩევდა შენთვის, დედაჩემი ულაქო და შრომაში დაღლილი თითებით ჩემი დების ნაქონი კაბებიდან კაბას მიკერავდა, ლამფის შუქზე (აბა დღისით სად ეცალა დასაჯდომად, ჯარი ოჯახისთვის უნდა მიეხედა)....

მერე რაა, თუ ახლაც ვოცნებობ?!.

მერე რაა, თუ მოცვის ფულით სიმწრით ნაყიდი ფორმის კაბა, პირველსავე სექტემბერს გავხიე, მეზობლის ღობეზე, ვაშლის მოსაპარად რომ გადავდიოდით მთელი კლასი?!.

მერე რაა,თუ ჩიტების ენისა და ქართული ენის გარდა ვერც ერთი ენა ვერ ვიჩემე?!.

მერე რაა თუ დედაჩემი რვაკლასგანათლებული იყო? - თუმცა ბევრი ლექსი იცოდა და კიდე ხმამოკავებულად და დღემდე ვერახსნილი სევდით მღეროდა შრომაში გართული... სამაგიეროდ მამა უყვარდა,სამაგიეროდ მამის ნამრავლს უერთგუ-

ლა - გაგვზარდა... (მერე რაა თუ საჭმელში ბევრ წყალს ასხამდა, არადა ყველაფერი საოცრად გემრიელი იყო. ჭამის წინ წაგვილექსებდა კიდევაც: „გემო არის იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანა». სამაგიეროდ ზნეობა და მორალი ქონდა სულგულში გაჯერებული. თუ ჯერ კიდევ რაიმე კარგი გამაჩნია დედის გენიდანაა და დედის მაგალითზე, თუმცა ვერ გამოვემსგავსე, ჰოდა, ჩემი უკანასკნელი ოცნებაც ეს იქნება ალბათ - დედას ვგავდე!!!

...ჰო, მე მთებში დავიბადე, იქ, სადაც ჯერ კიდე ჯერათ რომ ერთგულება და პატიოსნება არსებობს და აუცილებელია...

ნეტა ჩემი სამყაროც იქ ჩატეულიყო, კლდეების ქარაფებიდან დაშვებულ ჩანჩქერებსა და ჩემი სოფლის ბოლოს შორის....

...ჰო, მე მთებში დავიბადე!..

16.10. 2017 წ.

***

...ლოდინს მიმაჩვია ცხოვრებამ... უფრო სწორად-ლოდინებს...

ასე მგონია ერთ დღესაც მოხვალ და მე კარზე დაუკაკუნებლად, შენი სუნთქვით გიცნობ...

ლოთი პოეტივით ჩავაქრობ, ლამის თითებში ჩაფერფლილ სიგარეტის უკანასკნელ ღერს და გამჭვირვალე ჭიქიდან ლალისთვალივით მოკამკამე ალუბლის წვენს მოვსვავ... (არა, მაინც ვერ ვხვდები,რამ შემაყვარა ასე, ეს ალუბლები?..)

თითქოს ახალად ვსწავლობდე სიარულს, ისეთი ბორძიკა ნაბიჯით მოვალ კართან და...

არადა, გელოდი...

რამდენ უმზეო დღეს და უმთვარო ღამეს ვეჭირისუფლე,

რომ თავაწეული დაგხვედროდი... კარებს არასოდეს შეუჭრიალია, არავისთვის და არასდროს შემიღია და - მიტომ...

შენი სუნთქვა კი მიტოვებული ქალის უხმო ქვითინივით ჩამესმის...

სახელურს ხელს ვკიდებ, და...

მეშინია...

ვტრიალდები...

კარებს ზურგით ვეყრდნობი და...

მეც უხმოდ, ათასწლეულების გადმოსახედიდან ვტირივარ...

ვაითუ, ისეთი არ ოყო,როგორსაც ამდენი წლებია გელო-

დი?!.

იქვე იატაკზე

ვჯდები და - მიხაროდეს თუ მტკიოდეს აღარ ვიცი, ისევ ლოდინის ერთგული რომ დავრჩი?...

...ლოდინებს მიმაჩვია ცხოვრებამ...

ლოდინს, ჩემეულსა და ჩემნაირს...

25.02. 2017 წ.

გარდაცვალება

...მე საბოლოოდ გარდავიცვლები,როცა – ცისკრის ნათელი და ჩიტების ჟღურტული აღარ გამახარებს... ვარსკვლავებით მოჭედილი ცით აღარ მოვიხიბლები... ღამის ყველაზე დიდ მანათობელს, მთვარეს აღარ დავუწყებ შენზე საუბარს... როცა შენი დანახვისას, აღარ ამიფრთხიალდება გული ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით... როცა, შენი სახელის ხსენებისას აღარ შემიწითლდება ყვრიმალები – აი, მაშინ გარდავიცვლები!..

როცა ცხოვრების ოღრო-ჩოღრო გზაზე მიმავალს, ჩემი გარიყული სიყვარული შემომხვდება – გასაცოდავებული, ცრემლიანი, მავედრებელი თვალებით - მე გვერდს ავუვლი. შევეცდები არ მომიახლოვდეს, ის კი დატუქსული ბავშვივით ამედევნება უკან, მე ერთხელ და უკანანასკნელად კიდევ მივუხედავ მას და უზომოდ, უზომოდ შემეცოდება. მოწყალე თვალებით ავათვალიერებ დაკონკილ სამოსში გახვეულს, ხელგამოწვდილს, გაშტერებული გამომეტყველებით, რომ მომიახლოვდება და უსაზღვროდ მომეწურება გული. თავს ვერ შევიკავებ, მის გასვრილ, ნაგვემ, დაღლილ სხეულს მოწიწებით ჩავიკრავ მკერდში და მაგრა, მაგრა ჩავეხუტები გამოთხოვების ნიშნად... სანამ ის გაიაზრებდეს თუ რატომ მოვიღე ამხელა მოწყალება, უცებ მოვტრიალდები და სირბილით გავუყვები ცხოვრების ქვაფენილს სადღაც. მას გაუკვირდება ჩემი გაქცევის და ამედევნება. ვინ იცის, რამდენჯერ დაუსხლტება ფეხი, რამდენჯერ დაეცემა, მაგრამ მაინც წამოდგება და სანამ საბოლგოოდ არ დაიღლება, ვიდრე ბრძოლის უნარს სულ არ დაკარგავს, სანამ არ მიხვდება, რომ ვეღარ მომაბრუნებს, ასე ირბენს მანამ. მე არასოდეს მივუხედავ მას.ზურგიდან ვიგრძნობ, მის მწველ და გასაცოდავე-ბულ გამოხედვას და უგულო მონსტრივით მხოლოდ წამით შევჩერდები იმისთვის, რომ ძალა მოვიკრიბო და

ისევ გავექცე სადღაც.

- აი,სწორედ მაშინ გარდავიცვლები!..

დედამიწა ისევ იბრუნებს თავisი ღერძის გარშემო... ისევ ისეთი აღტკინებით

შემოჰკრავენ ცისკრის ზარებს...

ისევ იოცნებებენ თვალდახუჭული მზესთან... ისევ დაამხობენ „ტროას“ და დალეწავენ „ქაჯეთის ციხეს“, ისევ გაიტაცებს მედეა „საწმისს’’.

ჩვეული რიტმით იწიკწიკებს საათის ისრები. თანმიმდევრობით შეიქმნება დროება – ჩემთვის კი უშენოდ დრო სამუდამოდ გაჩერდება...

როცა სულის ყველა კუთხე გაყვითლებული ფოთლებით გაივსება...

როცა ცხოვრების ნეშომპალა, სულში ბობოქარ სუნს დააატრიალებს, როცა ყმაწვილები პიტალო კლდის ფერდობიდან ურმით ყვავილებს აღარ ჩამოზიდავენ (სიყვარულის და ერთგულების ნიშნად)... როცა ვეღარ შევიგრძნობ აფეთქებული იასამნების სურნელს... როცა თვალებში მოკაშკაშე ვარსკვლავები ჩამიქრებიან - აი, მაშინ გარდავიცვლები!..

მე შენ ვერასოდეს გაგირეცხავ ოფლით გახვითქულ, ჩემთვის ესოდენ საყვარელი სუნით გაჟღენთილ პერანგს. ვერასოდეს გეტყვი ძილის წინ ,,ძილინებისას» და ყოველ დილით ვერ გაგაღვიძებ შუბლზე კოცნითა და ვერ გისურვებ ,,დილა მშვიდობისას’ ‘.სამსახურიდან მობრუნებულს ვერასოდეს დაგხვდებით ჭიშკართან მე და შენი შვილი, რომელიც შენს დანახვაზე ატიტინდებოდა, უცოდველ თითს გამოიშვერდა და იტყოდა „მა-მა-ს“.

მე ვერასოდეს მოგივლი, თუ ოდეს დაგჭირდება ეს. ვერასოდეს დავედები შენს ტკივილებს მალამოდ და ვერასოდეს განუგეშებ ცხოვრებით დაღლილს, გაგულისებულს და სიქა-გამოცლილს... და ეს ყველაფერი იცი, რატომ ვერასოდეს ? - უბრალოდ, შენ ასე ისურვე...

წლები იჩქარიან...

ცხოვრების ქარბორბალა, საპირისპირო მხარეს გადაგვისვრის მე და შენ...

დრო მომერევა...

ვეღარ ვიქნები ასეთი თვითნათქვამა. ოდესღაც მაინც ვიღაცა აუცილებლად ჩამახედებს ცხოვრების უზარმაზარ სარკეში და ჩემს თავს დამანახვებს. თხემით-ტერფამდე ჩავათვალიერებ ჩემს ორეულს. როცა თვალს თვალში გავუყრი, წა-

მში გატყდება ყეყე-ჩობას

ჩვეული და უკან დაიხევს იმის შიშით, რომ თვალებმა არ გათქვამ მისი უსუსურობა. გული მომივა და უზომოდ შემეზიზღება ჩემი სულის ჭურჭელი. გული ამერევა და მასაც ზურგს შევაქცევ. მერე ჩემს, წლების ნაცოდვილარ წიგნს გადავფურცლავ და აქაც არ მომასვენებ - ყველა ფრაზაში, სიტყვაში და ბგერაშიც კი შენ ამოგიკითხავ. სინანულით დავხურავ წიგნს და გავიფიქრებ – „ნუთუ ასე უზომოდ მიყვარდი ?!“ (მიყვარდი არა – მიყვარხარ...) და თუ მართლა, ვეღარასოდეს ვიგრძნობ შენდამი სყვარულს, დამიჯერე – ოღონდ მართლაც, ეს იქნება ჩემი უაზრო და საბოლოო გარდაცვალება!..

2009 წ. 16 ოქტომბერი

***

...ვიცი, რომ არ უნდა მოგწერო, იმიტომ რომ...
მაგრამ მაინ გწერ!..
არ ვიცი რა იქნება ხვალ(?)
შენ თუ გგონია ის ვიცი, გუშინ რა იყო(?)
უბრალოდ გწერ...
ვერ მოვიშალე წერის ტრადიცია.
უფრო სწორად-შემომეტრადიციავდი...
სამყარო დიდია, არავის სცალია ჩვენთვის წერტილსა და
მძიმეზე გამოგვეკიდოს...თუმცა ასეთებიც მოიძებნებიან,
სამწუხაროდ...
არ იღელვო, მე არ მეშინია მათი!
მე თითქმის აღარ მეშინია,
დასაკარგი აღარაფერი დამრჩა და ალბათ მაგიტომ...
მეტყვი ახლა-წინ მომავალიაო.
არა!
ჯერ წარსული უნდა მივილაგო და ისე გავიავმომავლო
-იქნებ ვერც კი...
თუმცა, შენ მაინც არ იდარდო...
მე კარგა ხანია შევეჩვიე ასეთ ყოფას.
მარტო ვიბრძვი, მხოლოდღა გრძნობებით-
წინ დიდი მოწინააღმდეგე მყავს; ბევრის ომში პირწმი
ნდად გამარჯვებული; სასტიკი და დაუნდობელი ცხოვრე
ბა...

მაგრამ, შენ მაინც ნუ შეგეშინდება, მე არ მეშინია და
მიტომ-აღარ!!!
დასაკარგი დაკარგულია...
ჰო, რას ვამბობდი? - გწერ - მეთქი...
შენ კი, არასოდეს ან ვერასოდეს წაიკითხავ ამას...
მე მაინც გწერ!..

21.05.18
04:08სთ

***

ღამეა...
საშინელი სიმარტოვე ეჭვიანად შესუდრულა...
ქარი ქვეყნის დასალიერიდან მოტანილ ტრაგიკულ ამბავს
ოპერის მომღერალი ქალივით კივილით ყვება...
კოჭლი აზრები თავს იწონებენ (ვის მოსწონს დღეს საღი
აზრები?!)
ისევ აცივდა...
ისევ იქნება წვიმა და სუსხი...
ბზარმინაღები გულის კედლები, გამალებით ებაგუნე-
ბიან-ფიქრთა კორიანტელის თავსხმაში. ხვალ იქნებ მეც აღარ ვიყო-გარდავიცვალო! (როგორც, სხვა დანარჩენი.)

დღეს ისევ გულით ნამღერ ბაიათს მოისმენს ვიღაც, ვიღაცა კი, სიმარტოვის ცივ სარეცელზე მდუმარედ დაელოდება: სიყვარულს...სითბოს...საოცნებოს...

ბნელა...

ღამე ბოლომდე, ბოლომდე იბრძვის დღის ნათელის დასამარცვებლად...

მომტირალი, თმაგაწეწილი ქალივით ეხეთქება ქარი, სახლის სველ კედლებს.

როგორ შეიძლება ამ გიჟურ და ცივ ღამეში ადამიანები ერთმანეთის გულის გათბობაზე არ ფიქრობდნენ?! საოცარია, კაცის ბუნებაზე რთული ასახსნელი არაფერია.რამდენ მახვილ და უაზრო აზრებს აგიჯანყებს გონებაში ეს ბნელი ღამე, ადამიანს, როცა წევხარ მარტო და დაძინებას ვერ ახერხებ.

მერე, ფიქრებით დედამიწის ყველა კუნჭულში მოგზაურობით დაღლილს დაგათენდება. სარკმელში დაღლილ, უძილო თვალებს მიაპყრობ და ღმერთო ჩემო! - განთიადიც ვერაფერს გშველის, რადგან - ცას ისევ დაჰკრავს ფერები მწუხრის, როგორც ცხოვრებას ზოგიერთისას...

04.02

„დედასფერი“

...დეკემბრის ბოლო დღის ბოლო საათები უზარმაზარი ხურჯინით მიათრევდა სამყაროდან თვეების კასკადს და დედაქალაქის აურზაურითა და საკმაოდ თბილი ამინდით უხსნიდა გზას იანვარს.

..ავლაბრის მეტროს მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე იჯდა...

დაკვირვებული თვალი არ იყო საჭირო მიმხვდარიყავი - ჩვეულებრივი მათხოვარი არ უნდა ყოფილიყო...

კიბის მეორე საფეხურზე შევდგი თუ არა ფეხი, იმ წუთშვე გავიფიქრე: მივალ ჩავეხუტები და ახალ წელს მივულოცავ - მეთქი. მერე გამახსენდა,რომ ჯიბეში ხურდა ფული არ მედო და გადავწყვიტე მაღაზიიდან მობრუნებულს ფულიც მიმეცა და მაგრადაც ჩავხუტებოდი...

უკანა გზაზე რომ გამოვბრუნდი და ქალს მივუახლოვდი, უფრო გულგაგულ შევათვალიერე: ყავისფერი თავშალი ისე შემოეხვია თავზე სახე საერთოდ არ უჩანდა. თავიც დახრილი ჰქონდა საკმაოდ, რომ ვერავის დაენახა. ნახევრად გამოშვერილ მარცხენა ხელს,რომელიც უხერხულად ქონდა, მარჯვენათი იჭერდა... ერთი ხელით ხელში ფული ჩავუდე, მეორე ხელით კიბის საფეხურს დავეყრდენი, თითქმის ძალით შევუძვერი დახრილ თავსქვეშ და ვაკოცე, თან ახალი წელიც მივულოცე...

თავი ნელნელა ასწია, რაც პირველი მომხვდა თვალში მისი საოცრად ლამაზი და გაოგნებული თვალები იყო. მერე, ტუჩსზემოთ ხალი და დავმუნჯდი - კიბეზე დედაჩემი იჯდა...

...ჰო, არ მომჩვენებია, ახალი წლის ღამით მეტროს კიბეებზე, დედაჩემი იჯდა სამოწყალოდ ხელგაშვერილი...

-შენც მრავალს დაესწარი შვილო, დედ-მამით... სიტყვის დამთავრება არ ვაცალე - ავტირდი და ვუთხარი: იცით, თქვენ საოცრად გავხართ დედაჩემს...

ამ სიტყვებზე „დედას“ - ახლა რომ ცივ და ვინ იცის რამდენი ადამიანის ფეხით გათელილ კიბეზე იჯდა, ნატიფი და სასწაულად სუფთა სახე მოერღვა და არეული ამინდივით მოექუფრა... მივხვდი, დროს თუ გავწელავდი, ორივე ხმით ვიბღავლებდით და გამოსავალიც ვიპოვე, უცებ მოვტრიალდი და მდევარადევნებული შიკრიკივით დავეშვი კიბეებზე...

გული არ დამნებდა და ორჯერ ზედიზედ მივიხედე - ის უკვე წელში გამართული, თავშალგადახდილი, ცრემლებ-დანამული

მიყურებდა და მის თვალებში დედაჩემი ჩანდა, თვალებში, რომელიც ერთდროულად მლოცავდა, მეფერებოდა და მსაყვედურობდა კიდეც, რომ გავიმეტე საამისოდ...

...ალბათ, როგორ აკლიათ დედებს ერთი ჩახუტება, ერთი თბილი სიტყვა, ერთი ადამიანური დაყვავება.

...იმ ღამით, მარტო ჩემი კი არა, მთელი საქართველოს დედა იჯდა ავლაბრის მეტროს კიბეებზე სამოწყალოდ ხელგაშვერილი...

31.12. 2017 წ.
2010 წ.

მისმინე ადამიანო!

...ნუ მიყურებ ზიზღის თვალით ადამიანო!

მერე რაა, თუ ბუნებამ შავი ბუმბული და ხრინწიანი ხმა მომცა? რა ვქნა თუ ბუნებამ ლეშის კორტნა დამიკანონა?.. ადამის მოდგმავ, ეს მე ვარ შავი ყვავი! _ მოგმართავ კლდიდან, ხევიდან, ბარიდან და მდინარის პირიდანაც კი. დავდივარ აღმა-დაღმა, დავეხეტები, რომ იქნება და სადმე ამძორებულ ლეშს წავაწყდე და ბუნებრივი მოთხოვნა დავიკმაყოფილო. ამ ნაირსახე ბუნებაში უამრავი, შეუქცევადი პროცესია, სადაც ვერავინ ვერაფერს ვერ გაექცევა, ყველამ თავისი წილი სახადი უნდა მოიხადოს. აქ ფარული, ზოგჯერ აშკარა და დაუნდობელი ბრძოლაა არსებობისა და გადარჩენისათვის, სადაც ძლიერები იმარჯვებენ, ძლიერთა შორის.

მე ერთი ჩვეულებრივი ყვავი ვარ ყვავთა შორის. შენ გეკითხები ადამიანო, ოდესმე გიფიქრია ჩემს ბედზე? შენ, რომელიც უფალმა განსაკუთრებული ნიჭით, უნარითა და სრულიად განსხვავებული უამრავი თვისებით დაგაჯილდოვა?! ეჰ, არა მგონია ჩემზე გეფიქრა. შენ ხომ მარტო სილამაზეს ეძებ ბუნებაში... მნიშვნელობა არა აქვს მას _ ფრინველში, ცხოველში, მცენარეში, რაიმე საგანსა თუ შენნაირში დაინახავ, აღფრთოვანებისაგან, თვალები შუბლზე აგიდის, ენაწყლიანობ, მჭერმეტყველობ და ნანახით მოვარდნილ ემოციებს ვერ მალავ, თითქოს განსაკუთრებული და ჯერარნანახი აღმოაჩინე, შენი თავი განსაკუთრებული გგონია, რომ ეს სილამაზე აღიქვი. მე მინდა გკითხო ადამიანო! _ გულის თვალით თუ შეგიხედავს ვინმეზე, ან რამეზე? შენ, მარტო ერთი თვალით ხედავ და ამიტომაცაა

შენი ემოცია წამიერი, ან წუთიერი, თუნდაც რამდენიმე დღიანი, მერე?... მერე უგულოდ წაკითხული წიგნივით გავიწყდება და სიახლეების ძიებაში, ვერც კი ხვდები როგორ უცებ ჩაგეღლევა თვალის დახამხამება წუთისოფელი... მართლა, ჩემზე თუ შეგიხედავს ერთხელ მაინც გულისთვალით? ერთხელ თუ დაინტერესებულხარ იმით, ჩემისთანა არსება რას განიცდის, როგორ ცხოვრობს, როცა იცი ირგვლივ ამდენი აგრესია და ზიზღია? არა მგონია მაგ თვალით შეგეხედოს ჩემზე!... მე შენთვის მხოლოდ ყვავი ვარ და მორჩა, ამას ახსნაც აღარ ჭირდება. რა ვქნა, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმუმს აღემატება... რა ვქნა, მე მეტი არ შემიძლია... ჩემთვის, ჩვეულებისამებრ ვარ ჩასაფრებული შენზეც და ბუნების სხვა ბინადარზეც, როდის მოიძულებთ რამეს და გადააგდებთ, რომ მერე მე მივიდე და კუჭი ამოვიყორო. მე ბუნებამ მძორის ძიძგნა დამიკანონა და არც ვმალავ ამას, მე ყვავი ვარ და მიუღებელი და სამარცხვინო როდია, როცა ზღვის ქვიშიან, ტალახიან და დაბინძურებულ სანაპიროზე დავხეტიალობ და ბედად ამოვარდ-ნილ აყროლებულ თევზს ვკორტნი. მე კუდმაკრატელა მერცხალი როდი ვარ, ბუჩქის ძირას, მორცხვად თავწამოყოფილ იას მივუჭიკჭიკო და გაზაფხულის მოსვლა გახარო შენ, ადამიანო!... არც ბეღურა ვარ, ზამთარში გაშიშვლებულ მუხის ტოტზე გავითიშო სიცივისაგან და ამით ჩემი ერთგულება დაგიმტკიცო... მე ყვავი ვარ, ყვავი და ჩემთვის წელიწადის დროები არ არსებობს. ჩემთვის მარტო ღამდება და თენდება. წვიმაში, დარში თუ პაპანაქებაში, მხოლოდ კუჭზე ვზრუნავ და ჩემი ფიქრები ამას არ სცილდება. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელ, ოღონდ არ დამცინო, შენ ხომ ყველაფერთან ერთად უზომო ცინიზმით დაგაჯილდოვა ბუნებამ. ხო, საიდუმლოზე გელაპარაკებოდი _ გუშინ საკუთარი გარეგნობის შეთვალიერება მოვინდომე და ტრიალ მინდორში, ერთ პატარა გუბეში ჩამდგარ, დაწმენდილ წყალში ჩავიხედე და გამიკვირდა, რატომ ვეზიზღები ასე ადამთა მოდგმას?! არც ისეთი საზიზღარი ვყოფილვარ... ვიცი, ეხლა დამიწყებ ფილოსოფიას _ შენ, გარეგნულად ვინ გიწუნებს, ჩვენ ადამიანები წეს-ჩვეულებებს, შინაგან ბუნებას და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ რამეს ვაქცევთ ყურადღებასო. კარგი, გეთანხმები მეტი რა ჩარაა. შენ ხომ ესოდენ დიდი უფლებებით გამოირჩევი ყველა სულიერთა შორის, რაც თუ რამ შეუქმნია ღმერთს. შენ თუ მოგესურვება ერთ წუთში მოგვისწრაფავ სიცოცხლეს და ამით იამაყებ კიდევაც. განა ჩემისთანა ყვავის სიკვდილს ჯერდები?! შენისთანა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასაც არ ერიდები

და მერე, ღამით მშვიდად იძინებ ბალიშზე თითქოს ის გააკეთე, რაც უნდა გაგეკეთებინა.

მე, არც არასაოდეს ავფრენილვარ იმაზე მაღლა ვიდრე შემიძლია. შენგან განსხვავებით ამბიციები არ მაწუხებს. შენ, კი შესაძლებლობების ზღვარს გინდა გაცდე და მთელი ქვეყნიერება დაიპყრო, იბატონო და იბობოქრო. ხშირად გავიწყდება, რომ შენც ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ, მოკვდავთა შორის, მაგრამ რაც მე მეპატიება და მომეტევება, იმას შენ ღმერთი ცოდვად ჩაგითვლის და ამ ცოდვისთვის „იქ“ მოგეთხოვება პასუხი... მე ამ სამყაროს არსებობამდე, სანამ სიცოცხლე იქნება ყოველთვის ასე ვიხეტიალებ კლდეებში, ღრეებში, მთებში, მინდვრებში. ბევრჯერ დაგიკორტნი გულღვიძლს, თუ სადმე წამოგეწიე - იმ გულს სადაც ერთი ბეწო ფიქრებიც კი არ არის ჩემზე. მე, ერთი მჩხავანა ყვავი ვარ, ნუ შეიწუხებ თავს ახსნა ჩემი არსებობა. მე სათვალავადაც არ ვღირვარ შენთვის. რაც არ უნდა უჩვეულოდ მოგეჩვენოს, ჩემი ყვავური გადასახედიდან და აზროვნებიდან

მინდა გირჩიო და გთხოვო _ კორტნა და ძიძგნა მე დამიკანონა ბუნებამ და მე დამითმეთ, თუ საამისოდ გაგიმეტებიათ ერთმანეთი თქვენ ნუ დაძიძგნით ერთურთს, ნუ ამოკორტნით გულღვიძლს, რადგან ჩემგან განსხვავებით ერთმანეთს სჭირდებით. თქვენ ნაკლები გეპატიებათ.

.. ჰმ! რამდენი ფიქრი შემძლებია თურმე. რა ტყუილად მოვინდომე შენთან საუბარი, რა აზრი აქვს, ათასი წელი ვერ მოვიტან შენამდე ამას, რადგან ყვავი ვარ და ამას მეტი ახსნა არა აქვს...

30.03.2009 წ.

***

...ფარჩადაკერებულ ცის კიდეს მზის ჭავლი დაცემოდა და შუაზე გაეხლიჩა...

ჩამოკონკილი ნისლები შეპარვით მისდევდნენ ერთმანეთს...

ის კვლავ იდგა ისე და ისე მაღლა, თითქოს მიწაზე არასოდეს არც კი მდგარიყო... ნაკვეს-ნაკვესად მოჰქონდა მზერა თვალების,

თითქოს არიას ასრულებდა - გარდაცვალების...

და უცებ მოწყდა,ისე მოწყდა ცის ამ სიმაღლეს,მიწა რომ იძრა მაშინ იგრძნო დანარცხების ყველა ტკივილი....
...მოკვდა იმედი,მოკვდა ნდობა
-აღარც შენდობა...
სულისშემძვრელი ჩვეულებით ჰკიოდა ჭოტი...
ყალბი ჩრდილებით თვით დაიბნა - გაურკვევლობა...
და ახლა ასე - გზაბილიკებს ადევნებული-
გარდაიცვალა ყველა ნდობა,
აღარც შენდობა.....

16.03.2016 წ.

მაპატიე...

***

-ხომ იცი, ყველაზე მეტად ეგ მაგიჟებს...

***

-არა, არ გამტყუნებ, მეტიც-უარესის ღირსი ვარ, მაგრამ ჩემიც ხომ უნდა გესმოდეს...

***

-აუ, რამე მითხარი, თორემ გავგიჟდები... ვიცი,ხო ვიცი - დამნაშავე ვარ, უყურადღებო და არეული გავხდი ამ ბოლოს... ისიც ვიცი, რომ გატკინე.
ძალიან გტკივა?...

***

-შენ რა, მართლა გინდა გამაგიჟო?

***

-განა არ ვიცი, წლები ალაგმავენ ჩემს სიგიჟეებს, შემოდგომის უკანასკნელი ფოთლებივით...

***

-კარგი რა, გთხოვ, მაპატიე...

***

-ეჰ, ჩემო მარადიულო მეგობარო, ისიც ვიცი, რომ ისე მო-

ვკვდები გარდერობში დაკიდებულ ფერად კაბებს ერთხელაც ვერ ჩავიცმევ და მათაც ისევე დავაობლებ, როგორც ძველ განჯინაში მოდურ სასმისებს,რომლებსაც კაცის ტუჩი არასოდეს შეხებია...

***

ისევ უბრობ ჯიუტად,ხო?... მაპატიე რა, მაპატიეე....

***

-ხომ ხედავ, აქ ვარ, მოვედი... თუმცა არც არსად წავსულვარ, შენ არ გამიშვი და რანაირად წავიდოდი?.....

***

-არ გაგიხარდი?

***

-ამ საბრალო წიგნებსაც როგორი მტვერი დადებია... ყველაზე მეტად ამ დროს მეცოდებიან ისინი... ეს რაღა უბედურებაა, რამ დააჭკნო ჩემი ბეგონიები?

***

-თუმცა ახლა არაფრის დარდი ისე არ მკლავს, როგორც შენი უტყვობა...შემირიგდი რა, მისულგულე...

***

-ო,როგორი ჯიუტი და თავკერძა ხარ, ჩემსავით... განა არ იცი, შენი შემცვლელი არავინაა ჩემს ცხოვრებაში, შენ ჩემი მარადიულობა ხარ და ამიტომაც ხარ ასე გაყურსული... კარგი ბატონო, დამემდურე, ვნახავ ერთი რამდეხანს გასტანს შენი მდუმარება!!!

***

-მეტიჩარა...

***

-აუუ, მაპატიე გთხოოვ, შემირიგე, შემითვისე,შემისრუტე ჩემო მარტოობავ...

დამბურეს ჩალმის სარქმელი...

წინა დღით ნინა მოვნათლე ნინოდ... მეორე ნათლულისთვის, რომელსაც ნინო ჰქვია, წმინდა ნინოს ხატის საყიდლად შევდიოდი მაღაზიაში და როცა მაღაზიისკენ მიმავალმა სარიტუალო დარბაზს ჩავუარე, ასეთი სურათი დავინახე: თანამედროვე ყაიდაზე ორ-ორი მეჯვარით, მაღალი თავ-საბურავებით (ანუ ჰიჯაბებით)იყვნენ დედოფალიცა და ხელისმომკიდე გოგონებიც... ნაკლებად ცნობისმოყვარე ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში გამძაფრებული ინტერესით დავუწყე ყურება და გეტყვით რატომაც... გოგონების იერსახე მოწმობდა, რომ ქართველები უნდა ყოფილიყვნენ... გული მომეწურა, მივხვდი რაშიც იყო საქმე, ახალ მოდას აყოლილი ისლამის მიმდევრები უნდა ყოფილიყვნენ და ძალიან მომინდა მათი ჩაცმისთვის გამართლება მომეძებნა. ისღა დამრჩენოდა სიძე დამენახა ვინ იყო და ჩუმად ვნატრობდი თურქი ყოფილიყო. ალბათ წამის მეასედიც არ იყო გასული და აი, გამოჩნდა ნეფეც... თანამედროვედ ეცვა და გვერდით მდგომ ორ ბიჭს გამართული ქართულით ესაუბრებოდა... არ გამიმართლა, ესეც ქართველი აღმოჩნდა და ძალიან დამწუხრებული სახით შევედი სუვენირების მაღაზიაში. იმდენად მეწერა სახეზე წუხილი, რომ გამყიდველმა ქალბატონმა მკითხა ხომ მქონდა მშვიდობა... მშვიდობა? - არა, არა მაქვს მშვიდობა!.. ეს ომზე დიდი ომია - მეთქი, მივუგე და ხატის გადმოღება ვთხოვე თაროდან... როცა თანხა გავუსტუმრე და უკან გამოვბრუნდი, ახალგაზრდები უკვე სარიტუალო დარბაზის ფოიეში შელაგებულიყვნენ... გოგონების ბედნიერი კისკისის ხმა გამოდიოდა ოდნავ ღიად დარჩენილი კარებიდან... ფოტოსესია ქონდათ. შესასვლელის გამჭვირვალე მინიდან კარგად ჩანდა როგორ პოზირებდნენ... კიდევ ერთხელ მომეჭეჭკა გული და ის იყო უნდა გავცლოდი შენობას, რომ ერთერთმა ხელისმომკიდემ ზედატანით გამოიხედა კარში და ნინოო დაიძახა... რაღაც ზებუნებრივმა ძალამ მომახედა უკან და გავქვავდი - გოგონა გარეთ დარჩენილ დედოფალს ეძახოდა... დედოფალს, რომელსაც ქართული ფატის ნაცვლად ჰიჯაბი ებურა...

და მე ავტირდი...

ყველაფერი ერთად ამტკივდა:

- ქეთევან დედოფლის მოჭრილი მკერდი...
- სელიმ ხიმშიაშვილის მოკვეთილი თავი...
- დასაჭურისებული ბატონიშვილები...
- ტყვედ გაყიდული ქართველობა...

- ჭოროხსგაღმა დარჩენილი საქართველო...

- მეჩეთებად გადაკეთებული ეკლესიები...

...წართმეული მიწები და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ...

...წინა დღით ნინო მოვნათლე, მეორე ნათლულისთვის, რომელსაც ნინო ერქვა, წმინდა ნინოს ხატი ვიყიდე და დედოფალსაც ნინო ერქვა...

...მივდიოდი, აზლუქუნებული ბავშვივით, მკერდზე წმინდა ნინოს ხატმიხუტებული და მომდუღრულივით მტკიოდა, ბედნიერების კარიბჭესთან მდგარი, „გაუბედურებული“ ქართველი ნინო-დედოფალი...

20.03. 2018 წ.

...და შენც წახვედი, ისე როგორც წავიდა იგი...

(მიშო გელაშვილს)

ამინდიც ისეთივე წვიმიანი და განწყობაცრემლიანია, როგორც მაშინ მიშო...

ხალხიო იტყოდით, თორემ ზოგიერთი ამ მასიურ ბრბოში გასარევადაც არ ღირს... წვიმაც როგორი უღიმღამო და არაზეციური იყო... ეწვიმა მაინც დალოცვილს, მავანი ვალის მოხდის მიზნით მოსვლასაც ვერ შეძლებდა და იქნებ უკეთესიც იყო...

ეგრედწოდებულ ,,სასახლეს» აღმოსავლეთით ქონდა პირი, მამაო კი (ღმერთო მაპატიე), მაგრამ გაზუთხულ ლოცვას ისე კითხულობდა, მარტო მას და მასავით ლოცვაში გაწაფულებს თუ ესმოდათ რას ამბობდა...

თუმცა რა მნიშვნელი აქვს, ამ წირვის (თუ რაც ქვია) ადრესატი ისეთი სულით ახლობელი იყო ჩემთვის ყველა წინადადების ბოლოში ინსტიქტურად ამინს ვამბობდი, ოღონდ გულში, ჩემთვის, ჩუმად,თორემ სად მქონდა ამის დრო...

მთელმა ცხოვრებამ, რა ცხოვრებამ - ცხოვრების ყველაზე საუკეთესო კადრებმა ფრთები აისხა, აიშალა და ისე დამიწყო შიგნიდან ჯანჯღარი, ლამის ვიყვირე - გაჩერდი მამაო, ტირილი მინდა-მეთქი... მაგრამ ხომ ვთქვი, ლოცვა ისეთი ბიჭის სულისთვის იკითხებოდა სხვა გზაც რომ არ მქონოდა (თუმცა მეც მწამს, ჩემეულად) უნდა მომეთმინა...

ჩემს წინ მდგომმა, შავთავსაფრიანმა გოგონამ, რომელიც ეკლესიის მსახურს გავდა, გაქვავებული, ყოველგვარი ამქვეყნიურით მიჩქმალული სახის ნაკვთებით უსიტყვოდ

ანთებული სანთელი მომაწოდა, იფიქრა იქნება ახლა მაინც გააჩეროს სულის გამაწვრილებელი სლუკუნიო. შენც არ მომიკ-ვდე, უფრო ვუმატე და თვით შეწუხებულმა მამაომაც ზურგსუკან მწყრალი და გაკვირვებული მზერა მომიგდო, თუ იფიქრა ალ-ბათ - ვინაა ეს უწმინდური,რომ არ გაჩერდაო(?!)

„ვენოკზე“ კი, რომელიც ძველი დიდების იერშერჩენილმა ქალმა მომიდგა ფეხებთან, თეთრ გვირილებს საბრალისად ჩამოეყარა თავები, ამით თავმომწონე მეპატრონე კი სიამაყით დაჰყურებდა - ნახეთ როგორი გვირგვინით თუ „ვენოკით” მო-ვედი გასვენებაშიო... და მე ამის შემხედვარემ უფრო ვუმატე სლუკუნს თუ ზმუკუნს,არც კი ვიცი რას...

მინდოდა ყველას ყელში ვწვდომოდი ჩემის ჩათვლით და მის სიკვდილში დამედანაშაულებინა - სად იყვნენ, რატომ არ ჩანდნენ აქამდე, რა აკავებდათ, ამ დღეს ელოდნენ? აჰა, ახლა რა? - სხვის თვალში დასანახად მოვიდნენ, აქაოდა ხედავთ მეც გავიგე და აქა ვარო... და მე შემზიზღდა მთელი სამყარო-,ზუსტად ისე,როგორც მაშინ, შენ რომ მოგიწყვეს ვარდების ზეი-მი, ყვავილების მდინარეს რომ მიჰქონდა კუბო, რომელშიც ისე ნერვშეუტოკავად და სულმკიდიასავით იწექი სასაცილოდაც კი არ გყოფნიდა მაჯლაჯუნებივით შემოჯარული ადამიანების საქ-ციელები, ერთმანეთს რომ ეჯიბრებოდნენ ცრემლების ძალად მოდენასა თუ წინა ღამით საგულდაგულოდ ნაზეპირებ სიტყვაში, რომელიც ისეთივე არაორგანული და არაბუნებრივი ჩანდა, როგორც ქუჩის მაწანწალა მეფის მოპარულ სამოში...

...ჰო, აქაც იგივე დამემართა და მივხვდი - ადგილს და დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ადამ-იანები ყველგან ადამ-იანები არიან!

საეკლესიო რიტუალიდან სველ თიხანარევ მიწით შეზ-ვინულ ძვალთშესალაგთან გადავინაცვლეთ... შენ ისე იწექი, როგორც ის - ამაყად, თითქოს თქვენი სხეულების ნელნელა გალევა-გაწამებით გარანტირებული სამოთხის მოლოდინში ერთი სული გქონდა, როდის ჩაგასვენებდნენ უცნობი სიმამ-რის გვერდით, მარადიულ ბინაში, რომ მერე ერთად გებჭოთ აქ დარჩენილ უსუსურ და გულისამრევ წესჩვეულებებზე, ერთმა-ნეთ-თან დამოკიდებულებებზე, გაუტანლობაზე, ქაოსზე, სიძუ-ლ-ვილზე და უკვე ზეციდან გელოცა ვერნაგუებ ქვეყანასა ზედა დარჩელილების ცოდვილი სულებისათვის.

...და შენც წახვედი, ისე როგორც წავიდა იგი... მე კი არ მი-ნდოდა დამეჯერებინა,რომ თქვენ აღარ მოხვალთ აღარასო-დეს!!!

***

...ბინდისფრად აჩნდა ზღვა, ცის კიდეს შეხიზნებული,
ზღვა ცა იყო და ცაში კიდევ ზღვა ბანაობდა...
რაღაცას მგლეჯდნენ, ან წაგლეჯილს არ მიბრუნებდნენ.
ვერ ვეტეოდი, ვერ ვატევდი ხედვის არეში - მზეს,
მთავარეს, მიწას, ზღვას, არა - შენ ვერ გატევდი...

ისე დამყავხარ თვალებით, ყველა მზერაში, ყოველ დროში და ყოველ ადგილზე,

ვით ჩემი სული და სულის ერთი განუყოფელი, მისი სხეული...

ვერსით გივიწყებ, ასე მგონია - ამოგლეჯილ გულით დავდივარ და მეშინია ერთ დღესაც რომ უშენობით გათენდეს დილა (ალბათ მე, მე არ ვიქნები). გარდაუალი გარდაუვალობის შიში მაქვს მხოლოდ და წამზომივით ვაკვირდები მანძილს, რომელიც გაბუტულივით დგება ჩვენს შორის და შენს თავს მართმევს....

უსასრულო წვიმებით გადალუმპულ ცაში გამკრთალი უეცარი სხივივით გებღაუჭები, ოღონდ არ ვიცი, როდემდე?!.

ვერ გიპატრონე, არ მომეცი ამის უფლება და ახლა ვერმოხდილი სახადივით ვათრევ ცხოვრებას!!!...

ღამის სუდარა

(მე უშენოდაც გავარღვევ ჯებირს, რადგან ცხოვრებამ უშენობა მასწავლა!)

პირქუშ სიბნელეში, ამღვრეულ ფიქრებში და უშენობაში გულზე სუდარად მაფარია ღამე; ღამე უტყვი და უსასრულო... გარეთ კი გაზაფხულის ლაღი წვიმა პაკიპუკობს და სულ არ ანაღვლებს ღამის სუდარა...

ალბათ შენთანაც წვიმს...

ყური მიუგდე,რას ამბობენ წვიმის წვეთები... ალბათ ათას რამეზე ჭორაობენ...

ან იქნებ არც წვიმს შენთან?! -

ვინ იცის, ვინ იცის...

კუპრივით სიბნელეში, ცის კაბადონიდან, რაღაც შუქმა გაიელვა და მივხვდი - ვარსკვლავი მოწყდა ციდან და უსას-რულობაში დაინთქა. ღამე კი დუმს გაბუტული ბავშვივით...

შენ გინახავს, როგორ წყდებიან ვარსკვლავები ციდან? -

იქნებ შენი ცა სულ მზიანია და არასოდეს ღამდება... ჩემთან რახანია ღამეა და გათენებას ველოდები... მოდი, გამითენე შენეული მზით, სითბოთი და ხალასით... იქნებ ვერ მოხვალ?! -

რა გაეწყობა, დაგელოდები, ამ უსასრულო და პირქუშ ღამეში...

გაზაფხულის ლაღი წვიმა დაუღლელად პაკიპუკობს ისევ!..

01.05.2009 წ.

...ისევ სიმარტოვე... ისევ უშენობა... ისევ კუნაპეტი ღამე...

მე თუ ოდეს მეღირსება გათენება, მარგალიტის მძივებივით ავკინძავ მზის ოქროსფერ სხივებს და შენ გაჩუქებ, რადგან ვაითუ ისევ დამიღამდეს - შენი შუქი იქნება ჩემი გამკვლევი და აღარასო-დეს ჩავიკარგები იმ უფსკრულში, საიდანაც წლებია თავის დაღწევას ვცდილობ...

და მართლა თუ გამითენდა, ეს ჩემი მეორედ დაბადება იქნება - შენთან ერთად ახალი ცხოვრების დასაწყისი...

დავიჯერო აღარ გათენდება? - როგორ არა, აბა რას ველოდები ასე გიჟურად - რას?! რას?!....

01.05.2009 წ.
00:37სთ.

შვილს!

...შენ გათხოვდები... ლამაზი, თეთრი კაბით მიხვალ საკურთხეველთან...

როგორ გაზრდილხარ, უკვე შენით მიწვდი ყველა ხატს და ეამბორე... მოკლე კატო - გახსოვს, მეზობლის ქალმა რომ შეგარქვა ზედმეტსახელად?..

შენ თეთრი კაბით მიხვალ საკურთხეველთან,თავზე გვირგვინით-თეთრჩოხიანი ნეფე დაგიმშვენებს მხარეს მარჯვენას და მამაოს ბაგეებიდან ღაღადს იწყებს უფლის ნებანი: რომ ჯვარს იწერს მხევალი ღვთისა, რომ ხარ ღირსი ბედნიერების...

და ამ რიტუალს დაესწრებიან: ლია, ქრისტი, ამირან, ჯაბა... უპირველესნი ვინაც ნებით უფლითა მოგცა სიცოცხლე - (არა იმიტომ, რომ არ უნდოდათ, არა იმიტომ დედამიწაზე ყველაზე

მეტად რომ არ უყვარხარ - არა) - მხოლოდ მიზეზთა გამო ვერ ესწრებიან დედა და მამა.

- მამა იმიტომ, რომ ძალიან ადრე ზეცაში პოვა თავის ადგილი...

- დედას კი ვერნაპატიებ მიზეზს ჩავუწერ, თუმცა იქნებ და საპატიოსაც - რის გამოც შენ ახლა თეთრი კაბით საოცრად მშვიდი, დაჯერებული დგახარ ღვთის სახლში, სწორედ ეს არ მიუტევე, ვერ აპატიე...

მაგრამ გახსოვდეს - ყველა დედის მზე შვილის თვალებიდან ამოდის!!!

...შენ გათხოვდები და ყველა ქალის ხვედრს, დედის მძიმე და თანაც საოცრად დიად უღელს დაიდგამ მხრებზე...

...შენ გათხოვდები...

25. 11. 2015 წ.

დრო დადგა ჩემი ხმის ამაღლების

...ნუ მკითხავ რა იყო გუშინ – დაივიწყე!.. მთავარია ხვალ რა იქნე-ბა...

ევროპული სინამდვილით აზელილი ჩემი წარსული, დაიტირებს აწმყოს და აჩრდილივით აედევნება მომავლის ქარებს მიწადგებული...

დასაბამიდან მოყოლებული უკმარისობით, ხმის ამაღლების ძიებაში დათარეშობს სული ჩემი და ამა ქვეყნის უგულობაში და ამაოების ფერთა გამმაში, დოგმის კედელთან დამარცხებული ილეწება მეათასეჯერ. ბოთლში გამომწყვდეული ცბიერი ჯინივით აქეთ-იქით აწყდება სული სხეულის კედლებს...

საუკუნეების მარწუხებში მოქცეულმა, ქართული სახიერების ჩარჩოებში ჩაკეტილმა ქალურმა მოკრძალებულობამ და წვეთწვეთობით ბოღმად დაგროვილმა უთქმელობამ ამოხეთქა ჩემში.

უფლის სამსჯავროზე წარდგენილი დავეცემი მის ფეხთით და თვით ღმერთთან ვიტყვი: მე შენთვის ვარ სამყაროზე ამხედრებული და შენდამი სიგიჟემდე შეყვარებული!..

მე გავბედე, შენმა სიყვარულმა გამაბედვინა ხმამაღლა ყვირილი, რასაც არაქართულს ეძახიან და გმობენ კიდევაც... მაგრამ მერწმუნე, უსახურს არ ჩავდივარ იმათგან განსხვავე-

ბით, ვინც ნამალევად ცდილობს ცხოვრებას.

გენდერობას დაარქმევენ ჩემს სიმაღლეებს, მაგრამ შენზე წინ მაინც ვერ წავალ...

ჩემმა ქალურმა, დანაწევრებულმა, დაუდგომელმა სულმა ჯერ კიდევ მედეადან აიღო სათავე და წლების რიხინით, დროების ბორგვით, უამრავი დახეთქილი ტრამალისა და გაცოფებული ტალღების გამოვლით მოვიდა ჩემამდე...

მზის სიმხურვალით ანთებული მკერდი ჩემი, ურიცხვი ვარსკვლავებივით გაიხსნის შეურაცყოფის საუკუნოვან იარებს.

შენ მომეც ძალა სამყაროს დავპირისპირებოდი...

შენმა სიყვარულმა შვა ჩემში ქალი და მივხვდი, ღირდა ამისთვის სიცოცხლე!..

ვგრძნობ, როგორ ვიძირები შენს მოძალებულ, აღვირახსნილ სამყაროში და

ერთობ მიზიდავს ეს და მაშინებს კიდევაც.

...სიგიჟემდე ვარ შენზედ შეყვარებული...

შენ თუ ისურვებ, მთელს ქვეყნიერებას ფეხქვეშ გაგიფენ და ველური ჟინით ბარბაროსივით ავხარხარდები.

დაუპყრობელი სივრცეები მახრჩობდნენ და აღარ დავეძებ, რადგან შენ ყველაზე დიდი სივრცე ხარ სივრცეთა შორის, რომელშიც აქაფებულ მდინარეებად მიჰქუხიან ცრემლები ჩემნი.

მე შენს წინაშე შიშველი ვდგევარ – სულით შისველი. უსუსურნი კი ეცდებიან სულში ჩამაფურთხონ, ამ გაბედულებისათვის. დადგება დრო და ნიღაბმორგებული, წესჩვეულებების ნაფიცი ,,მსაჯულები» (რომლებიც პირველნი თვთონ არღვევენ ამ წესებს) გააკრიტიკებენ ჩემს სითამამეს, უსირცხვილობას დაარქმევენ მას სახელად და ყველას დასანახად ჯვარზე გამაკრავენ, ქვეყნის ყველაზე მაღალ მწვერვალზე, იმათ სამაგალითოდ და დასაშინებლად თუ ვინმეს ჩაუსახლდება სული, ჩემნაირი ხმის ამაღლების. საგულდაგულოდ შეზილავენ ხელში ტალახის გუნდას ჩემზედ სასროლად, მაგრამ თვალსაც ვერ დამახამხამებინებენ, რამეთუ ვიცი, ხშირად ის ისვრის, ვინც ტალახის ღირსია თავად.

ბევრჯერ ჩაატარებენ ექსპერიმენტებს ჩემზედ, რომ გადამაკეთონ. ხმის ჩახლეჩამდე ვიყვირებ ხელფეხშეკრული და უკანასკნელად მაინც ამოვიხავლებ – რომ სიგიჟემდე ვარ შენზედ შეყვარებული და რომ ამ აღიარებისათვის მსჯიან სწორედაც!..

გთხოვ, გამაძლებინე ამ სამყაროში და მომეც უფლება, შენთვის დავიხარჯო – უკანასკნელ შეგრძნებამდე, მხოლოდ შე-

ნთვის!!!

ლოფორთქანა ვაზის ლერწივით შემოგეხვევი ერთადერთ ჭიგოს... საკოცნელად გამოწეულ შენს ტუჩებს უდაბნოს ქარებისაგან დაზაფრული, მწყურვალე მგზავრივით დავეწაფები და კოცნასა და კოცნას შუა ჩაგჩურჩულებ: მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ!.. არ მოგცემ რაიმეს თქმის უფლებას, თუნდაც სასურველის... დრო დადგა ჩემი ხმის ამაღლების და ბოლომდე ამოვაპირქვავებ ნაგროვებს დროისას და ჟამისას!..

მე უკვე არ ვეძებ დოგმებს, ვერ ვიცავ წესებს, რომლებიც ჩემი ნებისა და გულის საწინააღმდეგონი არიან ხშირად...

მე მართალი ვარ საკუთარ თავთან... და თვით ღმერთთანაც, რამეთუ ღმერთმა მიბოძა ნიჭი, ასეთი უგონო და უანგარო სიყვარულისა.

ჩემი სიყვარული არავის ვჩაგრავ და ვემუქრები; არავის ვართმევ თავშესაფარს; არავის ვთხოვ იომოს ჩემთვის – თუ-მცაღა მინდა...

მე ვგრძნობ, ვხედავ, აღვიქვამ,მენატრება, განვიცდი, მქენჯნის და ეს ყველაფერი ერთი დიდი და ამატკივებელი სიყვარულია ჩემი.

შენი ოღშივარავარდნილი, ვნებამორეული სუნთქვის ნაწიბური ვარ. მე შენს სხეულში გადმოვსახლდი მარადიულად... და თუ არს რამე ცხოვრება იმქვეყნიური, მე იქაც შენში გავაგრძელებ სიცოცხლეს ალბათ.

...სიგიჟემდე ვარ შენზედ შეყვარებული!!!

05.10.2009 წ.

სოფელს მოდარაჯობდა

...ღობე მთლიანად მოშლილიყო გზის მხრიდან. - დიდი თოვლი მოვიდა და დაამტვრია ბაბუაო - მითხრა სოფელს შემორჩენილმა მოხუცმა...

ქვედა მხრიდან, მდინარეს გაუმაძღარივით გამოეკბიჩა მიწა, ჩემი ბავშვობის ნასახლარი მიწა... საქონლისაგად გადაჯეკნილ ყანას ნაღვლიანად მოვავლე თვალი და დედამიწაზე ყველაზე სურნელოვან ეზოს ვაშლზე შევაჩერე მზერა... ვაშლის ხესთან თმებგაჩეჩილი, ფართოდ თვალგახელილი იდგა ნაადრევად წართმეული ჩემი ბავშვობა და ფეთიანივით შემომყურებდა. შემრცხვა და თვალი ავარიდე... უფრო სწორად

შემეშინდა თვალებში ჩახედვის - მე, შენ, მან - ყველამ ხომ მივატოვეთ და იმიტომ...

ვინ იცის რამდენ დაცარიელებულ სოფელში, რამდენ ვაშლის ხესთან რამდენის ბავშვობა დგას ?...

იდგა ჩემი სიყრმის ხესთან ჩემი გაბუტული ბავშვობა და სოფელს დარაჯობდა... უბრად დავცილდით ერთმანეთს და დღემდე ვფიქრობ: ის არის ჩემში თუ მე დავრჩი მასში?..

შეხვედრა წარსულთან

...ის წარსულიდან მოდიოდა, მე აწმყოდან შევხვდი... ორი ათეული წელია თითქმის გასული, რაც აღარ მინახავს. ვიდექით ქუჩის სხვადასხვა მხარეს და ჩვენს შორის გზა კი არა, მთელი ცხოვრება იწვა, უერთმანეთოდ განვლილი ცხოვრება. ქუჩა გადმოკვეთა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა, თითქოს გუშინ დავცილდით ერთმანეთს და შეხვედრა ამ ადგილზე დავთქვით, ისე ჩვეულებრივად შევხვდი და მივესალმე. ხელის ჩამორთმევის დროსაც განსაკუთრებული ვერაფერი ვიგრძენი (ჟრუანტელს რომ გივლის და ტანზე ბუსუსებად გაყრის)... საკმაო მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ შემომთავაზა ყავა ერთად დაგველია. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და მე და ჩემი მოგვარე და მეგობარი (რომელიც ასევე ყავაზე მეპატიჟებოდა და თან მწვავე და მტკივნეულ საერო საკითხებზე უნდა გვემსჯელა) ასე ავღმოვჩნდით მის მანქანაში... რატომღაც მოინდომა თავის ბინაში წავეყვანეთ და ულამაზესი და უკვე დაქალებული შვილებიც გაგვეცნო... მე და ჩემი მოგვარე ვსვამდით ყავას, ვსაუბრობდით ზემოდხსენებულ თემებზე და მესამე თვალით მამა-შვილების ურთიერთობას ვაკვირდებიდი. არ დაგიმალავთ და შემშურდა, ხომ შეიძლებოდა ის ჩემი შვილების მამა ყოფილიყო... უმცროსს ყური გაეხვრიტა ორ-ორჯერ და ნაცვლად იმისა, რომ გაბრაზებულიყო, დაყვავიბით უთხრა: მამა, არ გეტკინაო?... მერე თავადაც ჩაგვერთო დისკუსიაში და გამახსენდა: როგორი აზრიანი პოზიცია ჰქონდა ხოლმე ნებისმიერ თემაზე შორი ბავშვობისას, როცა რამეზე ვკამათობდით...

ლექსებსაც რომ მიკითხავდა ეგეც გამახსენდა...

ეჰ, განა მთელი ცხოვრება ბოლოს მოგონება არაა?... ოჯახებშიც თავად ჩამოგვარიგა. ჩემი მოგვარე ადრე ჩამოვიდა და საკმაო მანძილი იყო ჩემს სახლამდე, რომ გვესაუბრა... შენზე მომიყევიო - მითხრა... ძალიან მოკლედ ვუთხარი ჩემზე და მი-

თხრა: ძალიან მეტკინა შენი ამბავიო, დავიტვირთე და დავფიქრდიო...

ეგონა ნაწყენი ვიყავი მასზე, როცა მკითხა თვალებში რატომ არ მიყურებო?..

მე ვეღარასოდეს შემოგხედავ ისე, როგორც ადრე გიყურებდი, რატომ ან რა უნდა მწყენოდა, ცხოვრებამ სხვადასხვა დინებით წაგვიღო და სხვადასხვა ნაპირზე გავინაპირეთ-მეთქი, ვუთხარი...

შენ კარგად გაინაპირე, თანაც კარგი ოჯახი გაქვს და ის გოგო რომ არა(მისი ცოლი), ვინ იცის ახლა სად და როგორ იქნებოდი-მეთქი... ორაზროვნად გაიღიმა და არაფერი თქვა, ჩავთვალე რომ ამით ყველაფერი თქვა...

როცა მანქანიდან გადმოვდიოდი,

მომაძახა - რა დროც არ უნდა იყოს და რაშიც დაგჭირდე, არ მოგერიდოსო...

ძალიან ჩვეულებრივად გადავუხადე მადლობა, ორი ნაბიჯი გადმოვდგი და რაღაც უხილავმა თავისით მომიგრიხა კისერი და მიმავალი მანქანისკენ გამახედა...

...და კიდევ ერთხელ მივხვდი: მართალია, ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში, მაგრამ არც ერთი გატაცება უკვალოდ არ ქრება თურმე...

ის წარსულიდან მოვიდა, მე აწმყოდან დავხვდი, სამომავლო კი აღარაფერი გვქონდა საერთო, გარდა მოგონებებისა...

25.03 . 2018 წ.

მთების ხიზანი

ჩემო უდრტვინველო მთავ ქათქათავ, შენს ნატრულს რამდენჯერ მიტირია...

მახსოვს ველმინდვრები დახატული... სიზმრებს შეხიზნულო ობოლივით... გულზე ყაყაჩოთა აალებით; წვიმის სევდიანი იდილია...

თითქოს გეხები და თავს გახსენებ, ყელში მობჯენილი წლები მახჩობს... წრეში ბურთი რომ ავიცილე, გადავხტი და ფეხი გავიჭერი, ახლაც მახსოვს...

ჩემი ბავშვობის ნაიარევს ჩუმად დავატარებ ფეხისგულით... როცა სულში უსაშველოდ ამტკივდება უშენობა და ჯიხურზე ცისფერ კაბით შარაშური, თვალს დავხუჭავ და ჩემს ცხენებს,

ლურჯა ცხენებს, მხოლოდ თქვენსკენ მოვაქანებ თქარათქურით...

წარსულის და მომავლების სადარაჯოდ, ათასწლეულს, ათი-ათასს და მილიონს – გაუძელით, გაიმაგრეთ საძირკველი, ჩემო მთებო,მინდა თქვენ რომ შეგაფაროთ, ის პუტკუნა, მზით დამწვარი, ურჩი გოგო...

წამის ყველა მეასედში ჩამისაფრდი და არ დამტოვო რიყის ქვასავით მდინარის პირას... ლეგა ნისლები მქრჩოლავ ყალიონს ახლაც მაგონებს და საიდანღაც თითქოს ნიავს მოაქვს სურნელი, ახალგაცელილ ჭალაში რომ სდიოდა თივას...

ხავერდოვანი ხმა მამისა, შეპარულ წყრომით, შუბლზე ხელმოსმით, შიგადაშიგ „ოქშის“ ძახილით ზანტად მიმავალ ალმასას რომ უწყრება თითქოს და თან არ უნდა უღელში გაბმულ ორი ხარიდან სულ ყოველთვის რომ მხოლოდ მას უწიოს სახრე...

ხარიც კი მიხვდა, თითქოს ჩაწვდა მამის საფიქრალს, თავის მეწყვილეს გადახედა და თავი ჩაქინდრა..

შავი ხარი კი ზეითუნას რომ ეძახის მამა,ლამის დაიტევს გაშლილ მხრებზე მთლიან საწუთროს,ნაღვლიან მზერით მორჩილებას რომ

გიდასტურებს,პატრონისათვის ერთგულებას სხვა ხარს არ უთმობს...

აგერ დედამაც ტყაპატყუპით გამოცრა მჭადი – „მამა მოვაო, არგასაზრდელო, წყალი მომიტა! შე ახტაჯანავ მთელი დღეა ბაღნებს რომ დასდევ და დასვენება მე რომ მჭირდება, მაინცდა-მაინც ახლა მოგინდა?!“

ზლაზვნით ვიკრიბავ ანცობისაგან დაღლილ სხეულს და „გუგუმით“ ხელში ფეხშიშველი მივალ წყაროსთან და ცისარტყელას გაელვებაც მგონი ვერ მასწრებს, ქოშინ-ქოშინით ისევ ვბრუნდები სახლის ახოსთან...

მამა მოსულა, ისვენებენ სახლს წინ ხარები, მე კი მეგონა წლის სისწაფით მომქონდა წყალი... ჯაფით და სიცხით გაწამებულს აუკეცნია დედას თავზე თეთრი ლეჩაქი...

გაშლილ ტაბლაზე ჯვარდასმული ცივდება მჭადი...

მამის რიდი მაქვს და ლოყები ამიფაკლდება... ნუთუ ამდენი დრო დამჭირდა წყლის მოსატანად?! მამა ხვდება რომ გული დამწყდა, დავაგვიანე – თავზე ხელს მისვამს და ტკბილად, ტკბილად ჩაიბუბუნებს – ნუ გეშინია, კიდევ მოიტან ეგ არაფერი, მოდი დაჯექი, ბაბი და სააკაძეზე სიმღერა რომ იცი ახლაც „იანღულად“ ჩაიღუღუნე. ვიწყებ სიმღერას და დედას და მამას

მეათასეჯერ ცრემლი ადგებათ და იმ სპეტაკი ცრემლების ჩქერი დღესაც ჩემში დის და არ თავდება...

თვალს ვხუჭავ და ამ ჩემს ცხენებს, ლურჯა ცხენებს, ჩემს წარსულში მივაქანებ გამალებით. ხან დაბურულ ტყეში ჩრდილებს ვეკიდებით, ხანაც ჩვენს წინ არ ილევა ტრამალები...

ჰოდა, ჩემო უდრტვნელო სიყმაწვილევ, შემომიჩნდი და წამითაც არ გამრიყო, მე კი მინდა ცადაბჯენილ თეთრობის მთებს მაგ ბებერი ფიჭვებივით შეგახიზნო!!!

27.07.2014 წ.
21:34 სთ.
თბილისი. ინფექციური საავადმყოფო.

***

....ისეთივე ღამეა ჩემთან და ისეთივე საფიქრალს ხედნი, როგორც მაქ, სადაც ხარ და ვინაც ხარ...

ცასაც წასკდა ფიქრები თოვლის ფანტელებად უმოწყალოდ რომ ენარცხებიან დედამიწის ზედაპირს...ზღვას კი დუჟად მოდგომია და ხმელეთის წალეკვა განუზრახავს..

ახლა იქ და ისე მეფიქრები, როგორც მაქ და როგორც შენ (ალბათ)...

ისე თოვს და ისეთი შორია შენი სადგომი, გამიჭირდება გადმოვლახო თოვლის უღელტეხილები... შენთანც მოთოვა (ალაბათ)...

ისე, რაღა მოგატყუო და ნაკველევს ვერ ვიტან თოვლზე, ამიტომაც არ მოდიხარ, რომ არ გადამიკვალო(ალბათ)...

გამოდარებაც იცის ჩემმა ამინდებმა და ვაი მას, ვინც ატმის კვირტობას შეესწრება... პა, პა, პაა...

...ცხელი და მწველია ჩემი დარი, ნაავდრალზე, როგორც შენი (ალბათ)...

იცი, ამას წინ რომ ცისარტყელა გამოჩნდა ნაწვიმარზე, ის მე გამოგიგზავნე, შენც იგივე გააკეთე (ალბათ)... იმიტომაც ჩანდა ისე ფერადი...

მე შენს გულში ვსახლობ: იქ,იმ წუთში და იმ გულში - სადაც ხარ,როცა ხარ და ვისიც ხარ...

წარმოგიდგენია? - ჩემმა თითებმაც დაგიმახსოვრეს... ამიტო-მაც მეფიქრები ვინაც ხარ და სადაც ხარ...

15.02. 2017 წ.

***

...გაგიკვირდებათ და ზღვა ამოყირავდა თითქოს...

უფრო გასაკვირი კი ისაა, ცამ მიწაზე გადმოინაცვლა და ჰეე - დაეშვა ,,ამოყირავებული ზღვა» და რა დაეშვა... მოიხსნა პირი დალოცვილმა და ჩამოიქცა არა მიწაზე, არამედ ცაზე, როელიც ცის გადაცვლილ ადგილზე გაწოლილიყო...

...არადა როგორ მიყვარს, ასეთი გიჟური, თავდავიწყებამდე აშვებული და აღვირახსნილი წვიმა,რომელიც ისე მიღერღავს გამოუსწორებელი დანაშაულისაკენ სწრაფვის სურვილს,რომ არა დროული გამოფხიზლება -დამთავრდაააა.....

...არა, მეტიჩარა და მოჭარბებული მზის დაჟინებულ, მომაბეზრებელ ცქერას,გიჟი წვიმების ჯერი მირჩევნი... რაღაც ისეთი აქვს დალოცვილს, წლებს რომ ახურდავებს და წინ გაბრუნებს, თავნება ბავშვობაში...

...აუუ, როგორ მიყვარს ეს თავნებობა, როგორ მენატრება და როგორ მაკლია ხოლმე...

გაღმითა ნაპირი

....ჰო, მე მარგო ვარ, გიჟი მარგო, რომელსაც ყოველ დღეს შუბლზე დედამიწის ცოდვებს აწერენ...

,,წელიწადში ერთხელ თუ ჩამოივლის ღმერთების მწუხრი მხოლოდ»...

...იმ ღამით ჩამოიარა...

შენ დუმილი თქვი თორე, ყვირილს ვის დაასწრებ?!..

იმ ღამით ცაც დუმდა, ფილაქნებით გადაკირწყლული გზაც და გლუვსა და გაყურსულ ზღვაზე გაწოლილი ფერადი სვეტებიც კი არ ირხრეოდნენ, რომ შენი მოგონებებისთვის მყუდროება არ დაერღვიათ...

შენ სიჩუმე თქვი, თორემ ხმაურს წინ რა უდგას?!

და მიყვებიდი: შენს ღამეულ მისტიკაში ჩარჩენილ მოგონებებზე, ის თუ როგორ გამოგეცხადა (გარდაცვალების შემდეგ) ბაბუის ძმა ღამით, გზაზე და გეძახოდა... რომ შეგეშინდა ისიც არ დამიმალ (შენ ახლაც გეშინია,შენი შფოთიანი ძილია ამის დასტური, თუმცა მითხარი, რომ ნევროზის ბრალია...არადა ვინ მასწავლის ბავშვობიდან გამოყოლილ შიშს?.) თითქოს გაძალებდი, ისე წრუპავდი ლუდს ზედიზედ მეც შემომთავაზე,

არადა ათასჯერ მაინც მითქვამს, რომ ლუდი არასოდეს დამილევია მას შემდეგ, მამამ რომ მერვე კლასელს გამასინჯა და უკანვე გადმოვაბრუნე პირში ჩაგუბებული...

ჩემი ხათრით დალიეო-მითხარი და გავშრი,ზუსტად ასე მითხრა მანაც ერთ დროს და ვერ მოვეხათრე, დღემდე არ ვიცი ლუდის გემო... შევცბი, არ შეგემჩნია ჩემი წარსული, მაგრამ რას შეამჩნევდი, როცა შენ სულ სხვა თვალით, სხვაგან იცქირებოდი...

...ეს მე გიმზერდი მხოლოდ, შენსკენ და შენში...

შენ დუმილი თქვი თორემ...

-მერვე კლასში ვიყავი ბაბუაჩემის ძმამ პირველად რომ მანდო თოფი...კარგი კაცი იყო, საინტერესო, ჩემს ხეობასავით დაბურული და იდუმალი-ამავდროულად... იმ ღამით საიდანღაც ის მოვიდა, ჩემი ძმა (ბავშვობის მეგობარს ეძახი ასე) მე თოფს ვწმენდდი, ბოთლით არაყი მოიტანა და გამურულ ტაფაზე შემწვარი, ვირთხის გადაღრღნილი კუპატიც ზედ მიაყოლა... მისი ჯიგრიანობა და მოხუცისადმი პატივიცსემა გამოხატა იმ ჩემისამ, თორემ თაგვის ხსენებაზე სუფრიდან გარბის... ის ქოხი სოფლის განაპირად იდგა და შუაცეცხლის გამურულ ჭერზე მუდმივად ეკიდა კუპატი და შებოლილი ლორი... ხშირი ხტუმარი ვიყავი იმ ქოხში და ბევრი ლამაზი მოსაგონარიც დამრჩა.

...ძალდატანებულივით წრუპადი ლუდს, პირდაპირ ბოთლიდან და გონითაც და სიტყვითაც იქ იყავი-ღამეულ მისტი-კაში ჩარჩენილ მოგონებებში... - შენ რატომ არაფერს მეუბნებიო - მკითხე...

მე კი ვიდექი ჩემს ნაპირზე, ჩემს ზღვასთან, ჩემი ზღვა სათქმელით და ვდუმდი...

... დუმილი თქვი შენ თორემ ყვირილს ვის დაასწრებ!.

ვფიქრობ მართლა მარგო ვარ, გიჟი მარგი...

გისმენდი...

გიცქერდი...

პროფილში და მივხვდი - შენი სიყრმის ძმაკაცის და ბაბუის ძმის სახელით შენს ბავშვობას ეფერებოდი...

მინდოდა მეთქვა - შენ ახლაც ბავშვი ხარ, უფრო სწორად მე გაგიბავშვდი, რომ შენ კაცად გეგრძნო თავი -,,დიდ კაცად»... - ხომ არ გცივაო - მკითხე... შენი ჟილეტი მეცვა, ამასაც მოგცემო ჟაკეტზე მითხარი... არა-მეთქი გითხარი და სულში სასწაულად გადანახულ ნაღვერდალს დავუწყე ბერვა, რომ არ გამნელებოდა,ნაქარბუქალი მთასავით სული არ გამშიშვლებოდა...

-ამას იმ ჩემისას ვაჩუქებ,რომ ვნახავო-საათზე მითხარი,

ჩემი ცხელი მაჯიდან რომ მოვიხსენი და პულსისცემაც გამოვაყოლე შენს მსხვილ და მამაკაცურ მაჯაზე შემოსახვევად...

ჰო, საათი კი არა, პულსისცემა შემოგახვიე მაჯაზე იმ წუთში... არა, არ მწყენია, რომ ძმაკაცზე გასცემდი მას, პირიქით - გამიხარდა, რომ სიყვარული შეგიძლია, რომ სადაც ქვეყანაში ძმობა ღალატად გადაქცეულა, შენ ერთგულობდი -„ძმებსაც» და საკუთარ თავსაც... თორემ იმდენი მინახავს ქალის ფეხებთან დაცემული ძმობის ღალატი, მცნება „ძმობა» შემცოდებია...

...ეეჰ, შენ სიჩუმე თქვი თორემ ხმაურს რა უდგას წინ?...

ზღვა ისევ დუმდა,როგორც ღალატზე წასწრებული მიჯნური...

ზღვაზე გაწოლილ ღამის ფარნების ფერად ჩრდილებს უზარმაზარი „ამწეკრანების» ჩრდილებმა გადაუარეს... - დინიზაურებს არ გვანან ეს ჩემისები, ნახე რა მაგრა გვანან მართლა ტო! - მიმახედე გვერდითა ნაპირისკენ... გამეღიმა, მართლაც ურჩხულებივით ირხეოდნენ საზარლები და თითქოს ცდილიბდნენ ცამდე მიწვდენას, რათა ზეცისთვის გულმკედი ჩამოეკაწრათ...

ჩამოეხიათ...

ყველა აორტა გამოეგლუჯათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაცლილიყო სისხლისგან ჩემი ცა...

ზეცა ცისფერი სისხლისგან დაცლილიყო...

...ნეტა, მართლა მარგო ვიყო, გიჟი მარგო და დასასრულიც მარგოსნაირი მქონდეს - ვერახსნილი და ვერმიხვედრილი წაუ-კითხავი წიგნივით...

...ცა არ დაცლილა იმ ღამეს...

ვერ დამიცალეს!..

გავბედე და ლექსი წაგიკითხე, არც კი გემახსოვრება-მჯერა... - ეს ჩემზე არაა დაწერილი,ხომ ასეაო-მკითხე... და მეც გაყურსულ სამყაროში, ფეხაკრეფით გამოვყევი გვერდით შენს უზარმაზარ აჩრდილს, შენი მისტიური მოგონებები რომ არ დამეფრთხო...

...იმ ღამეს იდგა ღმერთების მწუხრი და უცვლელი # - 202...

შენ ძალიან ღია თვალები გქონდა... ღია ფერისა კი არა, ღია,ყურთამდე გასნილი კარებით და შეფარვით მომეცი უფლება შემომეხედა (თორემ შენც იცი, შენი ნების გარეშე თვალსაც არ გისწორებ)

... და შენს თვალებში, ღია თვალებში შენი მთელი სამყარო ჩანდა...

ვერ მოგატყუებ, ვერ ვიპატიე, რომ მიყვარდი და ჩემს გვე-

რდით მჯდომი როგორ მიყვებიდი მასზე თუ შენზე?..

ალბათ სიყვარულიც ამას ქვია - გიყვარდეს თავისი ნაცხოვრებით და ყველა იმ თანამგზავრით, ვინც მას ახლდა და ახლავს დღესაც...

...ჰო, მე შეიძლება გიჟი ვარ, გიჟი-მარგო, რომელსაც ყოველდღე შუბლზე მთელი სამყაროს ცოდვებს აწერენ, განა უცოდველი ბავშვების ხელით, ყველა ცოდვილი ცდილობს თავისი ხელწერა შემატოვოს...

...ალბათ დასასრულიც მარგოსნაირი მექნება...

მისგან განსხვავებით ნიჟარებსა და ზღვის კენჭებს ვაგროვებ, იმედია ყველას შეგხვდებათ თითო მაინც... თუმცა რაც მქონდა გავეცი, უკანასკნელი ქვა შემოვიტოვე შენთვის, ფერადი კენჭი...

რავი, ნიჟარებს ქვა არ გირჩევნია? - სადა გაქვს აბა მაგის ნერვები ნიჟარის შრიალს ყური უგდო და ჩემი ზღაპარი მოისმინო (სხვა ზღაპრებისგან განსხვავებით ცუდად რომ მთავრდება ყოველთვის)...

ჰო, ცხოვრების უზარმაზარ კედელთან ჩამომდგარნ ბიჭებს,ღონემიხდილი ხმითა და ფერწასული თითებით ვიხმობ და ჩუმად ყურში ვეტყვი - მე შენ მიყვარდი!..

ჰო, მე ყველა მიყვარს და უნდა გახსოვდეს, მთელი სამყაროს სიყვარული შენთან არაფერია, (სხვაობას უნდა ხედავდე).

... რა ვქნა,მე გიჟი მარგო ვარ და სრულიად მარტომ, ღამე სატვირთო მატარებლების თავზე გადაჭიმულ უზარმაზარ ხიდზეც შემიძლია გადავიდე, თუკი მეორე მხარეს მეგობარს ვჭირდები...

...ხშირად ვღიღინებ მეც, ოღონდ იმას არა, მარგო რასაც მღეროდა -,,პარახოდით მოვიარე აზია, მოდით ნახეთ მარგო რა ლამაზია...“ მთლად მარგოც კი ვერა ვარ, სამწუხაროდ... (თეთრი პერანგი არასოდეს გამირეცხავს შენთვის) თუმცა ყოველდღე შუბლზე დედამიწის ცოდვებს მაწერენ...

...მე კი სიყვარულის კალენდარი შევქმენი და კი არ ვხევ ფურცლებს, პირიქით ნაფლეთებს ვაკოწიწებ და ვაწებებ, რომ ბოლოს და ბოლოს ისეთი გამოვიდეს, რომ ჩემსავით გიჟმა მარგოებმა სწორად დაათარიღონ სიყვარულები - დედამიწაზე ყველა სახის სიყვარულები...

ჰმ, დუმილი თქვი შენ თორემ სათქმელი იმდენია...

კესანებს ვამჯობინებ თუ მაინცდამაინც არ მოიშლი, რომ ყვავილები მომიტანო...

არა, გვირილებიც მიყვარს - ჩემს, შენდამი გრძნობასავით

თეთრები, სუფთები, უანგაროები, ფურცელ-ფურცელ დაცლილები (როცა-ვუყვარვარ, არვუყვარვარს თამაშობენ)...

...შენ ამ კალენდრის ბოლო ფურცელი ხარ, წერტილდასმული და ყდაამოკრული...

...ახლაც ჯერავთ იქ, შენს ღამეულ მისტიკაში ჩარჩენილ სამყაროში, რომ ქარზე სწრაფ ბედაურზე ამხედრეული ამორძალები სარკმლიდან გამომავალ ვიწრო შუქზე წამიერად ჩნდებიან და ოქროსქოჩორა ბიჭებს მომნუსხველი მზერით ტყისაკენ იტყუებენ... იქ, შენს საოცრებათა მხარეში, სადაც ნისლები ბურავენ მთებს, ყველაფერი სასწაულია და დღესაც გაჰკივის ჭოტი შიშისმომგვრელ ხმაზე ...

ჰო, მე მარგო ვარ, გიჟი მარგო...

...ეჰ ,შენ დუმილი თქვი თორემ, სალაპარაკო იმდენი მაქვს!!!

30.12. 2017 წ.

ბადრის სიზმარი

...ჩახუთულმა ჰაერმა და კარზე კაკუნმა გამოაღვიძა... სასწრაფოდ გადაიცვა რაც ხელში მოჰყვა... ხალათი? - აღარც კი მახსოვს როდის მქონდა... ისე რატომ არ უნდა ქონოდა ქალს ხალათი?.. ეს კიდე სხვა თემაა... ან რამ გაახსენა ახლა ხალათი... ძლივსძლივობით გადააბრუნა ნახევრად მოყანყალებულ კარებში გასაღები და...

...უი, გამარჯობა ბადრი, ხომ მშვიდობაა?

...კაცმა ნაბიჯით უკან დაიხია და შეემზადა...

...პაუზამ კინაღამ გული შეუკუმშა საშინელების მოლოდინში,მაგრამ როცა გაახსენდა ის სახლში იყო, ცოტა დამშვიდდა და კითხვა გაუმეორა ჯერარგათენებულ დილას მოსულ დაუპატიჟებელ სტუმარს... კაცმა ისევ დაიხია უკან და დაიწყო - „იმათმა გამომაგზავნეს,ბიზნესი აქვთ და დიდი ფულით უნდა დაგაფინანსონ...

...ვინ იმათმა, ბადრი?..

...მაცალე!.. თქვენ სახლიც გექნებათ და ის სამუდამოდ განიკურნება...ცოტა შორს მოუწევს წასვლა, მაგრამ განიკურნება ნუ გეშინია... მე ეს ვიცი...

...სად, საზღვარგარეთ?..

...ხომ გითხარი მაცალე-მეთქი!.. კაცს არაამქვეყნიური ნერვიულობა დააჩნდა სახეზე...

...კაი, ნუ ნერვიულობ, დამშვიდდი და ისე მომიყევი...

...ვინაა, ქალო, ამ უთენია? - გამოსძახა ლოგინიდან კაცმა...

...ჩვენი ბადრია,მოვალ და გეტყვი რისთვისაც მოვიდა... მერე ბადრი?

...მერე ის, რომ ძალიან მალე გამდიდრდები... შენ და მას ცალცალკე გექნებათ სახლი...

...რატომ ცალცალკე?..

...ასეა ახლა საჭირო და იმიტომ...თქვა ეს და კაცი კიბეებზე დაეშვა...

...ბადრი,იმათ სახელებს არ მეტყვი, ვინც გამოგზავნა ჩვენთან? ან სად ნახე შენ ისინი?..

...სიზმარი ვნახე და ისე იქნება ყველაფერი როგორც მე გითხარი...

...ბადრი ამ უსახურ და ბოღმად ქცეულ ქალაქში ერთადერთი სუფთა არსება იყო,თუმცა მას ქალაქელები გიჟს და ავადმყოფს ეძახდნენ...მას კი ისე ძალიან ენიშნა ბადრის სიზმარი, ოთახში შებრუნებულმა კაცს დაუმალა და უთხრა რავი, რაღაცები იბოდიალაო... მთელი დღე დასცინოდა კაცი - ქალო ბადრის მეტი კაცი რომ არ მოგაკითხავს რაღა ქალი ხარო(ასეთი ხუმრობა იცოდა,სასწაული იუმორით გამორჩეულმა). მეორე დღეს კი კაცი მართლა განიკურნა,ოღონდ ამქვეყნის სიბინძურისგან და უფალს მიაბარა თავისი ნაჯაფნაფლეთი სული...

...აკი ბადრიმაც თქვა - „თქვენ ცალცალკე გექნებათო საცხოვრებელი, ასეა ახლა საჭირო და იმიტომო!...“

23.07.2015 წ.

დაბრუნება

...თეთრი იყო, მთლად ჭაღარა, თოთქოს არც არასოდეს ქონია ერთი ღერი შავი... მკერდამდე დაფენილი წვერიც თოვლივით ქათქათა ქონდა. ხოლო ულვაშებთან და ტუჩის კიდეებთან თამბაქოს კვამლი ყვითლად აჩნდა.

იჯდა ხავსით შეჭმულ კიბეზე და შესამჩნევად მოხრილ მხრებზე ეტყობოდა როგორ მძიმედ ეკიდა წლების სიმძიმე... დედაბრის კბილებივით ამოცვენილ მესრის თავში, საიდანაც

სავარაუდოდ შემოსასვლელი უნდა ყოფილიყო, ჭიშკარი ისე დამპალიყო, თითქოს არცკი ყოფილიყოს არასოდეს...

ირგვლივ მესრის, ჭიშკრის, ხავსმოდებული კიბისა და სულიერის არარსებობა სუფევდა.

მზე კი აღმართზე ამავალი მოხუცივით ხვნეშით ითქვამდა სულს...

თეთრი იყო, მთლად ჭაღარა, წლები და მისი ნაირფერები, რომელიც შესამჩნევად მოხრილ მხრებზე ეკიდა, მხოლოდ თეთრად შემორჩენოდა მეხსიერებაში.

აღარც კი ახსოვს როდიდან დაიწყო, ან საიდან დაიწყო მისი პირველი ნაბიჯები ამ ეზოში... ახსოვს მხოლოდ - იყო უცხო მიწა, წეს-ჩვეულებები და ბავშვობის სიზმრებში ჩარჩენილი მშობლიური სანახები.

არა, არა, არც კი უნდა იფიქროს იმაზე რაც აქაურობის იქეთ იყო!..

იჯდა ხავსმოდებულ კიბეზე და თავის წარმოსახვაში დედის წინსაფარს ჩაფრენილი დააბიჯებდა მიწაზე, რომელიც აღარც კი ახსოვს როდიდან მიატოვებინეს... მერე ჩამოცხა, რაღაცნაირი სიმხურვალე იგრძნო გულის არეში, თითქოს გახურებული შანთი გაუყარესო, მერე მხრებზე აკიდებული წლებივით ჩამოეკიდა ოფლის ცივი წვეთები და...

ფიცარნაგით ჩამოხურული, სუროახვეული სახლის უკნიდან თვალდაოსებული, ბანალგაცვენილი, დუჟმორეული, მოხუცის ბალღობისდროინდელი ცუგას მეოთხე თაობა ბებერი ძაღლი გამოტანტალდა(რომელსაც თითოს მემკვიდრეობით რგებიაო უპატრონოდ მიტოვებული სახლის ყარაულობა, მეზობლების ლუკმის ამარად, რომ მოუტანიათ თავი მის ჯიშს და მაინც ძაღლური ერთგულებით, მოთმინებით ელოდა ამ დღეს... კიბის პირველ საფეხურზე ჩამომჯდარ, დათოვლილ მოხუცთან მივიდა, ბებრული წკავწკავით აულოკა დაოსილი შიშველი ფეხები, შემდეგ უილაჯოდ მიეგდო იქვე და ამდენი ლოდინის შემდეგ, აქამდე ძლივსმოთრეული სული და მისი ჯილაგის ერთგულება შეატოვა ჯერარნახულ პატრონს...

ის? - ის კი იჯდა გაუნძრევლად და უსიცოცხლო, გაყინულ მზერაში, დედის კალთას ჩაფრენილი ნუშისთვალება, გრუზათმიანი ბიჭის კადრი გაყინულიყო...

23.05.2018 წ.

დედას...

მეძახდი, დედა?!

ო, რა ახლოა ფიქრები ჩვენი და რა შორია მანძილი გზისა...

როგორ არ მესმის, შენსას თუ არა ვისას გავიგებ?! რატომ გგონია არ

ვფიქრობ შენზე?– დღედაღამ დედა...

ეს სატკივარი ისე მძიმეა, ნელნელა კორტნის გულმკერდს ქორივით...მეც ხომ დედა ვარ, როგორ არ ვიცი, მაშ ეს ცრემლები რისი ბრალია? ნუთუ სისუსტის?–არა, დედილო, ჩემი და შენი ერთი ტკივილის – დედაშვილობას რომ ეძახიან... მე შენს ამაგდარ ხელებს გიკოცნი, შენ ჩემს სხეულს ხომ ჯავშნად არტყიხარ...

აქ, სხვაგან, ლხინში თუ ჭირში, შენთანაც რომ ვარ მაინც მაკლიხარ...

დე, მეძახდი?!–ჰოდა, მოვდივარ!

ნუთუ ვეღარ გრძნობ?– მე შენს სხეულში, ამ სუნთქვაში, პულსის ფეთქვაში, შენს თითოეულ ცრემლში ვბინადრობ...

ხანდახან დედა, ასე ძალუმად გულს რომ გიტოკებს, იცი რა ხდება? – ჩემი და შენი საერთო ფიქრის, დედა რომ ქვია იმის თანხვედრა...

ახლაც მეტყვი, რომ არ ვფიქრობ შენზე?... დღეში რამდენჯერ გიტოკავს გული, რამდენჯერ გესმის მისი წუხილი, ხელს რამდენჯერ იკიდებ მკერდზე? – ეს იმას ნიშნავს, შენც ფიქრობ ჩემზე, მე კი შენზე და ცოტათი უფრო უმეტეს სხვებზე... შენსავით მეც მყავს შვილები, დედა და შენს და ჩემს სატკივარს,საფიქრალს, ტვირთს თუ სიხარულს ერთი რამ ქვია –

დედაშვილობა!..

მეძახდი, დედა? – ჰოდა, აქა ვარ!

26.07.2014 წ.

ღალატისფერი იდგა ამინდი...

შენი სადგომი ვნახე...

წუხანდელი ღამენაჭდევი...

ჰო, მივედი და ვნახე, რომ უფრო მძაფრად შემეგრძნო ტკივილი...

კედლებს, სახლებს, ცას, მიწას, ანაირფერებულ ბუნებასაც კი ერთი ფერი ქონდა მხოლოდ - ღალატისფერი...

პირთამდე მოღებულ კარებში მოჩანდა ერთერთი უტყუარი ნიშანი და მოწმე შენი ღალატისა - ლურჯი, პაწაწინა ყვავილებით მოჩითული ზეწარგადაფენილი საწოლი... გახევებული ვიდექი კართან და ფეხის გადადგმის მეშინოდა, თითქოს ღვთისაგან აკრძალულ ზღურბლს გადავდიოდი, არადა მინდოდა საწოლს მივახლოებოდი და შენი ღალატის სუნიც შემეგრძნო... (ნეტა რანაირია ღალატის სუნი?...)

...ალბათ, მასაც იმავე სიშმაგით კოცნიდი, როგორც მე(?)

ალბათ, მასაც იმავე გახელებით ჩემულობდი, როგორც მე(?)

ალბათ, მასაც აუშალე იმედები და გრძნობები(?) (მეცოდება)

...ჰო, მე მივედი შენს სადგომში, რომ დაენახა ჩემს მეს, ნაღალატევი თავი და თავი შეზიზღებოდა...

საცალფეხო გზაზე ორი ვერასოდეს გაივლის და შენ გასამება მოინდომე(?)

ბუნებაში არავინ და არაფერი ეგუება ღალატს!...

ჩემი გზა ყოველთვის საცალფეხო იყო და ვიცი ვერასდროს გახდება შარა,მაგრამ ვერც იმას დავუშვებ ქარაფის მხრიდან დაგიდგე და მხრები შეგაშველო,რომ სხვასთან ერთად დაწყვილებულმა იარო... მაპატიე, მე ღმერთი არ ვარ და ვერც ასეთი ღვთისნიერი, ორივე მხარეს ალიყური გავირტყა და მშვიდად დაველოდი განმეორებას...

...არა,დღეს ამინდიც რაღაცნაირი, ღალატისფერი იყო... (ნეტა, რანაირია ღალატისფერი?)

ჰო, მე შენი წუხანდელი ღალატნაჭდევი სადგომი ვნახე!!!

31.03.2018 წ.

დადუ...

...ტვინში ჩაჭედებული ლურსმანივით მეტკინა ზურგსუკან მიკეტილი რკინის ჭიშკარი...

სასწრაფოდ მოვისროლე ჩემი ერთადერთი საკეკლუცო ჩანთა და სამზარეულოდან გამოგდებულ კატასავით გამოვვარდი გარეთ...

ძირში მოჭრილი ფრჩხილივით ამეწვა სიცარიელე, სულ

რაღაც ორიოდე წუთის წინ რომ მიწას ზნექდა სისავსით...

წასულა - გავიფიქრე და ის ის იყო უკანვე შებრუნებას ვაპირებდი,რომ ნაცნობმა სიარულის მანერამ დაიჭირა მზერა ჩემი...

შენ მიდიოდი ძლივსგანათებულ ქუჩაში და შენი ვეება მხრებით ჩემი ოცნებები თან მიგქონდა...

უცებ ბავშვობანა გადავწყვიტე და გამაღიზიანებლად ხმაურიანი ქუსლებით ავუწიოკდი ქუჩას...

-დადუუუ... - დაგიძახე, მაგრამ შენ ისე ჩქარობდი გაცლოდი აქაურობას, არც გაგიგია...

სირბილს ვუმატე, მაგრამ ქუჩის კუთხეში აუხვიე და თვალს მიეფარე... მაინც გადავწყვიტე გამოგდევნებოდი...

აი, ცოტაც და მეც შემოვტეხე კუთხე და დაგინახე - ახლა უფრო ბევრი ოცნება გელაგა მთებივით მხრებზე და შიშნარევი ხმით რაც ძალი და ღონე მქონდა დაგიძახე.

-დადუუუ!!

შედექი და თითქმის შუა ქუჩიდან ჩემსკენ მობრუნდი...

კუკუმალობანას დროს მისწრებული ბავშვივით წამოვიძახე - არის, მოვახედე-მეთქი და მამადაკარგულ გოგოსავით დავდექი შენი სიმაღლის წინ...

-რა მოხდა?-მკითხე...

-არაფერი, გამოგეკიდე-მეთქი გითხარი და მოძალადე ქალივით შეგიცურე ხელები იღლიებს ქვეშ და მკერდზე მოგეყრდენი ისე, რომ დაღლილობისგან სულს ძლივს ვითქვამდი...

ხელები უხეშად გამაშვებინე, ნაბიჯით უკან დაიხიე და მითხარი

-ხომ იცი არ მევასება ეგეთები, ახლავე მიტრიალდი და წადი!

მოვტრიალდი და ისე წამოვედი ერთხელაც არ მომიხედავს უკან...

მე სულ ასე მივდივარ შენგან - უკანმოუხედავად და ხმა-ამოუღებლად...

...არ უნდა გამოგკიდებოდი, უბრალოდ ბავშვობანა მომინ-და...

შენ კი ისეთი ზრდასრულობა დამახვედრე - ჩემი ბავშვობა გაწყვეტილი კრიალოსნის მარცვლებივით გამიფინე ღამის ქუჩაში...

ეჰ,როდის ავკრეფ ახლა ამათ, რომ ისევ გავიბავშვო?!.

არ უნდა გამიგკიდებოდი...

17.02.2018 წ.

მე გამათხოვეს

-შენ, რომ ერთხელ მაინც გეთხოვა ჩემი ხელი, მხოლოდ ერთხელ...

მუხლზე რომ დამჩოქებოდი და ზურმუხტისთვლიანი ბეჭდის ნაცვლად გვირილისგან გაკეთებული ბეჭედი გამოგეწო-დებინა შენი სურვილის გამოსახატად, მე დაუჯერებელი მზერით ცას შევხედავდი და შევძახებდი-

არ მჯერაააა!!!

-უზარმაზარი ქორწილი მქონდა...

-სუფრიდან სუფრაზე შეზარხიშებული ბორძიკით „და-დი-ოდნენ» ყანწები...

-ყელმოღერებული მღეროდნენ საგანგებოდ დაქირავებული მუსიკოსები...

-წამქეზებლური ტონით მოუხმობდა ნეფეს თამადა...

-ნიშნისმოგებით გადმომხედავდა სულ რაღაც ორიოდე წლით უფროსი ნეფე(მე თხუთმეტისაც არ ვიყავი)

-მოურიდებლად მათვალიერებდნენ სოფლის დედაკაცები...

-მე კი ვიდექი: მობუზული, შეშინებული, დაბნეული, თავზე დედოფლის გვირგვინი მედგა და მიკვირდა ვერშეცნობილი ბედნიერების...

...მე გამათხოვეს!..

წესი იყო ასეთი...

მამის სიტყვის გარდაუვალობა...

(ბიჭის მაგივრად ხელი მამამ ითხოვა ჩემი, მამაჩემს თხოვა)

და ჩემი ბედის ქალებს ყოველთვის აქვთ ერთი აუხდენელი ოცნება

-შენ რომ ჩემი ხელი გეთხოვა, ხელში მინდვრის ველური ყვავილით მოწნული ბეჭდით, მე მაინც არ დავიჯერებდი, რადგან ჩემი ბედის ქალებს ხელს არ თხოვენ, ჩემი ბედის ქალებს ათხოვებენ და აიძულებენ იმის ერთგული იყოს ბოლომდე, ვისაც მიათხოვეს...

ზოგჯერ ჩემი ბედის ქალებიც არღვევენ წესებს და ისევ ოცნებობენ-

შენ, რომ ჩემი ხელი გეთხოვა....

***

იცი? - შენს მოსასვლელ გზას ჩემამდე მხოლიდ ერთი ხიდი აქვს, ერთი მოაჯირი და ერთი ქიშკარი...

...სახლს კი ერთი კარი და თუკი გადაწყვეტ, ეს ხიდი, ქიშკარი და კარი გამოიარო, გახსოვდეს - უკანა გზა დაივიწყე,რადგან წამსვლელები საოცრად მეჯავრებიან... ან არ მოხვიდე, ან ისე მოდი აღარ წახვიდე...

ჩემს გულსაც ერთი კარი აქვს, დაიმახსოვრე - მხოლოდ შემოსასვლელი..

***

...მე წავალ, წავალ ისე როგორც მიდიან სხვები და ამ წასვლასაც ვიცი, რომ არ მაპატიებენ...

წავალ, წავიღებ ცრემლიან და მზეჩამქრალ თვალებს, დაბინდულ გრძნობებს, ჩანავლილ ვნებებს და მოკავებულ, მომღრჩვალ ღიმილებს...

ჰო, მე წავალ - ჩემი სევდით, ყოფნა-არყოფნით და კედევ ერთი სამარის ქვას დაათარიღებენ... ნანა,თუ ნანო? - იქნებ საერთოდ უსახელოდ იყოს თარიღი... (დაიბადა და გარდაიცვალა)

... ეჰ,ნწ,ნწ,ნწ-ჩვეულებისამებრ გადააქნევს ჩემი სამარის გვერდით შემთხვევით გამვლელი თავს და გვერდით მდგომს შეეკითხება - გახსოვს ეს ქალი, საცოდავი?! ის კი მხრების აჩეჩვით გაიკვირვებს,ნეტა რატომ უნდა ცნობოდა საფლავის ქვაზე მიხატული ვიღაცა ქალი(?!)

...ჰო, მე წავალ და ისე წავალ ვით განა სხვები? - არა, აქაც ჩემეულს გამოვავლენ არამიწიერ სიგიჟეებს და ვიცი ამაზეც აიჯაგრებიან... როგორ გაბედა ასე წასვლა, ეს რა თავხედობაა, რა უტაქტობაარ...

...ჰო,მე უხეში ვარ,თუნდაც უტუხი; თავკერძა, თვითნათქვამა, ახირებული...

ჰოდა, ამ ყველაფრით წავალ, ჰოო, წავალ ისე, რომ თან გავიყოლებ ყველაფერს ერთად!!!

...სასაცილოა, ვიცი ამასაც არ მაპატიებენ!

მე მაინც წავალ, რადგანაც მოსვლაც არ მიკითხავს არავისთვის...

ნანო
05.10. 2015 წ.

ანდერძი ნატალი სხალთელს

(ლოცვების ნაცვლად მე ლექსებით ვლოცულობ, ღმერთო)

...მინდვრის ველური გვირილებით გადაპენტილ კუბოში იქნება ჩემი სულის ჭურჭელი ჩასვენებული...

ხელში ქრისტიანული წესის თანახმად ჯვარი კიარა, ჩემი დაობლებული სულის ნამსხვრევები მექნება წიგნად აკინძული..

,,უფალო შეგვიწყალენ» წარწერიანი სუდარის ნაცვლად-მწვანე, ხასხა ფერის, ყვავილებით მოჩითული ჩითის კაბა მეცმევა...

რათქმაუნდა თავზე ყვავილების გვირგვინი მედგმება, ოღონდ უმეტესწილ კამკამა ლურჯი კესანები უნდა ჭარბობდეს მასში...

უზარმაზარ დარბაზში ვიქნები დასვენებული ჭირისუფლის სიმრავლის გამო და იმის გამოც, რომ სივრცეები მიყვარდა...

თავის მხარეს ჩემი ლამაზი ოთხი და ჩამოსხდება, ერთიერთ მანეთ-ზე დამწუხრებული და სახეჩამოხოკილი...

მერე დიშვილ-ძმიშვილები (გოგონები)
და მზეჩამქრალ ლამაზ თვალებს ცრემლებით დაიოსებენ...
მეორე მწკივრში ჩემზედ უზომოდ შეყვარებული, საოცრად ლამაზი რძლები ჩამოსხდებიან ვიშვიშით...

მესამე რიგი კი-მამიდებს, დეიდებს და ბიცოლებს დაეთმობათ...(რომლებსაც რატომღაც ახლა გაახსენდებათ- რომ მათი სისხლი და სიამაყე ვიყავი)

მეოთხეში-ბიძაავილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილები ჩამწკივრდებიან(რათქმაუნდა დამწუხრებული სახით, მაგრამ ზოგიერთი იმის ინტერესითაც, ვინ მოვა უკანასკნელი პატივის მისაგებად ჩემთან, რომ მერე სალაპარაკოდ ქონდეთ მეზობლებ-ნაცნობებში ორმოცამდე მაინც)...

მეხუთეში რათქმაუნდა ჩემი მზისგულა სამეგობრო ისხდება-გაკვირვებული და შეწუხებული სახით ჩემს უეცარ გადრაცვალების გამო...

ადუღდება და აზვირთდება მათი გლოვისგან და ჩემი საცოდაობისაგან დარბაზი....

თუ ოდესმე სადმე მიმუშავია იქაური თანამშრომლებიც მოინდომებენ დარბაზში გაჩერებას და ზოგიერთი ფეხზე

მდგომარეც მოისმენს ჩემი გულდამწვარი დების მწარე დატირებას

-რომ ვერ მომიფრთხილდნენ და ვერ შემინახეს დედისა და მამის ნაფერები შვილი, რომ ვერ ანაცვალეს მათი სიცოცხლე მამის ნებიერას, დაძმის ნაბოლარას, ბედდამწვარს რომ ვერ დამიწყლულეს პირღია ჭრილობები, რომ სათანადოდ ვერ ჩააღწიეს ჩემი სულის სისხლის კოლტებად ქცეულ ჯურღმულებში,

რომ თავის დროზე თვალი თვალში არ გამისწორეს!.. შემოსასვლელში უსაშველო სამძიმრის რიგი იდგება-ჩემი გამ-ზრდელი ძმებით დაწყებული, დისშვილიშვილებით დამთავრებუ-ლი...

იდგებიან ვეებერთელამხრებიანი ბიჭები ჩემი ტკივილისგან წელში მოხრილნი და თვალზე ათასჯერ მომდგარ კურცხალს ყელში გაჩრილი ბურთივით გადააგორებენ უკანვე, სულში...

ჰო, რაც ყველაზე მთავარი იქნება უწყვეტად უნდა ისმოდეს(გალობის ნაცვლად) ქართული მელოდიის ფონზე სხვადასხვა პოეტების ლექსები (ცოტა ჩემიც)...

გასვენების ცერემონიალს ჩემი პოეტი მეგობრები უხელ-მძღვანელებენ...

მიუხედავად ჭირისუფალისა და მოსამძიმრეების დაღლი-ლობისა სიტყვით გამომსვლელები მრავლად იქნებიან...

განსაკუთრებული დრო ჩემი დასის ყოფილ მსახიობებს დაეთმობათ, რომლებიც აუცილებლად ჩემი შემოქმედებით ლიტერატურულ-თეატრალურ კომპოზიციას წარმოადგენენ...

იის?-ის კი დარბაზის თეთრად შეფეთქილი სვეტის უკან იდგება და განერი, ცხოვრებისაგან და წუხილისაგან დამძიმებული მხრები საცოდავად ექნება ჩამოყრლი-დააგვიანდა...

ბოლო გამომსვლელი ჩემს ჩანახატს-„მე წავალ» წაიკითხავს და როცა ისევ მოზუზუნე სკასავით აზუზუნდებიან ჭირის-უფლები, როცა ჩემს ყვავილებად ქცეულ კუბოს აიტაცებენ ხელში ჩემი ძმისწულები და დისწულები, სწორედ მაშინ-შორიდან მოღწეული გამყინავი კივილი ცას გასერავს-დედაა!...

ჰო, ის მოვა და წლებში ჩაკირულ ყველა სათქმელს ერთ ამოძახილში ჩაატევს...

მე კი, ნატვრაახდენილს ნეტარება დამეფინება ცივ, ღიმილშეყინულ სახეზე და ანდერძისთანახმად ტყისგანაპირა, გათხრილ, მარტოსაფლავისაკენ წამასვენებენ....

გულზე მიწის ნაცვლად წინდაწინდაკრეფილ ჭრელჭ-

რელ ყვავილებს მომაბნევენ და მერე დამაყრიან-ჩემი სიყრმის ეზოდან აღებულ და შვილის სამარხიდან მოტანილ მიწას...

წესისამებრ მალევე დამტოვებს ყველა და თავთავიანთ სახ-ლებს მიაშურებენ, რადგან აქაც ანდერძისა და თხოვნის თანახმად არავითარი ქელეხი არ იქნებ...

ტყიდან ახოვანი, ლამაზი იერსახის, ცრემლსავსე ბიჭი გამოვა, დამარტოხელებულ, მიწით შეზვინული ბორცვისკენ გამოემართება, მოუახლოვდება, ჩაიმუხლებს, ორთავე ხელით ბორცვის კალთიდან მიწას ჩამოპორჭკნის ფრჩხილებით და მამაკაცისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობით ამოიღმუვ-ლებს - შენ უკვე მეორედ მიმატოვე, დედა!..

ps: მაპატიეთ დასატოვებელი არაფერი მქონდა ჩემი უბადრუკი ლექსების გარდა და ისიც ვიმეგზურე...

04.01.19

არ მაპატიეს

გოგოდ დავიბადე ქვეყანაზე და არ მიგუეს – ბიჭიაო...

მერე, მამამ მზარდა სათუთად და – ოჰო, უშვილო შვილიაო...

ადგილის დამკვიდრება მინდოდა და – მიბრძანდი, ქვეყან დიდიაო...

სხვა ფონი ვეძიე „გაღმა ნაპირისთვის» და – აქ, ბეწვის ხიდიაო...

ერთხელ მეც გავბედე სიყვარული და არ მაკუთვნეს – სხვისიაო...

ქუჩაში გამაჩერეს, მაგინეს და მომაძახეს – ღირსიაო!..

რითმა ვაცრემლე და თავს დამცინეს – უაზრო და გიჟიაო...

გულის კარი გავხსენ ყველასთვის და მაინც დამაბრალეს – ფლიდიაო...

სული მატკინეს და რომ შევჩივლე, არც კი შემომხედეს – მკიდიაო...

მერე, წამაქეზეს – ვითომ მოთმინებითაო, ეს ხომ უდიდესი ნიჭიაო...

კალამი ვიმეგობრე ტკივილის სათხრობლად და გამკიცხეს – ხელში რად გიჭირავსო?!.

სიმღერა წამოვიწყე და გამაჩერეს – ყვავი ვერ იქნება ნიბ-ლიაო...

სულში ჩამაფურთხეს, გამაწბილეს და უარჰყვეს – ვინ გი-თხრაო?!.

ყველა სისუფთავე წამაგლიჯეს და დამაჯერეს – შენ არ გჭირიაო...

ღმერთს დავუჩოქე ტაძარში და – არ გავაო, შენი დანთებუ-ლი სანთლები უაზროდ იწვიანო...

მერე, ვაიღვთისმოსავმა მოძღვართან ცილი დამწამა – ეგ ათეისტიაო...

ერთი კაცი შემიყვარდა, ხალხო და ეს არ მაპატიეს – რო-გორ გაბედეო, შენთან შედარებით დიდიაო...

ვაი, შენს დაბადებას უიღბლოვ – მკვდარი გაჩენილხარ იმ დღიდანო...

იქნებ დამაცადოთ მე ჩემი გავამართლო – გაჩენის მისი-აო...

ეხლა გარიყული ცრემლად ვნიაღვარობ და თავს გამოვუ-ტყდი – ამის გადამტანი მართლაც გიჟიაო...

ყველას ყველაფერი აპატიეს და მე არ მაპატიეს, ხალხო, მე ვერ მაპატიეს!!!

აი ასეთად, აი ასეთად, მთელი განცდებით ვწერე ლექსები – მიუტევებლად ვზივარ მარტოდ და ჩემს სიგიჟეებს ვეა-ლერსები...

04.07.2010

ปัญหาสังคม

ასე თენდებოდა მთებში

...ასე ღამდებოდა მახსოვს-
შეშას უმატებდა ღუმელს,
და ხელმოჩრდილებით, ახლოს,
თვალს არ აშორებდა ღრუბელს.
ასე ღამდებოდა მაშინ,
ოდას გასდიოდა ოფლი...
-რძალო, არ გაცივდეს ბავშვი,
-მამა,სითბოა და ჰყოფნის.
ზეგანს ადნებოდა თოვლი,
ბაბუ დარაჯობდა ღრუბელს,
ყველას სასიკეთოს მდომი,
ტკივილს იფარავდა ულევს:
ციმბირს მსჯავრდებული ვაჟის,
დარდებს გადაყოლილს ცოლის,
თათრის აჩეხილი ვაზის,
და ძმებს გადახვეწილს შორით...
მერე „ნასალდათარ» ქუდით,
სოფელს დაუბრუნდა მამაც,
„რუსი კაცის»დანახვაზე
შვილი გადარია-რამაც.
ძლივსღა შეიჩვია ნელა,
უკვე წამოზრდილი გოგო,
თვალით ანიშნებდა დედა-
როგორ დაგვტოვეო, როგორ?!
...ბაბუ ისევ ეჯდა ღუმელს,
ცრემლი უნამავდა თვალებს,
დარდი ბევრი ჰქონდა მოხუცს,
ღამეს უთეთრებდა ღამეს...
დედა აპურებდა ჯალაბს,
მამა დადიოდა თემში,
ხალხში დაგროვილი სითბო,
სახლში შემოჰქონდა პეშვით-
თითქოს, და აბნევდა ყველას,
ღილ-კიკოლოებად, იად,
მამას დიდი გული ქონდა
ყველა მოკეთესთვის ღიად.
ასე ბინდდებოდა მთებში,
ხვალეს გათენების ნიშნად,

დედის სურნელოვან თმებში,
ბევრი გაზაფხული იშვა.
...ბაბუ იძახოდა ისევ
-რძალო, არ გაცივდეს ბავშვი,
შვიდი ,,ყვავილობის» შემდეგ,
მამის მერვე შვილად გავჩნდი.
სოფელს მოვევლინე ასე,
ვაზის მსხმოიარე ტევრში,
ზამთარ-შემოდგომით სავსე-
ასე თენდებოდა მთებში.
მერე დარდად ვექეც დედას,
მასაც დავუბარდნე თმებში,
თოვლი ადნებოდა ზეგანს,
წლებიც ბერდებოდნენ მთებში!...

03.01.18 წ

***

...მე უკვე მოვკვდი, არ ვიდავოთ ამაზე ახლა,
იქნებ სიცოცხლე თავიდანვე თამაში იყო...
ყოველ დღეს შენი მოლოდინი და სევდა ახლდა,
სევდა, რომელიც ერთხელ სხვაზე რომ არ გაიყო...

ზვარაკი

ისე შეგეჩვიე, ისე შეგეთვისე,
ისე შეგერიე ვშიშობ და.....
არც არა მივიღე, არც რას შეველიე
ეშმას გავმიჯნოდი მიჯობდა.
ისე გიერთგულე, ისე ვიდიდგორე,
ისე ვიშამქორე თითქოს და....
ცოტა მონაგონი, ცოტაც სინამდვილე-
(არც არა იყო და იყო რა.)
ისე ვიმტევანე, ისე ვიბადაგე,
ისე გადავდუღდი ღვინოდ და
ხანაც აფხაზეთი, ხანაც სანაჩაბლო
მარად საქართველო მტკიოდა.
ბაკოს სანახებში კუნძზს თავმოკვეთილი
სელიმის სისხლი სდიოდა,
ხოლო მისი სული ხირხათს ანთებული

უფლის სანთელივით იწვოდა.
გაღმა მაჭახელას წლების ნადინარი
ღელე უთქმელ ტკივილს ტიროდა,
ისევ შემობრძანდეს ხელში ვაზის ჯვარით
სულის გადანრჩენი ნინო და....
სადაც აგედევნე, სადაც დაგისახლდი
იქ გადამიბრუნდა ფეხი და.....
გიორგი დავიტირე, ჩემი ციცქნა ბიჭი
ჯერ ისევ ყრმა დედის ცრემლიდან.
ყური დავიყარე, თვალი დავიბრმავე,
ყველას გავუწოდე ხელი და....
ერთი მიტევება, ერთი შებრალება
არა, არ იქნა, არ მეღირსა.
ურდოს გავექეცი, გახრწნის შემეშინდა,
კლდეზე გადავყევი გვანცას და....
ნატვრის თვალებივით ფერად-ფერადები
ქვები მიგროვია გაგრას და.....
გლეხის ქალიც ვიყავი, ვიყავ დიდებულიც,
ლეკეთს გამიტაცეს ქეთოდ და....
ყველგან დაგეძებდი, ყველგან გიფარავდი,
ოღონდ არაფერი გტკენოდა.
ასე ნატკივარი, სულის ნატყვიარი
დაღად დამჩნევია ადათგან
შენ ნუ დაღონდები, შენ ნუ ჩამორჩები,
მე კი სულსაც ეშმაკს გავატან.

2011 წლის 14 მაისი

***

ფიქრის სარეცელზე ღამეს ვათევინე,
ცისკარს შევეგებე ფიქრის ფარდაგებით,
ჩემი ერთგულება ვერვის ვათქმევინე-
სადღაც სულს ყიდიან ისევ ფასდაკლებით...

წამო...

წამო ავიშალოთ ფიქრის საღერღელი,
ჩემი ხვაშიადის ფერი...
ისევ ის გოგო ვარ თვალებსევდიანი,
ისევ იმ სიმღერას ვმღვერი...
გამო-ვიგუნდაოთ, წარსულს ავეკიდოთ,
ისევ გამიკეთე გუნდა...
აწმყოსა და წარსულს შუა გავიყიდოთ-
თუნდაც ბოლო იყოს...
თუნდაც.
წამო, გავერიდოთ უცხო ნაფეხურებს,
ჩვენსას მივაშუროთ სოფელს...
დილა რომ ჩამოგავს-პოეტს ნაბახუსევს,
თუნდაც უსასრულოდ თოვდეს...
წამო, შევაჩეროთ წლების თარეშობა,
სულს რომ ტკივილებად აზის,
ვიდრე ამ სპეკტაკლის ფარდაც დაეშვება,
ვიდრე ყლორტი იყრის ვაზის...
მართლა გაგიყოლებ ასე არეულად,
ვიცი, რომ მოხდება, ოდეს...
ერთად დავუდგებით მთებში ყარაულად-
უბრად მიტოვებულ ოდებს...
ყველა დაობლებულ სახლის საკვამურში,
კვამლი ავუფეთქოთ ღრუბლებს,
ჩავდგეთ წინაპართა ჩვეულ სამსახურში,
ცეცხლი არ ჩავუქროთ ბუხრებს...
წამო, გავერიდოთ, ქალაქს გავეცალოთ,
ქალაქს, გადაკვალულს ფეხით.
ბევრი საძეობო თოფიც დაგვეცალოს,
მურაც მოვიწვინოთ ფეხთით...
წამო,შევაფაროთ, ჩვენი ბავშვობა,
მთებში ფეხდაუდგმელ ფიფქებს...
იქნებ ის ატმებიც ისევ ავაყვავოთ,
ვინძლო ავაყვავოთ, იქნებ!..

0.01.17წ

„იამურ”

...იამურ, ცხოვრებას ესვრიან,
ხანდახან კი არა, ყოველთვის...
მას ალბათ საერთოდ არ იცნობ,
არ მინდა მიეთ და მოეთი...
იამურ, დახურე ფარდები,
შიშველი თვალები გაქცემენ,
თუ იღბალს უენოდ ბარდები,
მოკეთეს მოსისხლედ გაქცევენ...
იამურ, არ მინდა ტირილი,
მზე მინდა გაჩუქო კრიალა,
მეც მინდა თაკარა ღიმილი,
ვაი და უშველი კი არა!
იამურ, არ გაპატიებენ,
ხომ ვიცი ადამთა ბუნება,
დარჩები, არ მოეწონებათ,
წახვალ და არდაბრუნებას-
არაფერს არ მოგიწონებენ,
თავიც რომ სამსხვერპლოდ გაწირო,
აქ ხვანაირ ცხოვრებით ცხოვრობენ,
აქ მათი ენაა საჭირო...
ამიტომ მებრალვი იამურ,
მზე მინდა მხოლოდღა მე შენთვის,
შენ წვიმის სახელი დაგარქვი,
წვიმა ხომ ჩემს ცრემლებს თან ერთვის...
მომწყინდა ეს ცრემლიც, არ მინდა,
წარეცხე იამურ, წარეცხე...
საკმაოდ ხომ მოგიერთგულე,
ახლა კი მზეს ვუთმობ სარეცელს...

26.04.18წ

(აბდაუბდა)

...დავყვები ავბედით
ქარაფებს ხელახლა,
მეც მსურდა
ამქვეყნად
სიმშვიდე
მენახა...
ვერ ვპოვე ვერსაით,
ნეტარი სამყოფი,
თუ მქონდა-
(რაც მქონდა)
სხვისი გასაყოფი...
ვერ ავაბიბინე
ხრიოკი კორდები,
ავიღე მინორში
ყველა აკორდები...
მშვიდად ვეთხოვები,
შარშანდელ მაჟორებს,
მრჩება ბეთხოვენი
მიწას რომ
მაშორებს.
ვიცნობდი, მიცნობდნენ
ოცნებებს ვაგებდი,
სულ ყველა
ტატამზე
სუფთაზე
ვაგებდი...
მოდიან ცოტა ხნით,
მუდმივად მიდიან...
და ჩემგან ნაქურდალ
სიყვარულს
ყიდიან.
მიყვარდა!
ვუყვარდი?..
მინდა რომ მჯეროდეს,
ვიდრემდის
როს მწყერი,
ხეს შემოჯდებოდეს...
ნაპირთან აშლილან

პალმების რტოები,
იმ კოცნას
(თუ გახსოვს)
ზღვასთან ვეთხოვები.
რა დროში,
რა გზებით,
რა ტემპით ვიარე,
როგორ არ ვეცადე,
არსად მაღიარე-
ცხოვრებავ,
თავად ვარ წესების მომგონი,
და ახლა მე გიწვევ
დუელში მემგონი...
...და მაინც ეს დარდი
იმდენად მძიმე
და იმდენად დიდია:
მიდიან...
მიდიან...
მიდიან-
დღეები ჩვენგან
დაუბარებლად მიდიან!

22.02.18
22:22 სთ

***

ნაწვიმარ ქუჩას დააჩნდა გუბე,
მზემ ამოკოცნა მიწას თვალები.
ვდგავარ სარკმელთან სიამით ვუმზერ
და მეც მათ ტრფობის ალში გავები...

ვუძღვნი თურქეთში იძულებით გადასახლებულ ქართველებს... პირველად ვნახე ისინი და ემოციების ტყვედ დავრჩები მარად... აქ, გამოღმითა საქართველოა,სადაც ჭეშმარიტ ქართველობას გასწავლიან...

მე ვალში ვარ შენთან

...მე რომ შენით,
შენ რომ ჩემით,
გახლეჩილი,
გაგლეჯილი
საქართველო დავირჩენით...
შენ თვალიდან მომზირალი,
ჩემი გენი გევიგევი...
მუელი და მოგიტანეთ
იაგუნდად სიტყვის კონა,
ჩემო დებო ,ჩემო ძმებო
მამიკო და დედიკონა.
ნენეების შენახული,
ნაქარგი და ნაფერები,
მზის სხივი და გულის სითბო
მოგიტანეთ ამ ხელებით...
საგალობელ-სასიმღერო,
ღმრთის რჩეულად წოდებული,
ტანად სარო,
ლერწმის ღერო,
თვით უფლისგან ბოძებული...
ასო-ასო აკინძული,
აფრენილი ვით მწყაზარი,
მინდა კვლავაც გაამაგროთ,
დაირჩინოთ ეს ტაძარი...
ვეფხის ტყავზეც უწერიათ,
დაწერილა ბევრგან სისხლად,
ცისკრის ლოცვად
აღვლენილი,
რომ გვსმენია ყოველ სისხამ...
შენ ვერსაით დატეული,
სიქართულე გადამდევი,
განცდის ალში გამახვიე
სამუდამოდ დამდაღევი...
რაც სიტყვით ვერ გადმომეცი,

რაც ლექსად ვერ მომიყევი,
მჩქეფარ სისხლით,
როკვა-როკვით,
ყიჟინით და სტვენა-სტვენით,
ამადუღე,
ამატირე
და უხანჯლოდ ამკუწევი...
ჟრუანტელად დამიარე
მთელ სხეულში
დამფუშევი-
კერე-კუჩხე,
ქენერ-ქენერ,
მემრენ ისვენ ამაწყევი...
ახლა გული დევდე მკერდში,
წლების შემდეგ მოგაგენი,
მე ვალში ვარ, შენ რომ ასე
შემინახე ჩემი გენი!!!

17.04.18წ

***

ისევ დავლიე შენი ზედაშე,
ჰორიზონტს შენი თვალები ყოფდა,
შენ ამაფრინე კარგო ზეცამდე,
მერე კი უფრთოდ მისურვე ყოფნა.
როგორც შურდული დავეშვი თავქვე,
ცოტაც და მიწას დავენარცხები,
ყველა ხილული ოცნება დავთმე,
კვლავ შენს სიყვარულს დავენაცრები...

***

თვალებს ნუ ამიხელ,
თვალები გამცემენ,
ლოდინმა დაღალა ჩრდილები წამწამთა..
მადლობა მზეო და,
გემადლვი უფალო-
იმ ლამაზ წამების
და თუნდაც ამ წამთა...
ნუ მომცემ უფლებას თვალების ახელის,

აღარ მსურს შევიგრძნო სამყაროს ფერები,
კვლავ ვშიშობ ყველაზე მთავარის გამხელის,
მომხვიე ეგ შენი ძლიერი ხელები-
რომ ისევ ვერ შეძლოს
წყეულმა სიშორემ,
დამთრგუნოს და ისევ ტკივილი დამთოვოს,
თუ მოხვალ იცოდე
გული არ მატკინო
და ნურსად,
ნურასდროს, მარტოს ნუ დამტოვებ...

18.05.18

***

„რა გინდა?!“
„საიდან მოხვედი?!“
„ვინ ხარ?!“
-„თავის გადარჩენა მინდა, მეტი არაფერი»
(მეგობარმაც ასე მითხრა-„თავის გადარჩენა გინდაო»...
...მარილისფერი იყო ამინდი
და სული ჩემი ახლა გავდა ქუჩას უკაცრიელს,
თავის გაზონებით და საცალფეხო ბილიკებითაც-სულიერი
რომ არ დაჭაჭანებს...
მახსოვს, ქოხს ნატრობდი, შუშის მინებით,ზღვის შრია
ლისთვის რომ გეთვალთვალა...
ახლა მე ვდგავარ,უზარმაზარი შუშის სარკმელან, შრიალს
არა და ღრიალს ვუსმენ..
და როგორ მიყვარს: გაგიჟებული...
აზვირთებული...
ადიდებული...
„ჭაკი» ქალივით აკივლებული...
არდატეული,
არდალეული,
დაუსაკუთრებელი,
დაუმორჩილებელი,
ხშირად მკვლელიც და დაუნდობელიც...
მაგრამ ფერი:
ოცნების,
გაფრენის,
ხილვების,
სიზმრების,

არევის,
აღრევის...
...მე მზად ვარ ახლა წვიმასთან ვიცეკვო ვალსი.
და ვცეკვავ კიდეც...
შენ მიბრძანე რომ კანი ავიძრო,
არადა იცი,ჩემს კანს შენი სუნი ასდის...
და ისი იცი,მე ამას არასოდეს გავაკეთებ...
სინდისის ფერად აჭარხლებლი ლამპიონები ურცხვად
აშიშვლებენ საფანტივით თავქვე დაშვებულ წვეთებს...
(წვიმასაც აქვს სამოსელი,მთლად ურცხვი კი არარის)(?)
..ჰო, მე ახლა გეზედმეტები(მინდა და ვაძლევ თავს ზედმე
ტობის უფლებას)
სიტყვაში...
ბგერაში...
გრძნობაში...
სამყაროშიც კი გეზედმეტები...
ჰმ,ისევ დამცინის მამაძაღლი(ბედს ვგულისხმობ)
ამ წუთას ჩემს თვალწინ ცამ გადმოაფურთხა...
ფურთხით აჯაგრული ზღვა კი
შუბლის ძარღვზე მეხეთქება და სინდისს მიტკიებს...
და მე ვბრუნდები დროში,
სადაც არს წარღვნა,
წალეკილი და წაგლეჯილი ქვეყნიერება...
და ამ ყველაფერს უფალმა მხოლოდ მიტომ გადამარჩი
ნა,რომ მერე დედამიწის ყველა ცოდვა ჩემში მოექცია...
ეს ესაა,ქუჩა-ქუჩა მოარულმა ქარმა ალიყური მითავაზა და
მათხოვრის სამოსივით დაძონძილ ჩემივე სულში ჩამაყუ-
და...
...სუნი და ფერი...
ფერი და სუნი...
უფლებამოსილმა სულის „მოროდიორმა» თიხასავით აზი
ლა ყველაფერი ჩემში,უზარმაზარ აყროლებულ გროვად და
მიყარა ცხვირწინ და მიბრძანა:
-განცდების სათამაშოვ,მიდი და ყნოსე,
შენი ცოდვების შენვე მპარავო,
შენი არსების თვით ცინიკოსო...
არამონაღლევ...
არამოდარდევ...
მიდი და სუნთქე,
მიდი და იგრძენ.

უფალმა წარღვნის დროს მხოლოდღა მიტომ გადამარჩინა,
რომ ყველა ცოდვილი ჩემში მოექცია...
შენ კი ასჯერ წასული, ათასჯერ მობრუდი...(ვიცი იგივეს
იზამ ხვალაც და ზეგაც)
ახლა იქნებ გეზედმეტო კიდეც;
ბგერაში,
სიტყვაში,
ვნებაში
და სამყაროშიც კი...
ხელები,რომელსაც ასე ვენდობოდი,წერაქვა ყოფილა,საფ
ლავების მთხრელი წერაქვა...(მე კი ყველაზე ღრმად დამასა
ფლავე)
სტაფილოსფერ მაგიდის საფარზე ისე საბრალისად გაი
ლალნენ ცრემლები,თითქოს სატირალი მაკლდა,
ახლა ცრემლებს დავსტირი(შეურაცხყოფილ ცრემლებს)...
ცამ კიარა და ჩემში სინანულმა ამოაფურთხა...
და ის აგურსმიმსგავსებული კუბიკებიც შემეცოდა,ორ უზარ
მაზარ სარკმელს შორის სვეტად რომ დგას...
ო, როგორ მეფიქრება სვეტი,რომელიც ხელოვნურ ბარიერს
ქმნის სარკმლებს შორის..
ღმერთმა იმიტომ მიხსნა წარღვნის დროს,
რომ ყველა ცოდვა ჩემში მოექცია...
მე ცოვილი ვარ!
ცოდვის ფერია:
ჩემი ჭერიც,
ჩემი კედლებიც,
ჩემი იატაკიც...
ჩემი ქარებიც ცოდვებს ახველებენ...
ჩემს ფრჩხილებზე გაკეთებული ლაქიც კი ცოდვის ფერია...
სისხლის ფერია,
სააღდგომო კვერცხის ფერია...
ზღვა ისევ გაუჩერებლად მაფურთხებს შუბლის ძარღვზე
და ახლა ჩემში სინდისი ხითხითებს...
მე ცოდვილი ვარ!!!

08.12.17წ

“მელანია”

ცაა-დასაწერი პერგამენტი,
ზღვა კი-გადმოღვრილი მელანია,
ასე უსაშველოდ გაგიმეტეს-
ჩემო ქარვისთვალა მელანია!..
ნისლი-დახეული ფურცლებია,
წვიმა ნააზრევის წამშლელია,
ბედს თუ ასე ვინმე უცემია-
შენებრ, არასოდეს არ მსმენია!
ჭალას გაულურჯდა კესანები,
ღელეს აეტირა ყველა წყარო,
ქვეყნად მგონი მე ერთს მენანები,
ერთხელ გაგეღიმა, შენ მწყაზარო!

***

...დრომ დროს მოპარა დრო და დროებად დაახარისხა,და სეზონური პრინციპით სახელებიც კი აისხა...აქეთ გრძნობების აშლას, (და აორტების დახეთქვას-ბუნებისაც და კაცისაც) და აფეთქებას ატმების, გაზაფხული რომ დაარქვა ამაზე ყველა ვთანხმდებით...

-მზემოკიდებულ ბუნებას ხვატი დააწვა ზაფრული, ასე და-ერქვა მომდევნო დროის შვილს-ცხელი ზაფხული...

-ოო, რადაინახა თვალებმა-ოქროს ვარაყში ჩასმული, ვინ შეგიჩერებს აბა დროს და გაფერადდა ზაფხულიც...

ბუნების ფერთა გამმაში, კაცის ბუნებაც დაბრძენდა, ნა-პირებს აღარ ხეთქავდა, ნათესს და სამკელს დაჯერდა... დრო დაიყენა შერგების-ტკბობა, ქარვისფერ დროისა, დროსაც უკვირდა, დროება, შემოდგომად რომ მოიქცა... რაც მისი იყო ხომ იყო, სხვისაც მეტწილად დაჯერდა, ხომ ვთქვი-დროს ვინ შეაჩერებს და ჩამომცივნა ამჯე-რად.მწვანეს ყვითელი ანაცვლა, ყვითელი გარდაიცვალა და შემოდგომამ წუხილით ზამთრისკენ პირი იცვალა...

***

სულთმობრძვავივით გაიკანკალა,
დრომ დროში ისევ გადაირბინა,
მოთოვა თეთრად დროის სამყარო
თეთრი ზეწარით გადაიფინა.
არ ნებდებოდა დროის სიმკაცრეს
არც ბუნება და არც კაცის გული,
თუმც ავიწყდებათ გაზაფხულშივე,
რომ დროში ერთხელ დგება ზაფხული!..

28.01.19 წ

***

...დასრულდეს უნდა, რაც უნდა მოხდეს,
ცხოვრება მაინც თავის გზით ივლის...
და რაც არუნდა ხანი გამოხდეს,
რომ არ მიყვარდი-ვერავინ იტყვის...

წერილი შვილს

...შენ იცი, როგორ წერენ დედები წერილებს-
შვილმკვდარი დედები?..
არ იცი,
არც უნდა იცოდე!..
ის თუ იცი, როგორ წერენ
შვილებისაგან მკვდარი დედები წერილებს?
-არც ეს იცი...
მაგრამ დედები მაინც წერენ წერილებს-
ვერწაკითხულ,
ადრესატამდე ვერ მიტანილ წერილებს...
წეერენ,
წეერენ,
წეერენ,
სათქმელს ვერ ატევენ ამ წერილებში, ამიტომ,
მერე ხევენ და თავიდან წერენ-
დედები-
შვილმკვდარი და შვილებისაგან მკვდარი დედები წერი-
ლებს...

იყო დრო, არც მე ვიცოდი-
როგორ ან რატომ წერდნენ დედები წერილებს...
დრო მოვიდა და მასწავლა...
ისე მასწავლა, რომ ყველა დედის მაგიერ
დაწერილ წერილებს
კი არ ვხევ-
თავფურცლებად ვალაგებ და ვინახავ
-რომ აღარცერთმა დედამ არ მისწეროს წერილები შვილე-
ბს!..
-რომ აღარცერთ დედას არ მოუკვდეს შვილი!..
-რომ აღარცერთი დედა არ მოუკვდეს შვილებს!..
მე ვიცი, როგორ წერენ
ვერწაკითხულ წერილებს- შვილებს, დედები...
დამპირდი-
რომ შენ ეს არასოდეს გეცოდინება...

09.11.18წ

***

...მე საკუთარი სიცოცხლით ვთამაშობ...
არა წამებს,
არა წუთებს,
არა საათებს,
არა დღეებს, არა თვეებს -
წლებს ჩამოვდივარ!
არ ვიცი, ეს თამაში სპორტის სახეობაა თუ რამე ახალი (?)
მხოლოდ ის ვიცი, ვის ვხვდები -
მას ბედისწერა ჰქვია სახელად.
იმდენად გაწვრთნილი და ისე მომზადებულია,
საცოდაობაა მისი ძვირფასი დროის ჩემზე გახარჯვა...
მე ერთი ციდა მღილი ვარ მხოლოდ,
მაგრამ მაინც,
უკვე ათასჯერ წაგებულ და გადადებულ პარტიას ველი თა-
ვიდან...
რომ ისევ ჯიქურ გავიდე მხოლოდ:
წამები,
წუთები,
საათები,
დღეები,
თვეები კი არა,
პირდაპირ წლები გავიდე...

მე საკუთარი სიცოცხლით ვთამაშობ
და მუდმივ მეტოქედ ბედს ვირჩევ მხოლოდ!
იქნებ დამტოვოთ მასთან პირისპირ...
ეს ჩემი დასახარჯი სიცოცხლეა...
ეს ჩემი წილი ჩასასასუნთქი ზეცაა...
ეს ჩემი სარგო საცხოვრებელია...
მადროვეთ რა!
გა-მა-ტა-რეთ!!!

20.03.18 წ

***

მინდოდა შენთვის ცა დამეფერა,
სიზმარი ცხადად გადამექცია...
შენ რომ მყოლოდი...
შენ რომ მყოლოდი...
და ჩემთვის ზურგი არ შეგექცია...

***

ისე მინათებდი, დღეთა უკუნეთში,
როგორც იაგუნდის ნაზი ათინათი...
წლებმა მომერია, მერე უკუდექი,
შენ კი არ გეჯერა-როგორ არ მიყვარდი?!
ასე გადიარა ჩებს თავს ქარბორბალამ,
ასე გამიხუნა ფერთა ათინათი...
ვატყობ, მოთმინება ჟამთასვლამ მომპარა,
მაინც არ გჯერა და- როგორ არ მიყვარდი?!

"აჯანყდა და მტერი ხოცა, ბინად ქონდა სანგარი"
ჯ.ჩ.

..აჯანყდი და გაგაჩუმეს,
თავს დაგბურეს მაჰმადი,
მტრის მტრები რომ დაამარცხა,
ის ვინ იყო?-
მაჰმუდი!..
ნაომარო, ნამონარო,
სხვის ომში და მდელოზე,

ისევ სიზმრებს ეფერები
დედა საქართველოზე...
მოშივდა და ჩაი კრიფა,
ბინად ქონდა სარდაფი,
იყო დრო რას მივიდოდა-
მასთან თუნდაც კადაფი...
ფარშუბნაჩვევ მარჯვენაში,
მაკრატელი გჭერია,
გაყიდულო მამელუქად,
ახლა ვისი ჯერია?!
ვინღა, ვინღა გაგვიმრავლოს,
ერი თითზე სათვალი,
რა დრო იყო, როცა მართლა,
გვქონდა გასათვალავი...
ვის კარებთან გითენდება,
ვისი ლუკმის მდევარი,
რა შესცდე ამისთანა,
ვინ გყავს დამაწყევარი(?)
ან ასე ვინ გაგიმეტა,
ღვთისმშობელის მიწისავ,
ვერ ვიპოვე შესატყვისი,
ამ ტკივილის-მიჭირს რა!
სად ვეძიოთ დამნაშავე,
წარსულში თუ ახლოში?
შენ სხვას უქმნი მომავალს და
უცხო სახლობს ახოში...
ჩემო შვილო, ძმაო ჩემო,
სამართალი სად არი,
საქართველოვ შენ ვინ მოგცა-
შვილი დასაკარგავი(?!)
მოგშივდა და ჩაი კრიფე,
სხვა საშველი სად არი?!

20.05.18

***

...სანამ შენდობას მასწავლი ღმერთო,
ვიდრე სიმშვიდე შენი მცნებაა,
ნუღა შემარჩენ ალალ გულს ერთობ,
სიკეთე სუსტთა განმარტებაა...
ან თმენა რატომ მასწავლე ასე,
ან ამ სიჩუმით ვთქვა რაოდენი?..
რად არ ასწორებ თავითვე ავსვე,
ყველა ,,ბრმას" ჩემთან რატომ მოდენი?!
ვიდრემდე სულის მარწუხს შემაბნევ,
ვიდრე სხვის ტკივილს ჩემად გამიხდი,
შორი გზებია ღმერთო შენამდე,
სულ მხოლოდ ერთხელ,ერთხელ ამიხდი...
თმენა თუ მხოლოდ ჩემი ხვედრია,
უმადურობას არ გადამყარო,
„ტყვია მიზანში" არც მოხვედრილა,
ისე დამენგრა თავზე სამყარო...
შობა...

***

მე არ ვიცი, რა მოხდება ხვალ,
მხოლოდ ვიცი, რომ დღეს მენატრები,
ზამთრის სუსხი დაუბერავს კვლავ,
თეთრ ფანთელებს დამიმატებს თმებში.
მე არ ვიცი რა მოხდება ხვალ,
დღეს გეძახის ჩემი სულის ექო,
მოლოდინით დავიღლები კვლავ,
უსასრულო მოლოდინით ღმერთო.

"ჩემი სულის ტკივილებს—შვილებს"

გზას ვეძებ, გზას, ჩემო ბატონო!
ნუთუ, იმ გზაზე სიარული აკრძალული მაქვს?!
იქნებ მომხედოთ, იქნებ ვინმემ მეც მეპატრონოს,
ისევ ძველს ვტირი, არ დავეძებ ახალ გულისთქმას.
ჰეე, რამხელაა, უსასრულო, აღარ გათავდა...
ისევ თავიდან დამაყენე გზას, დალოცვილო?!
გზის გასაყართან ვიდექი და ისევ აქავარ,

აბა დამპირდი, რომ სავალ გზას არ გამოვცვლიო?!
მაშინ სად არის, მაშინ სადავარ, ეს რა გზებია?!
რა უსასრულოდ აიწელა, ჩემი აღმართი?!–
ნუთუ ამ ქვეყნის ყველა ცოდვა კისრად მდებია
და ამიტომაც ტიალ გზებზე ვეღარ გავვაკდი?!
გზა მიმასწავლეთ, გზა ამებნა ჩემო ბატონო!
მათკენ სავალი გზები ვერსად ვერ მიპოვია,
იქნებ მომხედოთ, იქნებ ვინმემ მეც მეპატრონოს,
აბნეულ გზებზე მაპოვნინოს ორი თოლია.

***

ეს გზა, იმ გზაზე დამაყენებს, ჩემო ბატონო?!

27,05,2013 08:54

(გია ქურიძეს)

გვანცას და ლელას კლდეზე შემდგარი,
დუშმანს ხელიდან ძლივს დავეხსენი,
შენახარ ჩემი თავშესაფარი...
დაგვიანება ასე ავხსენი–
სად არ ვიარე, რამდენ მხარეში,
გზადაგზა ყველგან წავიბორძიკე,
მიწას ტკიოდა უცხოს თარეში,
მე უშენობა, ჩემო თოლიგე...
ვიცი უსაზღვროდ შემაგვიანდა,
ამის უმეტეს ვერ ვიჩქაროდი...
გზები, ეს გზებიც შენაგვიანდა
და სისუფთავეს ისევ ვსწავლობდი.
და როგორც იქნა გამოვაღწიე,
ჩაძირულ გემის ნამსხვრევები ვარ...
გეძახდი, მაგრამ ხმა ვერ გაწვდინე,
სხეულიც როგორ დამსველებია?!
ახლა ვით კნუტი ვდგევარ კარებთან
და გათოშილი ვილოკავ იარებს,
ნუ შემატოვებ ამ ბნელ ღამესთან,
ისედაც, ჩემო, ბევრი ვიარე!..

06.08.2014

***

ჩუმად ვიმშრალებ მოპარულ ცრემლებს
და მეშინია დროის და სივრცის...
აღარც მოკითხვა, არც საყვედური
და რა მაცოცხლებს ძალიან მიკვირს.
მოგჩერებივართ, როგორც სანთლებს და
ვიკავებ სუნთქვას, რომ არ ჩამიქრეთ...
ვაგრძელებ ათვლას მწუხრის ამ დღეთა
და კვლავ ბნელეთშ ვეძებ სამიზნეს!

08.08.2013

***

მარტივად და უბრალოდ...
გამარჯობა-უბრალოდ!
გაგიმარჯოს–მარტივად!
...შენ რომ გტკივა გეთაყვა,
ის, მე სულაც არ მტკივა...
მაპატიე, თუ ასე,
პრიმიტივში ვეშვები...
მიდი, სხაგან ეძიე,
ვიღაცაში გეშლები!..
ასე ნება–ნება და,
ასე დახურდავებით,
ავდექი და ჩემივე
კაკანათში გავები.
...და როდესაც გეტყვიან
გამარჯობას უბრალოდ,
თუ არ ჩაუღრმავდებით,
გადარჩებით უდაოდ!

10.12.2014

***

მარტოობის დირეგი
გი-ლალ-გი-შერ-მარგალიტე,
ცად გიშენე იები...
გახსოვს, შენი გულითვინ, რომ
გადმოვლახე თიები?!
გი-ცრემლფიქრე, გი-სურნელე,
სევდა საქმედ ვაქციე,

მარტო შენთვინ რამდენ ჭოროხს
თავი გამოვაწიე.
აგიფერადგიკიაფე,
თუკი ჟღალი სამყარო...
შენი წილის მიმტაცებელთ
მინდა „ჩინი" ავყარო!..
მე რომ აგიმზეკიაფდი,
შენთვინ სულიც გავყიდე,
რატომ ადრე არ მიხმე და
არ მეძებე, ან კიდე-
სუსტ მხრებზე რად შემაჩეჩე,
მარტოობის უღელი,
რად შეყარე ჩემს წილ ცაზე,
სევდისფერი ღრუბელი?!
მე რომ გი-ლალმარგალიტე,
გი-შროშანე, გი-ლექსე...
რად გამომბაწრმიმაჯაჭვე,
მარტოობის დირეგზე?!

20015

„ბედობა"

ღალატისფერი ფიქრები
ღამემ ჩამობურა ნისლი,
ცრემლი ეფინებათ თვალებს,
გრძნობებს, გადახურულს ისლით,
წამებს, პულსებმა რომ თვალეს...
ისევ შესდგომია აღმართს,
ზურგზე აკიდული ჯვარით...
ვფიქრობ დაისეტყვებს ალბათ-
ცრემლით, წუხილით და ჯავრით!!!
ღამე, ღალატისფერ ფიქრებს,
სადღაც გაინაპირფერებს,
ვცადო, ავეყოლო იქნებ,
შენზე მონაფერებ ხელებს...
შენგან გადაჯეკნილ გრძნობებს,
ვნებაც გადაუვლის ალბათ,
მეტყვი-რომელი გზით მოველ,
ისევ იმ ბილიკით წავალ!

05.01.2015წ

***

გაღმითა ნაპირი
მე ვდგავარ გაღმითა ნაპირზე,
შენ კიდე სავალი წინაგაქვს...
ხვალინდელს არაფერს დამპირდე,
მაინც ვერ ამოხსნი შინაარსს!
დროსა და ასაკში ავცილდით,
ჩემს მირაჟს ნისლები ჭარბობენ,
ჟამთასვლას თავიდან ავთვლიდი,
ეჰ, მე რომ იღბალი მწყალობდეს!
მე გაღმა ნაპირზე ვდგავარ და,
მაქედან ჩემამდე შორია...
და ბოლო მოხიკანს ვგავარ და...
ცხოვრება ყველა დროს ომია!!!

05.01.2015წ

ერთხელ არაღდგომით...

...აწონე, გაზომე, დათვალე, უფალო-
ცოდვები, უკლებლივ არ დაგრჩეს მისხალიც...
თუ გინდა დღეიდან დაიწყე ათვლა და
ეს ერთი დღეც კმარა ცოდვისთვის,
 მითხარი-
თავშივე რომ მქმნიდი ან მაშინ, რა გქონდა-
მიზანი?
სამყაროს საძერწად რა სახის
შემქმენ, და რარიგად დავეცი ხომ ხედავ,
იქედან არ შემრჩა არცარა ნასახი!..
მე თვითონ არ ვიცი-
ვინავარ, რატომ ვარ?!
კითხვები ცოდვისებრ ირევა ჰაერში...
ზენიტში რომ გყავდი ქათქათა ღრუბლებზე,
ხომ ხედავ მიწაზე რამძიმედ დავეშვი!..
ახლა ვარ მედეა საწმისის ქურდიც და
მოჭრილი ძიძუიც წამებულ დედოფლის,
ქაჯეთის ციხე ვარ ნაშენი ქვითკირით
და შოთას ასმათიც ასე რომ მენდობი!
ნენეის ცრემლი ვარ მჭადზე ჯვარდასმული,
საღათას ძილი ვარ, მე სარგის თმოგველის,

დიდება დავითის აწ უკვე წარსულის-
დღეს გამოღვიძებას ასე რომ მოელის!..
მე ძლიერება ვარ თამარის-
სისუსტეც,
ქალში რომ შინაგან ხმას ავეყოლიე...
დედა ვარ რძესავსე-შვილობის კერა და
სამ შვილზე მეტი რომ ვეღარ ვიყოლიე...
სელიმის სისხლი ვარ, ხირხათზე დაღვრილი,
ნახლეჩი ყავარის სიზუსტეც გახლავარ
და ქოჩახელასი ჭიბონზე შაირი-
წარსულშიც, ხვალეშიც, და ახლაც აქავარ!
ხედავ, რომ მე ისევ ვაგრძელებ ცხოვრებას
ათასჯერ გვემული, ერთხელ არაღდგომით...
გეტყვი, რომ აქ ვდგევარ სხვაგვარად არ ძალმიძს,
მაგრამ რა გამოვა არ ვიცი აქ დგომით!..
დამსეტყვე, გამწირე, დამსაჯე უფალო!
შენს ღირსად, შენს შვილად არამაქვს უფლება-
ის მრევლი აღარ ვარ სანთელს რომ გინთებდი
და ყოველ სასწაულს ღამეს რომ უთევდა...
შენგანვე ნაბოძებ ჭეშმარიტ სიყვარულს-
რომ კლავდი, ან მაშინ რატომ არ დამინდე?!
ხომ ხედავ, რარიგად შემიძვრა ეშმაკი,
რა არ ვთქვი, რამდენი ცოდვები დავიდე.
ახლა კი სასჯელებს მოველი,უფალო!
ვიცი, რომ არც ასე გაწირავ შენს შვილებს..
არც სული შემრჩა და გვამი ვარ უთავო,
მგონია ეშმაკსაც ამიტომ ვეშვილე!!!

01.02.2015წ.

***

ცოტაც მოიცადე
და მერე ერთმანეთი დავიბედოთ...
შენი სული ჩემი,
ჩემი კიდევ შენი-
სხეულების ერთობაც გავბედოთ...
მიწა დავტოვოთ და
ზეცას დავემონოთ,
მერე ყველა ვარსკვლავს
შვილად მივეშვილოთ.

ანდაც ღრუბლად ვიქცეთ ბამბის ქულაჯებით
მხოლოდ სიხარულის წვიმად ჩამოვიწნათ.
წითელ ყაყაჩოებს მკერდზე დავეღვენთოთ.
მიწის სურნელოვან სუნად გადავიქცეთ,
ოღონდ ქარდაქარ და სხვაგან არ გავიქცეთ...
ან სულაც ბეღურებს სულად ჩავუსახლდეთ,
მათი ერთგულება რომ გავიჩვენგულოთ...
მოდი რა-გავბედოთ და ერთმანეთს დავებედოთ,
მოდი ერთმანეთი დავიბედოთ...
შენი სული ჩემი,
ჩემი კიდევ შენი...
მოდი გაბედე და
მოდი- დამებედე!..

02.01.19წ

ჯანდაბას

დრომ ყველაფრის დედინაცვლად მაქცია,
არც წარსულის, არც მომავლის აღარ ვარ...
მხრებზე ისევ სიმარტოვე მაცვია,
ალბათ მალე ჭკუიდანაც გადავალ!
მოგონებად შევატოვებ ნაცნობებს
ერთი ქალის გაურჩებულ ცხოვრებას...
იქ მისულს კი ანგელოზი მაცნობებს,
რომ ამაოდ ველოდები ცხონებას!
თითქოს ქვეყნად ყველა ცოდვის ჩამდენი
მხოლოდ მე ვარ და ჯვარს მაცვა ცხოვრებამ...
აქ თუ დარდი ავიტანე ამდენი,
მაშ ჯანდაბას-ეს თავიც და ცხონებაც!!!

10.03.2015წ
03:45სთ

***

...ისევ სხვათაშორისად,
ისევ გაასკაცებით...
ასე შორი-შორისად
გამიმრავლე განცდები...
ისევ სხვათასხვაობით,
ისევ დავა-დაობით,
მოჩვენებით სიკეთით,

ტაძარს შინა გალობით-
მომახვიე ეგ შენი
„ღვთისნიერი სიმართლე”
რახანია მეც ვპოვე-
სიბნელიდან სინათლე...
ჰოდა დროა გამცილდე,
გამერიდო სატანა...
აღარ ძალმიძმს გეთაყვა
შენი ბოდვის ატანა!!!

29.04.2015

***

მომეც უფლება
რად არ მომეცი უფლება,
რად გადამყარე ჯავრსაო?!
დღეს შენს ფიქრებში გავლევდი,
ღამით გითევდი თავსაო..
შენ რომ მოგეცა უფლება
ბნელს შენთან გავათენებდი...
არაბულ ულაყს ვიყიდდი
და ცხრამთას გავაჭენებდი!..
მერე რაა, რომ ქალი ვარ,
ზედ ავისხამდი აბჯარსა
თავს წავიკრავდი ყაბალახს,
ტანთ მოვიგდებდი ნაბადსა.
ნეტა მოგეცა უფლება-
ხევსურეთს გაგიტაცებდი,
ბერდიას კოშკს წავართმევდი
და ჩვენს სადგომად ვაქცევდი...
ბინდში გარმონზე გიმღერდი,
მერე დალალებს დავფენდი...
სისხლს ისე აგიდუებდი
სულ მეცხრე ცაზე გაფრენდი!..
მერე შენს ნაწილ სისცოცხლეს,
მოვაშუშებდი მუცლადა,
ბიჭს გაგიჩენდი შენსამებრ-
გულზვიადსა და გულადსა!
ორთავ სიცოცხლეს ბოლომდე,
მოგევლებოდით თავსაო,
უფალს მადლობას ვეტყოდი,

არ შევკადრებდი ავსაო.
ეჰ, რომ მოგეცა უფლება!-
შორით ლექსს კი არ გიწერდი,
შენთანამც დავივანებდი
და მხოლოდ შენ ერთს გიცქერდი.
ნატერფალს დაგიკოცნიდი,
ნიავს არ გაგაკარებდი
მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს
შენს გვერდით გავატარებდი.
რად არ მომეცი უფლება?!-
შემყარე დარდს და ჯავრსაო.
შენ შორით კვდები,მე კი აქ-
დავსტირი ჩემივ თავსაო.

იქნებ მოგეცა უფლება!..

***

თქვენ...
...ასე დაულაგებლად,
მითია თუ ამბავი...
ჭრილობები პირღია-
დამრჩა დაულამბავი...
ასე აღმართ აღმართ და,
ასე სვენებ სვენებით...
ქუჩა უკაცრიელი,
ისტერიულ ხველებით...
ცხრა მზეა და ცხრა კიდე,
ცხრა ზღვა, მთები,მინდვრები...
ამდენ ტვირთის ამკიდე,
მაინც რომ არ ვმძიმდები...
ეს იმიტომ ჰორიზონტს,
ათინათის ფერი აქვს..
ვიდრე ლოდინს ვეძახი-
ორ საოცარ ფერიას...

16.05.2015
02:35სთ.

ნაზმანევი პაემანი

შენი სუნი წაუღია ქარებს,
ცრემლსაც როგორ შეეცვალა გემო..
ხვალე თუ არ გაგითვლია, ან მე-
რად არ ვწუხდი, სიყვარულო ჩემო!..
ფიქრებს ისევ დაღარვია სახე,
დახევია შემოდგომას კალთა
და ვიგონებ პირველად რომ გნახე,
თითქოს ვიდექ ცის და მიწის კართან...
ახლაც ასე, იმ კარებთან ვდგავარ,
მოვიგონე იმედები თითქოს,
ხელგაწვდილი იმ მათხოვარს ვგავარ,
ხურდას არა, სიყვარულს რომ ითხოვს!..
და მივდივარ მონატრების ხიდზე,
პაემანი მოლოდინთან დავთქვი...
სიყვარული გავიკეთე თითზე
და შენეულ პარასკევად დავრში!..

07.03.2015წ
02:34 სთ.

არადა...

...ვეღარ ვიქნები მორჩილი ცოლი,
ვეღარ...
შენ გამიმეტე-
მეძავის კალთასავით უდიერად გაცვეთილ სამყაროს
შემაფუჩეჩე...
მიმდენე...
მიმასაჩუქრე...
შენ გამიმეტე!..
არადა, როგორი მორჩილი გყავდი-
მზეამოწვერილ დილას მოვდევდი შენს ფეხდაფეხ მსახु-
რად
და გმსახურიბდი მზის ჩასვლამდე,
გყმობდი...
გაღმერთებდი...
განაყრებდი...
გირეცხავდი...
გილაგებდი

და მეტიც,
გალაგებდი...
მერე ღამესთან ერთად მთვარეს მოვყავდი შენთან
გახელებულ ავაზად და
სისხლს გიდუღებდი,
ფაფარაშლილ ლომს გამსგავსებდი...
ახლა, რა გიშველო?
რა ვიშველო?
ვეღარ დავაბრუნებ მორჩილებაში მყოფ,
დაღლილი სხეულიდან გაქცეულ სულს.
თავის-უფლების გემოგაგებულს...
თავის-უფლების მარად მოსურნეს...
თავის-უფლების უკვე მეპატრონეს...
ვეღარ ვიქნები მორჩილი ცოლი-თქო...
ეგ კიდე არაფერი,
იავნანასაც ვეღარ ვიმღერებ...
სხვისი შვილების საიავნანოდ ხომ გამიმეტე...
ჰოდა, შენმა, ჩვენმა შვილებმა
გამიუცხოიავნანეს...
რა გიშველო?!
რა ვიშველო?!
სხვის დაკრულზე საცეკვაოდ გამაგდე,
უკულისო და უფარდებო სცენაზე გამიყვანე.
ახლა აქ, ამ სცენაზე
მხოლოდ დეკორაციათა ცვლაა შესაძლებელი,
ყველა სპეკტაკლი ერთმანეთს გავს, შენი წყალობით.
ეს სცენარი შენ გეკუთვნის,
მას ყველა ერის სახე აქვს უკვე,
რომელმაც ყოველგვარ ეროვნულს ჩარჩოები დაუმსხვრია...
დამამსხვრია...
მომირღვია:
ანიც და ჰოეც,
ქცევაც და წესიც,
ადათიცა და ზნეჩვეულებაც...
ვეღარ ვიქნები მორჩილი ცოლი,
შენს ტუჩებნაჩვევ ბაგეებს ახლა
ცრემლები კოცნის...
ვეღარ ავიტან შენს ახირებებს..
არადა, მე ხომ ვიყავი?!
არადა, მე ხომ მიყვარდი?!

მე ახლაც მინდა გმორჩილობდე,
გმსახურობდე,
გაღმერთებდე,
მაგრამ...
თავისუფლებაში გაფრენილ სულს ვეღარ მოვდენი უკან,
რომელმაც თავისუფლებაში უფრო დიდი მონობა პოვა.
შენ გამიმეტე და მე ამ გამეტებაშიც
დაგემორჩილე!...

17.04.18წ

***

..ქურანასავით მივუშვი სული,
ფიქრმა დატბორა ტვინის შრეები,
ცხოვრებას შევრჩი ფერგადასული
და კვლავ უღელში მარტო შევები...

***

...შენ დამაჯერე მე,
მე დავაჯერე- ცა
და ცისარტყელაც
დავაჯერეთ,
რომ გეორგინებს შეუძლიათ მუდმივად ჰყვაოდნენ...
სანაპიროსთან ხავსმოდებულ ლოდებს ფერადფერადებს,
გამოგონილი სიყვარულით ავეფერადეთ...
ღამესაც ალბათ ვარსკვლევებად დავებადებით,
მერე ცისკარზე ერთურთს ისევ დავეკერგებით...
შენ დამაჯერე მე,
მე დავაჯერე ზღვა,
ზღვამ დააჯერა სხვა...
და სიყვარული შვა.
ჩვენ ვმღერივართ მზის სადიდებელს
და ყოველი დაკარგული წუთი გვენანება...
თვალები,
თვალები შემოინახავენ
რიტუალს ზღვასთან თრობის
და მოგონილი, ერთმანეთის დავიწვით ტრფობით.
ნეტა ცისარტყელავ შენ რაღას უნდა ნიშნავდე?...
სანამ მჭირს, სანამ მჭირს,

მითხარი ნიშნამდე-
უფლის და განგების,
ვინ დამრჩა გამგები(?!)
მოდი გავიპაროთ,
თავებსაც გავეპაროთ,
წავიდეთ, არავის
არც რამე დავუბაროთ...
მერე:
შენ დამაჯერებ მე,
მე დავაჯერებ ცას
და ცისარტყელასაც
დავაჯერებთ,
რომ გეორგინებს შეუძლიათ მარადი ყვავილობა...
მოდი, გავიპაროთ,
თავებსაც გავეპაროთ...

25.04.18წ

***

..რატომ ხდება რომ ხელმოცარულ კაცს,
წარმატებები არ ხიბლავს სხვისი?
ადამიანო, ცოდვისთვის არა-
დედამიწაზე მადლისთვის იშვი...
ამოირეცხე გული ბოღმისგან
და შენი წილი გზებით იარე,
ჩემს სავალს ნურსად გადამიკვეთავ,
ნუ განმიახლებ სულის იარებს!!!

***

ატმებიც ისევ აიყვავილებს
ზამთარი... თოვა...ფიფქების ცვენა...
სანაპიროზე ტირილი ტალღის.
ათვლას დაუწყებ შენს გულის ძგერას,
ჩაგეძინება ჩემს ფიქრში დაღლილს.
სიზმარში მნახავ–ცისფერ კაბაში,
თმებში ჩამიწვნი მინდვრის ყვავილებს,
ავტიტინდები, ვით ანცი ბავშვი,
მერე ატმებიც აიყვავილებს...
სიზმრად იქნება, სულ გაზაფხული
და ნაირფერი ყვავილთა ცვენა,

გრძნობით ვიქნებით–ვით გათანგულნი,
სმენას დაგვიტკბობს ბულბულთა სტვენა.
ნიავი ნაზად ამიწევს კაბას,
კრწალვით შემხედავ შიშველ ნაწილზე,
გადამაფარებ ყვავილთა საბანს–
შეგეშინდება, რომ არ გავცივდე...
გარეთ იქნება ფიფქების ცვენა,
კვლავ მიეხლება ტალღა ნაპირებს...
ისევ იქნება ბულბულთა სტვენა,
ატმებიც ისევ აიყვავილებს.

22.12.09

მომავლის ძალა

აფერადებულ სიზმარში გნახე;
შუბლზე გეყარა გრუზა ქოჩორი,
ხელში გეჭირა მოხდენთ სახრე
და ნიშა ხარი გყავდა როგორი...
რაღაცის მთქმელი არის სიზმარი
და შინაარსიც მგონი ეგ იყო–
ნიკორა ძალას ნიშნავდა ალბათ,
შენ კი მომავალს, შვილო, რეზიკო!

27.11.2013
01:24სთ

***

ჩემი წუწუნით ღმერთიც დავღალე,
გალიპულ ქვაზე დავეძებ საყრდენს...
მერამდენჯერაც თავი დავხარე,
სწორედ იმდენჯერ ავცილდი სათქმელს.

26.11.14

***

შევიფერებდი...
მიყვარს სევდა და სევდიანი სევდისფერები...
ზღვა მოლურჯფერო, ცაც...
ფიქრებიც სევდადფენილი,

მე შენს არყოფნის სიყვარულსაც შევიფერებდი,
ვით მთის კალთებზე ნისლი სევდად შემოფენილი...
მე ჩემეული მიყვარს სევდა, სევდიანებიც
და შენმიერი სიყვარული–გულისგულამდე...
გთხოვ მაპატიო, რომ გიპოვე შეგვიანებით,
მაგრამ ხომ იცი, აგამაღლე კარგო უფლამდე...
სევდას, სევდა რომ არ რქმეოდა ალბათ სახელად,
ჩემს კუთვნილ ზეცას ავასევდასევდისფერებდი,
შენ კი სევდისთვის მოგიწევდა ტრფობის გამხელა
და შენს სიყვარულს უფრო მეტად შევიფერებდი...

12.11.2014წ
02:27:22.სთ

***

...მთავარე წისქვილის რუში ჩაგორდა,
ღამემ მოპარა გუდა ალქაჯებს...
ღარზე სიმინდი ისევ დაგორდა,
ქვა ქვაზე ბრუნვით სხეულს აკაჟებს..
ძველი წისქვილი ისევ რაკრაკებს,
მინდიც საყოფად მიაქვს დროებას...
მეწისქვილე კი ყვება არაკებს-
ოღონდ ამბავი ამბავს მოებას!

23.06.15

***

...სულგამოცლილი უკრავს დაირა,
წლები წარსულის ნათესს იმკობენ...
ვით გასარიგი ძმებისნაირად-
ჩემს წილს სულ ნება-ნება იყოფენ...
ისევ მომაჭრეს მკლავი მცხეთაში,
მკერდს ურცხვად მიწვავს სტამბოლს შანთები...
ვინც მიმიღია ოდეს ხელგაშლით-
სწორედ მათ მზაკვრულ ფანდში გავები!..
რად გამაყოლე ენგურს თარაშად,
თუ მთვარეს კიბე ვერ მივაწვდინე?-
ისევ მიმაგდე უცხოს თარეშად
გეძახდი, მაგრამ ხმა ვერ გაწვდინე...
ჩემი დუდუკი ისევ აკვნესდა,
ბაზალეთს ისევ აკვნებს მარხავენ
და იმ ბოკვერა ლეკვებს, ალგელთა

დღეს თუ არ ჩანან ხვალე ნახავენ!..
კრწანისს გამხმარა ყაყაჩოს ფესვი,
გნოლის მაგივრად ყვავნი ბუდობენ
და არწივების მოდგმისა-გესმის?-
ქათმის თანასწორს ვერა გუობენ...
დრომ კალენდარი მოხია წარსულს,
ჟამთაღმწერებიც ასე იტყოდნენ...
მე კი გამჩენო, არა და არ მსურს
ჩემს სულს ყორნები ხორცად იყოფდნენ!!!

23.06.15წ
02:12სთ.

მარტოობაა ჩემი მეწყვილე

...და მარტოობას დავეწინდე
დაბადებითვე,
ყველა წესის და რიტუალის
უკლებლივ დაცვით...
...ჯობდა თავიდან არ გამერითმე,
ყველა ზომიერ-მიწიერს ავცდი!..
მარტოობაა ჩემი მეწყვილე-
ხანდახან გაყრა რომ გვიხდებოდა...
სათავეშივე რად არ მეწვიე?-
ჩვენ შორი გზები მოგვიხდებოდა...
შუშის სასახლეს ავიშენებდით,
ვიყოლიებდით-ხუთ-ხუთ გოგო-ბიჭს,
მრავალ მზიან დღეს გავითენებდით
და არ დავღვრიდი ცრემლებს ობლობის!..
ეხლა ვდგავარ ვით ჯვარზე ვნებული,
ეკლის გვირგვინი მადგია თავზე...
როცა გოლგოთას მკვიდრად მეგულვი,
მეც ამოვაღწევ როგორმე, მთაზე!

27.01.2015
01:30სთ.

***

რად მოფრინდი თავიდან,
რა პირობით ზავით?!
ჭიავ, ჭიავ, მაიავ-
ჩემი ბედი საით?!
ზამთარშიც რად გაგიშლია,
ბედისწერის ფრთები,
(დაწყობილიც ამიშლია)
ვერც ჩემსას ვერ ვხვდები.....
გაზაფხულის ფერფურები
დაგიხატავს ტანზე,
ვხედავ ისევ მეხუმრები-
ბედს მიმზადებ მტანჯველს...
ჩემს ოთახში რა დატოვე,
რას დაეძებ მშვიდად?
წადი, წადი, მიმატოვე
მეტი აღარ გვინდა...
ჭიავ, ჭიავ, მაიავ
ბედი ჩემი, საით?!

21.03.16წ

ჩემი ავან – სცენა

...გავდივარ ცხოვრების თამაშიდან,
თქვენ გითმობთ ამქვეყნის არეალებს...
აღარ მსურს, აღარ მწამს, აღარ მინდა,
უბრალოდ დავმარცხდი-ვაღიარებ...
მივდივარ და მიმაქვს ერთი როლი,
საკუთრივ ჩემეული ჩემი სახე...
ნიღბით შესრულება არის იოლი,
მაგრამ ჩემი როლი?-ვერსად ვნახე...
და მიტომც გავდივარ თამაშიდან,
სხვებს ვუთმობ სცენას და არეალებს.
უბრალოდ მიწაზე აღარ მინდა,
ნურასდროს, ნურასდროს მაღიარებთ!..

***

ჩემი სამი და....
სულში ქარიშხალი დადგა,
ახლა რომ ვფხიზლობდე დროა...
ისევ ავირიე, რადგან-
ვატყობ გაორება მოვა.
ხელში შემაჩეჩეს ისევ,
ზათქით შემალეწეს წარსულს,
ჩემთვის გაუგებარს ვისმენ,
უკან მიბრუნება არ მსურს.
გულში გაყრილი მაქვს ისრად,
წლობით აჩეხილი ვაზი,
მტკივა ჯერაც ისევ, ის რაც-
სულში წყლულებად რომ მაზის.
აქეთ ჩადრიანი გოგო,
იქით ყურსაკიდით ბიჭი,
რომელს ავედევნო-ოღონდ,
ოღონდ გამარკვიეთ მიჭირს!
არ ვესაკუთრები სხვისას
და არც მეხარბება სხვისი,
უნდა, გამეჯიბროს-ვისაც...
ვისი მეშინოდეს, რისი?!
ჩემი საყოფისი ცა მაქვს,
ჩემი ხიხანი და ტბელი,
დღემდე მომიყვანა რამაც...
ისევ მამუნათებს მტერი-
რადგან მომახვიოს თავზე
თავის პირფერული ძმობა,
ისევ გადავიტან რამდენს,
მტერი მტერია და მტრობა-
დაღად რომ მაჩნია დღესაც,
ვოხრავ გათანგული წლებით,
ვეღარ მომისყიდი ვერა,
შენი ნაირფერი ძღვენით!
ნურამც მიფეშქაშებ ხალათს,
წითლად მოლაპლაპე ფარჩებს,
მარჯვენს ძირში მოჭრილს კვლავაც,
ისევ ამტანობას ვაჩვევ-
რომ იმ ცალი ხელით ვკაფო,
მტერი მოსეული მუმლად,

რადგან არასოდეს დავთმო,
ჩემი ქალ-ვაჟები მონად.
ისევ ამეწვება ვატყობ-
შანთით მოკვეთილი მკერდი,
ვწერდი მალულად და შიშით,
ხანაც დედაბრულსაც ვწერდი...
სისხლით თავსდაღწეულ ჩადრებს,
თუკი ვემონები ისევ,
ღმერთო, როგორ იტევ ამდენს?
როცა ამდენ უცხოს ისმენ-
ლოცვას ვერგაგებულს ჯერაც
მასში მხოლოდ ამინს ვხვდები,
რატომ შემაჭერი, ღმერთო,
შენთან მოსაფრენი ფრთები?!
გულში ამოკვეთილს ჯვარად,
სულში ნაჩუქურთმევ წარსულს,
რატომ გამაყოლე ჯავრად,
ისევ ჯავრებითურთ გართულს.
ჩადრში გახვეულა გოგო,
შადრში დაუმალავს თმები,
და მის დამორცხვებულ თვალში
მალულ სიქართულით ვთბები...
დაო, აიხადე, ჩადრი,
გთხოვ და-ბრძანებასაც ვბედავ!
თორემ მეღუპები თვალწინ,
ისევ მითათრდები ვხედავ...
ჩემო, ჩემნაირო სევდავ,
შიგნით გულმუცელი მეწვის,
ყელში ამომასკდა ვხედავ
ამდენ უთქმელობის გესლი.
ჰოდა, აიხსენი ჩადრი,
შენი სიქართულე იცან,
ბოროტს მიუხურე კარი,
უცხოს მიაყარე მიწა!!!

10.07.16წ

***

ისე წახვედი ერთი ლექსიც არ მისახსოვრე,
ბილკს გაჰყევი, უსასრულო,მწვანეკორდიანს.
როგორც პრომეთეს ყვავ-ყორნები შეუბრალებლად,
იჭვები ჩემს გულს დაუნდობლად კვლავ დაკორტნიან...
რარიგ ჯიუტობ, გაბუტვაც კი გიხდება როგორ...
ეგ შემოხედვა შენს სიტყვებზე ასჯერ მეტია,
კვლავაც ვიფარავ ჩემი ბედის მოპარულს ობოლ-
ცრემლებს,რომელიც ჩემს გულში რომ არ ჩაეტია...
არც მიფიქრია ჩემთვის მთვარე რომ ჩამოგეხსნა,
თვითონ აჰყევი ცისარტყელას შვიდფერა თამაშს,
მე ხომ თამარი არ ვიყავი რომ გამოგეხსნა?
და არც შენ გავდი წყალწაღებულ, განწირილ თარაშს...
ისე წახვედი, ვერ გავიგე...ან რაგინდოდა?-
დასაწყისშივე ამბავს აჩნდა მრავალწერტილი...

***

...აღარც მითია, არც ლეგენდა,აღარც ზღაპარი...
რა საცოდავად გაძარცვულა ჩემი ჭადარი...
ვდგევარ ნაპირთან და ლანდს ვხედავ ჩემი ჭაღარის...
სიმშვიდე, მე რომ არ მეღირსა ნეტა სადარი?..

***

არშემდგარი ტანგო
ახლაც ვიხსენებ არშემდაგარ ტანგოს,
და იმ პარტიას, რომ ვერ ვიცეკვეთ...
მუსიკის ჟინი ისევე არ მთმობს,
როგორც ბავშვური შენი სიცელქე!
არშემდგარ ტანგოს ვიხსენებ ახლაც
და რიცხვს ოცდაექვს, ჯვრიეწერის ღამეს...
ვიცი ვერაფერს ვერ გეტყვი ახალს,
ისევ ველი, რომ შენ მეტყვი რამეს:
არშემდგარ ტანგოს, ჩოხას, ჩიხტიკოპს...
ბიჭების გეგმებს: არღანს, ფაითონს...
დღე...უშენობა...
მე?
-მეც აღარავარ,
ტანგო?-
ტანგო კი ცრემლად დაითოვს!

***

მე მარტოობას ისევ ვიგლოვებ
...შენზე ფიქრები მომიღებს ბოლოს, მოგონებებში ვიცო-
ცხლებ მხოლოდ...

***

ქრისტეს ასაკშიც ვერ ვპოვე შვება ,
მე ჩემი წილი გოლგოთაც განვლე ...
უკანასკნელი სანთელიც ქრება
და ვდგევარ უცხო, ეკლიან გზაზე.
სული მივყიდე ისევ სატანას –
გზა– ქეშმარიტი სავალი დავგმე.
ისევ მხვდა წილად, ტანჯვის ატანა ,
ისევ შემომხვდი, უდაბურ გზაზე .
მთელი ცხოვრება შენ დაგეძებდი
ვინ იცის ,ბედმა სად არ მატარა?!
ზურგი მაქციე და გამექეცი –
ვით ანგელოზი წყეულ სატანას.
აღარასოდეს აგედევნები ,
მე ჩემს წილ ეკალს თითონვე ვჩეხავ...
ალბათ გაივლის ათასი წელი
და მჯერა მოხვალ ისევე ჩემთან.
ისევ შემჩივლებ შენს მარტოობას
და შენი ცრემლი კალთას დანამავს .
კვლავ მოიპოვებ დაკარგულ ნდობას ,
შენი სიტყვები ისევ დამაბავს.
იფარისევლებ, გულს მოიოხებ
და ისევ სადღაც დაიკარგები ...
მე მარტოობას ისევ ვიგლოვებ
და მხოლოდ უფალს დავენანები.
განდეგილივით ვიცხოვრებ მთებში,
მწუხრისას ლოცვას დავეყუდრები.
შენ სამუდამოდ მოკვდები ჩემში
და ვერასოდეს ვერ დაბრუნდები!..
ქრისტეს ასაკშიც ვერ ვპოვე შვება–
იქნებ ლოცვებით სული განვწმინდო.
ვიცი, რომ ძლიერ გამიჭირდება,
მაგრამ უფალს ვთხოვ მაინც დაგინდოს...

15.05.2009

შემომიყვარდი!

...ასე შემომრჩით ორი ზეპირად-
მომწარო შენ და მოტკბო ზეფირად...
და სითბო დამრჩა შენი ხელების,
სითბო-სიგიჟის და გახელების..
თვალში, თვალების ათინათები,
და ღამეები თეთრად ნათევი...
ლამაზი დილის გაცისკროვნება,
დილის-მუდამ რომ მემახსოვრება...
მაინც მოვასწარ,დაგიზეპირე,
ისევ ვიყიდი შენთვის ზეფირებს...

***

..მე და შენ ერთი სამყარო გვაქვს საერთო სევდით,
ახლა ის დროა-ავიწყვიტოთ თვალებგიშერა.
მთელი ქვეყანა გავიფინოთ ანაზდად ფეხთით,
თორემ შენც ატყობ, ერთგულებამ რომ არ გვიშველა!..
შემოვატყაოთ მთებს ტყეები უბეებიდან,
ციდან ჩამოვხსნათ: იაგუნდი, ლალი, ალმასი,
არა, როდემდე ცრემლისდენა უპეებიდან?
ვერ გაგვიგებენ?-
იმათიც და თუნდაც, ამათი!..
პეშვნაგროვები ავაცალოთ ზღვები მიწას და,
გადავაწვიმოთ გაზაფხულზე ველურ აპრილებს,
ვინც მოინდობა იმან უკვე სამგზის გვიწამა
და ჩვენგან წასვლას, მგონი არსად აღარ აპირებს...
ჰოდა ის დროა, მოვირბინოთ ყველა შარაგზა,
ქარებს მოვპაროთ ჩვენი წილი სიგიჟეები,
და ასე მოვყვეთ ისტორია, ჩვენი გზადაგზა,
გასავლელი და გაუვლელი-თეთრი დღეების!

19.06.17

***

მთვარის ფარანით დავსდევ აჩრდილებს,
ვერ შევაწყვიტე ზეცას ღილები ...
წლები მომსდევენ და ის მაშინებს-
თანდათან უფრო გადავიღლები...

ზღვისფერი სურვილი

ისე ლამაზად,
ისე სადად ,
ისე სათუთად,
ჩამავლე ხელი და ავყევით ქვიშიან ნაპირს ...
სახეზე თბილი წვეთები გვქონდა და
ალბათ ვგავდით ზღვის ცრემლით ნატირს .
აკიდებული ფინიასავით,
უკან მოგვდევდა ტალღის ხმაური ,
ფეხქვეშ კენჭების ხმაურობა და
წინ თოლიების აურზაური...
მზეც მოგორავდა ფორთოხლის ფერად,
ზღვაზე ალისფრად გაკრულ ბილიკზე
და ვეძლეოდი ხორციელ ღელვას
შენს შეფარულს და მეტყველს ღიმილზე,
მერე დაგნებდი ვით ტალღის მორევს
და გამოგყევი ტრფიალის ზღვაში,
შენ ჩემში მარტო ქალი კი არა–
გამოაღვიძე მძინარე ბავშვიც!
მას შემდეგ ჩვენი იალქანები,
გვერდიგვერდ ცურვენ აფრების აშლით,
ისევ მატარე, ძვირფასო ზღვასთან,
როგორც პატარა, უდედო ბავშვი!!!

10.11.2013
03:31სთ

ესა-მესა გადის ისა...

ბროლის ყელსა,
მარჯნის მძივსა,
ფოთოლს გადაფენილს ძირსა...
დაბლით მიწის,
მაღლით ცისა,
ყველას დანახედსა მზისა...
ნაგვიანევს სოფლად გზირსა,
ბილიკის თუ ფართე გზისა,
წარსულის თუ მომავლისა,
ღამეს დამღამებელს დღისა,
მოყვასს გაყიდულსა თხისად...

(ესა მესა გადის ისა)
ჩაუქრობი მუგუზლისა,
მთის წყაროს და ბარის ზღვისა,
ცრემლებჩმდგარი თვალებისა,
იების თუ ვარდებისა,
ატმების თუ ზამთრებისა,
წლებად ათვლილ დავთრებისა,
უბრად ჩამწვარ სანთლებისა,
ხან ესა და ხანაც ისა-
მოსვენება არ მეღირსა!..

20.01.18 წ
04.04სთ.

დედის ტკივილი

ისე ვაწყდები ოთხივე კედელს,
ვით რკინი ცხაურს ლომი ფაფარა...
ლეჩაქმოხვეულ სამების სერებს,
ზამთარმა ფიფქი გადააყარა.
ვერ დავტეულვარ-არ პატიების
ქარი, მთიური ჩამომსისინებს,
დედური გრძნობის არ გაციების
ობოლო კურცხლით ჩამოვიტირე!
მერე წვიმამაც ამიბა მხარი,
ცა ჩამოიქცა დედის ტკივილით,
არ იკარგება ამ ქვეყნად არვინ
იქ, სადაც არის სისხლის ყივილი!
ნაავდრალზე და ნანიაღვრალზე,
ობლების ცრემლებს ვეფერებოდი,
ყველა დაძახილ დედის ნანაზე,
საკუთარ სინდისს ვეკვეთებოდი.
გულზე მაწვება იმ დღის ტკივილი,
შენი თვალები არ მასვენებენ,
ასე ვიქნები დედის ჩივილით,
მანამდე, სამან გამასვენებენ!
ყველა სალოცავს ჩოქვით მოვივლი,
ოღონდ მეღირსოს თქვენგან შენდობა,
ვერნაპატიებ ღვთიური მადლით
მეტარებინოს თქვენი დედობა...

13.02.2011

ნათიას

ისევ მიხმობენ ლურჯი ფერები,
ისევ კაკლების რიგია შორი,
რიცხვი თექვსმეტი, მოსაფერები,
ქარს გაუფანტავს ჩურჩულით ჭორი.
მზეც ჩაინავლა, ჩაფერფლა მთები,
ეხლა ისე შორს, ისე შორსა ხარ,
რიცხვი, თექვსმეტი, მოსაფერები
წამმა გაყინა თითქოს ცოტა ხანს...
ჩამწკრივებულან ვერხვის ხეები
ზღვა დატორტმანებს ურჩი ქალივით;
რიცხვი, თექვსმეტი, მოსაფერები,
ცის ჰორიზონტებს გასდევს ლარივით,
ლურჯად ლივლივებს ყველა ფერები,
ისევ ზმანების დავრჩი მძებნელი,
რიცხვი თექვსმეტი, მოსაფერები,
ო, ღმერთო ამ დღეს სად არ გეძებდი....

06.09.2011.

ვიდრემდის...

არ ვიცი, საიდან, ან როგორ ამოვთქვა,
წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ტკივილი?!
სამშობლო-კლოუნებს...
ნიღბებიც აგორდა...
ღიმილი გვაკლია, გულწრფელი ღიმილი!..
დღეს ერთი არქიფო, ხვალ კიდე ვინ იცის,
ვინ მოვა, რამდენი, რამდენი, მითხარით?!
დანგრეულ საყდრისებს(ვის უნდა)ვინ ითვლის,
როდემდე გავთხაროთ ,,იმედის გვირაბი?!"
ეჰ, ჩემო სისხლო და ვაჰ, ჩემო გენიავ!
ნარნარი ფერებით აგემღვრათ დინება...
ვაი, რომ ქართული სულ შემოგლევია,
ძნელია თავიდან, სათავის მიგნება...
და შენი მდინარეც გადასცდა ნაპირებს,
კვალდაკვალ უცხო წყლის ზვირთებში ირევი.
სულის კი, საშველად არაფერს აპირებ,
სხვა გენში,სხვა ჯიშში, ნელნელა იღრევი...
სუნამოს სუნით და ნელსაცხის სურნელით,

რომ ცდილობ მთის სუნის გულდაგულ დამალვას,
მითხარით, ვინ არის თქვენ შორის მსურველი,
ვერ ვხედავ მე თქვენში, ქართულად დამავალს!
კაცები?-
რომლები, შენ რომელთ გულისხმობ?-
ქართული მარტოდენ რომ შერჩათ, გვარები...
ძმადნაფიცს უტუხად ართმევენ გულისწორს,
იუდას გზას დგანან, გზას გადაგვარების!!!
ქალები?-
ფთუი! ამთზე საერთოდ ნუ მკითხავ,
ხარბები სხვის ჯიბის და გულის ამრევნი,
უსულო სულები,მონები ვნების და
გონების,ოჯახის და ქვეყნის ამრევნი...
ბავშვები?-
მეტყვი რომ-,,ბავშვებს რას ერჩი,"
მამამ და დედიკომ ურწიათ აკვანი...
ჩემს ჯილაგს ამაშიც არააქვს საშველი,
რას ვიზამთ და მიტომ, ასეა, ამგვარი-
ბიჭს ყურზე საყურე,გოგოს კი ბარძაყზე
კირჩხიბის თუ რაღაც ეშმაკის ტატუ აქვს,
ვიბნევით სქესშიც და უცებვე გვიხარის
თავთავის ადგილას, ის რაღაც, და თუ აქვს?!.
მე მაინც მგონია, ეს ჩვენი გვირაბი,
სეთურის კარიბჭეს არსაით გასცდება-
გამოდით, თუ სადმე კიდევ ხართ, კაცებო!
ვიდრემდის, სულ ბოლო იმედიც გაცვდება...
აყივლეთ, აბღავლეთ,ქართული სისხლი და
კრწანისზე, დიდგორზე კვლავ ისე დაღვარეთ...
დიოდა, დიოდა...
და ასეც ივლის, და-
გიორგად...
დავითად...
ცოტნედ და მახარედ!

23.12.14წ
03:05 სთ.

***

...გათენდებაო, ჰოდა მგონი დგება ცისკარი,
მალე მტრედისფერს შემოარტყამს ღამეს აისი..
მიწას ვტოვებ და გამომიღეთ ვინმემ ცის კარი-
ბოლოსდაბოლოს ბორკილები ავხსენ, ავიშვი!!!

***

სულ აღარ მიკვირს
...გამოვიგონე ჩემი მზე და ჩემი ფერები,
მუსიკის ჰანგიც ავაჟღერე ზუსტად ჩემფერი,
იმ პირველყოფილ გატაცებით მოგეფერები,
მაგრამ უმიზნო ხეტიალი აღარ შემფერის...
ასე უსიტყვოდ ვითამაშე როლი უნიჭო,
არავინ დამრჩა ტაშისა და კვერის დამკვრელი,
ნიღაბი ავხსენ მეტიჩარა ყველა უნიღბოს,
ვერავინ ვნახე გულწრფელობის ცრემლის დამდენი...
მე მაინც შევქმენ ჩემი ცა და ჩემი ნისლები,
ზღვაზეც გავშალე იალქანის თეთრი აფრები,
გავფანტე ყველა სიძულვილი, ყველა იჭვები
და ფრთეფფარფატა ანგელოზებს ცაში ავყევი...
მე ყველაფერი მოვიგონე ჩემს ირგვლივ თითქმის,
მაგრამ ,,მის" ნამდვილს მირჩევნია გამოგონილი
და ახლა ასე, არაფერი სულ აღარ მიკვირს
ტყუილ-სიმართლედ როცა არის გამოდნობილი!

10.11.15წ
31.12.04:21

***

ნუ მიენდობი ავყია ქარის უზნეო ქირქილს,
შარშანდელივით გულს მოგიკლავს, ჭორებს დაგიყრის...
მერე ადგება გაუყვება სტვენით ნაპირებს,
ახალი მსხვერპლის ძიებაში აღარ დაგიცდის.
მალე ზამთარიც ჩამოგხედავს ლამაზ თვალებში,
თეთრი ლეჩაქით დაგიბურავს გიშრის ნაწნავებს,
როგორ გინდოდა ზაფხულებს რომ არსად გაეშვი,
ქარი კი ისევ ბნელ ქუჩებში ურცხვად წანწალებს...
და ვით ბეღურა, გათოშილი ზამთრის სიცივით,
ამოიჩემებ თავშესაფარს გადასარჩენად,

მერე კედელთან ატუზული ობოლ ბიჭივით,
გამოიგონებ ათას ამბავს აქ დასარჩენად...

***

...მივდივარ, არასდროს მომიხმოთ...
მივყვები არეულ ბილიკებს...
და წლები უცილოდ მოგითხრობთ-
ცხოვრების გამქირდავ ქილიკებს...

დაბრუნება

(ვუძღვნი მუჰაჯიროზის დროს გადასახლებული მესხიძეების შთამომავალს, გიორგი მესხიძეს)

...თითქოს წახვედი სადღაც და მე დაბრუნებას დამპირდი,
წლები კეცავდა წლებსა და ლოდინად მექცა ყოველი...
და როგორ მინდა ახლა, რომ მალე მოვიდეს აპრილი,
საუკუნოვან პირობას სწორედ რომ ახლა მოველი...
იქეთ დამირჩი, ძალდაძალ აშორეს ჩვენი სხეული,
თვალები ვეღარ გხედავდნენ მდინარედ ღვარეს ცრემლე
ბი, სამყაროს ასე შემოვრჩით-გაღმა გამოღმით ეულნი,
ვეღარ ჩავჭიდეთ ერთმანეთს ეს ნაჯაფარი ხელები...
მაგრამ გული რა გულია თუ დაივიწყა ნაწილი?
შენი ადგილი აქ არის, ჩემი გულია საყდარი...
აწი ერთია იცოდე; შენი და ჩემი ნაპირი,
აქ ზეცაც სხვანაირია, დედის თვალების სადარი...
ახლა მე შევთხოვ უფალს, რომ მალე მოვიდეს აპრილი,
გიხილო ქართულ ჩოხაში, უტეხი, მხარბეჭიანი,
ეს დაბრუნებაც ძვირფასო ვგონებ არაა ადვილი,
ჯანდაბას, სულ არასოდეს, იყოს და თუნდაც-გვიანი...
შენ დაბრუნდები, მომიტან-ენას შენახულს წვალებით,
მე დაგახვედრებ კერიას, გაუცივებელ ღადარით...
მერე უსიტყვოდ ერთმანეთს, ამბებს ვუამბიბთ თვალებით
და შევთანხბდებით იმაზე-
ჩვენი სამშობლო აქ არის!!!
...და როგორ მინდა ახლა, რომ მალე მოვიდეს აპრილი...

20.03.18წ

ვიდრე

ერთი ნორჩი ღიღილო
საცოდავად „დამღრალა”,
შემოდგომის ქარებმა
დამსუსხა და დამღალა...
ზარდახშაში ჩავკეტე
ლექსთა ტომეულები ,
რომ მნატრობ და გჭირდები,
რატომ არ მეუბნები?!.
გავეკიდე ოცნებებს,
ფეხშიშველმა გიჟივით,
მომიხურეს დარაბა
ბედი კვდება სიცილით...
ლექსებს ვანდობ ტკივილებს,
ისე როგორც გრანელი...
თვითონ აგიტკივილებს,
ამ ცხოვრების გზაგრძელი...
გავექეცი წინანდლის,
ლაბირინთებს ჩახვეულს,
ლექსად გწერე და ვხიე
და მივსტირე დახეულს.
ველზე ველურ გვირილებს
დავაცალე ფურცლები,
ცაზე ფარად შევყარე
სევდისფერი ღრუბლები.
მერე წვიმად მოვედი,
გაგაგიჟე მთლიანად.
ბედმა რატომ გვაყოვნა,
რატომ დააგვიანა?!
მაგრამ, როცა ინება
ჩვენი შეყრა გამჩენმა,
გადავკვეთეთ გზები და
წამიც მაშინ გაჩერდა.
მერე ფიქრში ავაგე
ოცნებათა კოშკები,
დანაპირებ შუშის ქოხს
ნეტა როდის მორჩები?!.
ვიდრე ქარი გაპენტავს,
აკაციის ყვავილებს,

ვიდრე ტალღა ველური
მოასკდება ნაპირებს...
ვიდრე, ვიდრე ჩაქრება
ჩვენი ბედის ვარსკვლავი,
ვიდრე დასრულებულა
სიყვარულის ამბავი–
მოდი, რამე მითხარი
გადამყარე ნისლები,
გამიქარვე გულიდან
დამტანჯველი იჭვები.
ერთად განვლოთ ცხოვრების
ბილიკები სავალი,
ამიფეთქე ოცნების
თეთრი იასამანი!.

29.09.2010

ისევ თქვენ

გათენებულა, რა დროა უკვე
მე კი სიზმრების ამარა ვრჩები.
ვიცვლი და ვისვრი, დაჭმუჭნულ ფურცლებს
ვეღარ დავწერე ტკივილი ჩემი.
წვიმა ჩამდგარა...
დარდიც დამდგარა
ვერხვის ფოთლებიც აჭარხლებულან,
კვლავ მოლოდინის ვრჩები ამარა,
სადღაც მღერიან ხასანბეგურას...
თვალებს ფარული ცრემლი მიოსებს,
როდის დადგება დილა მზიანი ?
სანამ სანთელი იწვის ილოცეთ
იქნება იყოს მერე გვიანი...
გეძებთ და გეძებთ, სულ ყველგან გეძებთ,
ვერ მივაგენი თქვენს კვალს თავნებას,
ისევ ისე ვარ გაკრული ძელზე
უბრალოდ, მინდა, თქვენი გაგება...
და ვხედავ წლებიც აღარ იცდიან,
კვლავ მოლოდინის ამარა ვრჩები,
ო, ღმერთო ჩემო,ოო, ღმერთო ჩემო,
როგორ მაწუხებს სიშორე თქვენი!

***

მალე თებერვალიც ჩაილევა,
კარზე მოგვადგება გაზაფხული.
მარტის ამინდები აირევა,
და ისევ დავრჩები დაზაფრული.
ზამთრის ღემეებიც იცრიცება,
ისევ აფეთქდება ყვავილობა...
სახეარეული იღიმება,
კართან ატუზული დაღლილობა.
როგორ აირია ამინდები,
როდის დალაგდება ეს დროება?!
მე კი ველოდები გარინდებით
ადამიანთაგან სათნოებას.

23.02.2013

რეზიკოს

როგორ ამიარა გვერდი,
ლამის ჩამომექცა ზეცა...
შენი დამეწყრილი მზერით,
დედამ გენაცვალოს, დედა.
თითქოს მომაკვეთეს მკერდი,
თითქოს გაიყინა წამი,
შენი უპასუხო ქცევით
სული გამიყინე ლამის.
როგორ გამოცვლილხარ შვილო?!
შენ დაგისამარდა დედა...
შორით მოფერებას ვცდილობ,
რატომ ჩამიარე კენტად?!
როგორ ამიარე გვერდი,
ზეცა ჩამომენგრა ლამის...
ირწმუნე ცრემლები დედის
და მოულოდნელი წამის.

15.05.2011

ჩვენი საგა

(გია ქურიძეს)

სხვების უარყოფილი ასე შეგრჩი,
ახლა შემოდგომის ქარებია...
დღესაც მეძახიან ალბათ შეშლილს...
ვფიქრობ არასოდეს ყვარებიათ?!
ყოველ დილას შიშით ვეგებები,
შენი სუნთქვის გავხვდი მოდარაჯე...
უამრავ ხატის წინ მუხლზე ვდგები
და უფალს შევთხოვ მომავალზე...
მერე ვცდილობ ფრთხილად გაგაღვიძო,
უკვე წამლის დროა, ვიგვიანებთ.
მინდა სატკივრები აგარიდო–
მერე სასწაულიც იფრთიანებს...
მჯერა, ისევ გახსნი დიდ ფარდებს და
დროის ნააზრევიც დაიღვრება...
შენი ბარიტონიც იგუგუნებს
და ეს სიჩუმეც გაირღვევა...
ტაში ნიაღვარად მოასკდება,
სპეკტაკლს, შიგ რომ სული ჩაგიდვია,
სცენას გადახედავ სიამაყით,
ღმერთო, რა თაობა გაგიზრდია...
მერე სახლში მოხვალ დაქანცული,
ისევ შემოგიტევს სნეულება...
ყველა, ექიმი თუ შემხედვარე–
ნეტა გადარჩება?–მეუბნება.
ჩვენ კი ისევ ვფიქრობთ შორეულზე,
ზღვასთან ისევ გვინდა შუშის სახლი...
ფეხშიშველნი დავალთ ორლესულზე...
უფალს ისევ შევთხოვთ–„ერთი ბავშვი...”
და ის უეჭველი ნინად მოვა,
თმებში ჩაბნეული ღიღილოთი.
ლაღი, წკრიალა ხმით იკისკისებს
და თავისიენით ლექსებს მოთვლის...
მერე სამნი ერთდ ავუყვებით,
შენი სოფლისაკენ ფართო შარას...
წლების შემდეგ შვილებს მოვუყვებით,
უკვე გასავლელ და გავლილ საგას!!!
სხვების უარყოფილი ასე შეგრჩი,

ახლა შემოდგომის ქარებია...
დღესაც მეძახიან ალბათ შეშლილს...
მიკვირს, არასოდეს ყვარებიათ?!

14.09.14

რამეგაზაფხულება

ტყემალს კვირტი დასკდომია,
იმოსება ბუნება...
თვალში ცრემლი ჩამდგომია,
რამეგაზაფხულება?!
ვარდს კოკორი გაუშლია,
დიდი არის ცდუნება,
მერცხლებს მართვე აუშლიათ,
რამეგაზაფხულება?!
მოციმციმე ვარსკვლავს ცაში,
მთვარე თავგზას უბნევდა,
გადავხედე ფიქრებს დაღლილს,
რამეგაზაფხულება?!
ბაღში ვნახე გოგოს ბიჭი-
ტრფობას ვარდად უფენდა,
დარდს ამანაც ვერ უშველა,
რამეგაზაფხულება?!
ორღობეში ბიჭი მღერის,
ზღვა თანდათან ლურჯდება...
დასრიალებს ტბაში გედიც,
რამეგაზაფხულება?!
გოგოს ალი მოსდებებია-
ვაჟი ესალმუნება...
ტყეს აუსხამს ფოთლები- მე
რამეგაზაფხულება?!
მზე თაკარა სხივებს აფენს,
იზმორება ბუნება,
ყველაფერი სითბოს აფრქვევს,
რამეგაზაფხულება?!
ამ ყველაფრით უნდა დატკბე-
კაცია და ბუნება...
მეკი მინდა შენით დავთვრე,
თუ ღმერთი გწამს-
რამეგაზაფხულება?!

სიცოცხლის ნანგრევი...

(ტაო-კლარჯეთი)

ოშკი
ნაღვენთი სანთლები, წაშლილი ფრესკები...
ნახევრად მოშლილი გუმბათის თაღები,
ამ უტყვი კედლების ვინ იყო მლესველი–
ზეცისკენ მვედრელი, მლოცველი თვალებით?!
რამდენი ჩუქურთმა, რამდენი ორნატი,
რამდენის ცუდის და სიკეთის მომსწრენი,
მუხლგადაყვლეფილნი, მლოცველნი მამები–
უსიტყვოდ, უენოდ ყველაფრის მომთმენნი...
და ასე ცოცხლდება ნანაგრევში წარსული,
დაბზარულ გუმბათებს ტვირთად რომ წოლია...
მას შემდეგ მრავალი წელია გასული–
ეს რა დიდებული წარსული გქონია?!.
მზის სხივმა გაფანტა რღუბლების ამალა
და სვეტებადქცეულ კედლებში გაიბნა...
წარსულის კადრებმა აფრები აშალა
და გაშლილ სივრცეში ბალღივით აიბნა.

03.05.2014
14:55სთ.

თეთრი ზმანება

შენზე ფიქრებმა გამიტყუა და
თეთრი ზმანება ვნახე-
მთვარე ჩამოწვა ჩემს საწოლზე და
ღრუბლით მომბანა სახე...
ალერსნარევი ნაზი ჩურჩულთ
შენი ამბავი მითხრო,
რაღაც ვიგრძენი, თუ მომეჩვენა-
მთვარეც სტიროდა თითქოს...
როცა შევბედე გასაუბრება,
ვკითხე მიზეზი ცრემლის-
„მეც მზეს ვეტრფიო,მაგრამ თავიო
ვერ მოვიყარეთ დღემდის!”
გული მეტკინა, ჩამოვიტირე
გაჩენა ამგვარ ბედის...

დამემშვიდობა ციური მთვარე და
გაქანდა თავის ეტლით...
ფერად ხილვების თეთრი ზმანება
გაჰყვა ზეცისკენ მთვარეს...
კვლავ უშენობის ცრემლი ამემღვრა
და დავრჩით-
მე და ღამე!

22.06.2010

***

მეხოტბეობა გიქცევია ცხოვრების წესად,
კუდის ქიცინიც შენნაირი გამოსდის-არვის...
და დამადლებულ სიყვარულებს არიგებ ლექსად...
ქარი კი ისევ უსაშინლეს არიას ბღავის...

***

...ნანახით შეძრულმა მოსვენება დავკარგე და ლექსიც ასე დაიბადა...

სახლის პერანგი...
ამოგლეჯილი გულღვიძლივით მოგიჩანს ოდა,
ნაძალადევი ქალივით ხარ ჩამონგრეული,
შენი სიუტყვე ყველა ცრემლზე მეტია, ჰოდა-
ირგვლივ წლებია კალენდრებად ჩამოხეული...
და ვეღარც ქერი გადაურჩა დროთა ჯირითებს,
კვალიც კი არსად დაგიტოვა ნამუსნახურო,
იცვლება დრო და წასულ წლების ნათელს ივიწყებს...
ვინ იცის რამდენ თაობების ნამომსახურო...
უხორცსხეულო პერანგიღა შემოგრჩენია,
აღარც ქერი ჩანს, აღარც ღოჯე და აღარც კიბე,
უკურნებელი სატკივარი შემოგრჩენია,
ჯიუტად დგახარ და იმედებს არ კარგავ კიდე...
ირგვლივ ხმებია, ჟრიამული ანცი ბავშვების,
ოხრავ და ოხვრა თითო კედელს აფუტუროებს,
არა, უფლება შენ არაგაქვს მიწად დაშვების,
ეს არ შეშვენის ადათ-წესებს, ამ მუხუროებს...
რას ვიზამთ, ასე გვტოვებენ და მიდიან ჩვენგან,
ჩახერგილია უკანა გზა, ჩვენი ნუგეში...
შემოვლით გზებსაც მონახავენ მოსვლა თუ უნდათ,

ასეა მუდამ, დამიჯერე, ჰოდა ნუგეში...
როგორც ჯიუტი, ლოდიძირის სიმტკიცე ძვალის,
არ მოუშალო მაგ საძირკველს ადგილის დედა...
ის დაბრუნდება, არა ისინი...გჯეროდეს ხვალის,
მე შენს დუმილში უსასრულო მოლოდინს ვხედავ!!!

11.08.16წ

***

ახლა ისე შორსავარ
საკუთარი თავისგან,
სად ახლა და სად მაშინ-
ჩემი ფიქრი თავნება...
და ცხოვრებას დუელში
კვლავაც ვიწვევ თავიდან,
თავის თავთან ომები
არასოდეს თავდება...
ახლა ასე ძალიან
არაფერი მანცვიფრებს,
შენ რომ ისევ შენ ხარ და
მე კი კიდევ -რავი რა?..
ნეტა რა დაალაგებს:
წლებს, თვეებს და მაგ ციფრებს?..
ნაბიჯ-ნაბიჯ და ასე,
ეს ცხოვრებაც გავიდა...
ახლა ისე შორსა ვარ-
ჩემიდან და ჩემამდე,
მე „მე"-ში დამეკარგა,
ანკი რიდის მყოლია?...
„მე"-ს ერთხელაც ეს გული
ვერასოდეს ვერ ვანდე,
ასე თავდაკარგული
ვივლი ქვეყნად მგონია...

26.03.17წ

..პაკ-პუკ პაკ-პუკ...

დავიწყე თავიდან
წვეთების ათვლები...
ჩემიდან შენამდე
რამდენი წვიმაა,
რამდენი წვიმაა
ურჩი და თავხედი...
მე მაინც მოვიტან
წვიმების სიგიჟეს,
ქარების ხეტიალს,
ოღონდაც გავიგო
საითკენ წახვედი...
ჰო, მართლა მოვიტან
ქაფქაფა ტალღებს
და მზის სხივთა ფერფურებს,
ოღონდაც მითხარი-
ეს წასვლა არ იყო,
უბრალოდ ბაღანას
დიდგულზე მეხუმრე...
პაკ-პუკ, პაკ-პუკ
კვლავ მესმის წვეთების
ხმაურთა სიდინჯე,
დაბრუნდი-
უშენო ამივსე სივრცე და,
კვლავ ერთად დავთვალოთ წვეთების სიგიჟე....

14.03.17

***

...მეტს ღარ მოგწერ,
შენი წასვლა იყო უცილო...
ან ეს რას მომცემს, მერამდენეს ვტეხავ უძილოს-
ღამეს, ჩემი სარკმლის წინ აბეზარი ბავშვივით
რომ ჩამომდგარა...
და უსასრულო შავი მზერით ურცხვად მაშიშვლებს-
კიდითკიდემდე, სულის სიღრმემდე
და ბავშვობაში, ორღობის ნაქურდალი ატმებივით
ხელდახელ მაცლის
ბოლო იმედებს...
უცილოდ უნდა წასულიყავი,

რადგან ჯოჯოხეთური სიმხურვალით
ჩამომიმზიგულე...
გამათამამე...
მეც სულის ნავთსაყუდელად შენ დაგიგულე...
და ახლა ვხვდები, რატომ უნდ წასულიყავი...
და მიხარია, ამჯერზეც რომ ვეღარ ვიძინებ,
ნიშნულზე მეტად მაღლა რომ არ ავსულიყავი
და კვლავ შემეგრძნო დახეთქილი მიწის სიმძიმე-
მირაჟებში რომ შემხებოდი გამშრალ ბაგეზე
წყაროს წყალივით,
მერე მხოლოდღა შენთვის მეომა
და ამეხდინა გულის წადილი...
...შენ მართალი ხარ,
აი, რატომ უნდა წასულიყავი...
მეტს აღარ მოგწერ და ჩემს სარკმლის წინ
თავნება ბავშვივით მომდგარ ღამესაც
არ შევკადებ არცერთ სამდურავს-
აწი, რადგან ვიცი, ამაოა სხვა დანარჩენი,
მე ხომ უფლის ნებით და შენითავარ
გადანარჩენი!!!

05.04.16წ

***

...მარტია, ამინდმაც აუშვა აფრები,
კვლავ ვითვლი ლოდინის უშენო ნაბიჯებს...
ბავშვურ ოცნებით ვიჯერებ და ვთვრები,
აწმყოს კი უტიფრად გა-გა-დავაბიჯებ...
მინდა და გენდობი, გინდა და გიჯერებ,
გარეთ კი ამინდი თავს იგიჟიანებს...
შორიდან შეხედვით გულს მაინც ვიჯერებ,
ვხვდები რომ შენთანაც და-და-ვაგვიანე...
თუმც მაინც მარტია, მარტივით, მარტულად-
ვიგიჟებ ან ვინ მყავს სიგიჟის მომშლელი?!
მე მინდა ბგერაშიც მოჩანდე მხატვრულად,
სადახარ, გამოჩნდი, თუკი ხარ მომსვლელი?!
და სანამ ეს მარტი ტყემლების ყვავილებს-
გაიფენს ვით ბამბის ქათქათა ქულაჯებს...
სანამდე სიყვარულს ქარები წაიღებს,
მე ცისკენ მივუშვებ ჩემს წლების ულაყებს...

04.03.17წ

ემიგრაციაში მიმავალი ქალის წერილი სამშობლოს!!!

..არაფერს გიბარებ, არაფერს ამჯერად,
დაე თქვას სათქმელი დრომაც და მანძილმაც...
მე შენი დაცემის არა და არ მჯერა,
შენს ომში ჩაეგოს სულ ჩემმა მანდილმა...
არაფერს გძალავ და ვერაფერს გიტოვებ,
მიმყვება სიჩუმე, ვით მწუხრის ლოცვები,
არ გადაშენდები ამ იმედს ვიტოვებ,
რომ კვლავ გიმღებენ-პოეტი ლოთები...
და მაინც მგონია, რაღაცას ვიპარავ,
გულის კოვზს შარბათის წვეთად რომ მისხია...
ძილშიაც შენს სათუთ სიყვარულს ვიფარავ
და ვყვირი ხმამაღლა-ეს მთები ვისია?...
შენ თვითონ მიხვდები-რა, როგორ,დანარჩენს...
მეც ზურგი გაქციე, ამჯერად- ვიკადრე,
კვლავ დაველოდები უფლისგან განაჩენს,
კვლავ შემოგევლები ისევე, ვით, ადრე...

19.04.17

***

...შევეხიზნე ასკეტებს და ბერებს,
მათი ბედის მინდობილად დავალ,
სული ჩემი უსასრულოდ ბერეს,
დავდგომილვარ გადაბუგულ ტრამალს.
ეხლა როცა დამიშუადღევდა,
ეხლა როცა ბინდდებიან მთები,
ბედისმწერი ტრამალებზეც მსდევდა
ასე ჭედა საცხოვრისი ჩემი...
შევეხიზნე ასკეტებს და ბერებს,
შევუდექი უსასრულო სავალს,
აღარ ვიცი რა იქნება მერე,
როს სხვებივით ამ ქვეყნიდან წავალ.
ალბათ ჩემზეც დაიწყებენ გლოვას,
ჩაიცვამენ შავებსა და თალხებს,
დაგეწყება სინანულის თოვა
ჩემს სიყვარულს ძალზე გვიან ამხელ...

24.11.12...

***

შენ ჩემი გულის ფიქრებს თუ დახევ,
და ზურმუხტისფერს გაჰყვები ზღვას...
მე კი თავს შენი გრძნობებით ვამხელ-
ვერმოკავებულს, გადასულს ზღვარს!..
და ცაზე როგორც მიბნედილ მთვარეს,
აღარ დამითვლი ნაბიჯებს ცერზე,
ობოლ ბიჭივით დახუჭავ თვალებს
და ყოველ ღამით იფიქრებ ჩემზე....

14.04.17

***

...მზეგადასულა ჩემი საწუთრო,
წლებმა მიმრავლა დარდი-ვარამი...
მე დაგაკლები კარგო-აწ უფრო,
რომ არ შეგრჩება „გემზე"არავინ!!!

***

„სახლი მინდოდა მქონოდა, უბრალო-ხის და ისლის"
გიორგი შალამბერიძე

***

ღმერთი მინდოდა მყოლოდა,
სწორ გზაზე დამყენებელი,
მე კი მორჩილი მხევალი,
ლოცვებში გამთენებელი.
ქოხი მინდოდა მქონოდა,
ტყისპირას, ყავრით ნახური,
ქმარი-ლომგულა, მამაცი,
მე კი მისი ყმა, მსახური.
დები მინდოდა მყოლოდა,
დასავით დამტირებელნი,
ძმები,
ყელგამომღადვრელნი,
ჩემთვის ცუდდამპირელნის.
ვაჟი მინდოდა მყოლოდა,
კლდეზე ჯიხვების მდევარი,
ვაჟკაცი, ორბისთვალება,
მტრისას მის დამაწყევარი.

ზეცა მშვიდობის საფერი,
მხოლოდ მერცხლების საფრენად,
გრძნობა ურჩი და თავხედი,
რომ ღირებოდა გაფრენად.
ჰო, უმთავრესი სამშობლო,
ჩემად მინდოდა მარტოდენ,
მიწას წაგლეჯილ ნაწილებს,
როდემდე უნდა ვნატრობდე?!

***

...გოგოც მინდოდა მყოლოდა,
ლამაზი, ნუშისთვალა,
მაგრამ იღბალმა ცრემლები
ჩემი, თვალა და თვალა.
კარგად ვერ ჩავთქვი სურვილი,
მზეს გავაკიდე ქარები,
ვერ მოვიკალი წყურვილი-
დედობის, შესაბრალები...
ცოტაც და დაღმართს დავიწყები,
წლებმა თავისი წაიღო,
შენ კი არაფერს მავიწყებ,
(ნეტა რა არ და რა იყო?)
მინდოდა გოგო მყოლოდა,
ნუკრის თვალებით მზირალი,
ნეტა სად გაჰყვა დაისებს
და მე დამტოვა მტირალი?!

***

ყველა მარგუნა უფალმა,
ყველამ თავის გზა არჩია...
ახლა ვდგავარ და მარტყია,
გარს მარტოობის არშია!...

05.05.17
„თურქეთი"

***

...გვრილებივით ჩაგეხვევი სულში მზიანო,
ოღონდ ამას გთხოვ არასოდეს დააგვიანო...
სარეველაში გარეული მოსვლას ვგვიანობ...
ძლივს მოგაგენი, არ დამტოვო-ადამიანო!!!

***

...მორიგ კამათსაც მივეჩვევით ალბათ თანდათან,
წვიმას სიცილად არეყოფა ჩვენი ჩხუბები...
მერე შენს ღიმილს მოჯირითე წამებს გავატან
და ჩემს წარსულთან ისევ ისე, იმ გზით ვბრუნდები...
მერე ბრძოლასაც მიეცემა შნო და ლაზათი,
თუნდაც დავეცე ბრძოლის ველზე არაფრად მიღირს.
და ამჯერადაც მოვარღვიე ვიცი ადათი,
ბედნიერებას დავარქმევდი მე შენთვის სიკვდილს...
სადღაც ქირქილებს ირონიით ქარი წყეული
და ჩემს სტრიქონებს უნაწილებს ქუჩის მასხარებს,
ჟანა დარკივით ცოცხლად დავწვი ჩემი სხეული,
ბედი კარებთან ყბადაღებით შავად ხარხარებს...
ვიცი ამჯერზეც მიმაჩვიე ისევ კამათებს,
შენ მართალი ხარ, მე კი სიტყვის თქმასაც არ მაცლი,
ნიღბიან სახით კვლავ მიგორებს ბედი კამათელს
და ამჯერადაც უსასტიკეს მარცხით დავმარცხდი...

29.12.16წ
02:32 სთ

... ᲐᲰᲐ ...

ისევ იმავე უტიფრობით, გიწვდი ჩემს ხელებს,
დაბუდრებულია ეს სიჩუმეც არაფრის მთქმელი...
თავს შევაფარებ მაღალ მთებში-ასკეტებს, ბერებს
და მეც ვიქნები შენზე ლოცვით თეთრ ღამის მთევი...
მაგრამ ტაძრებში ჩემი წილი სანთლებიც ჩაქრა,
და თეთრ გუმბათებს აუჭარხლდათ ჩემი ცოდვები,
რადგანაც კარგო არ წასულხარ და ისევ აქ ხარ,
გამოდის თურმე ამაოდ და ტყუილად ვგოდებდი!
მომიახლოვდი, ისევ ვიგრძნო სულის შვება და
გაასტრალება ვიგრძნო ისევ ლურჯი ფერების

თუ არაფერი ცხოვრებისგან არა გვრჩება რა-
აჰა- ეს გულიც, ეს სულიც და ჩემი ხელებიც...

15.10.2016

***

(გია ქურიძეს)

თავი დამანებეთ ყველამ...
თავი დამანებეთ!
სული დაკოდილი, კაცის უიღბლობით –მატკივილეთ.
ყველა სისხლიერმა როგორ გადამთელეთ?!
ჩემი სატკივარი, ჩემი სადარდელი ფიქრად მაფიქრინეთ...
მომეცით უფლება გიჟად გადაფრენის –
ფრთები შემატოვეთ, რაღას მემართლებით ?!
დრო დამიდგა ეხლა ზეცად აღმაფრენის,
ზოგჯერ გიძულვილებთ, სენად მემართებით...
ჩემი სავალე მაქვს, ჩემი ბილიკები,
ბევრჯელ ნარეკალმა გზები ჩამიხერგა,
უგულოდ გაგითელავთ ჩემი გვირილები
და თვენ სულმდაბლობამ თმები გამითეთრა...
ჩამქრალ ნაღვენრდალში ბჟუტავს ნაპერწკალი,
მასაც ნუ ჩამიქრობთ ყველამ გამეცალეთ!
უკან მოვიტოვე ბედის ანიბანი,
სულსხვა საფეხურზე ვდგევარ ამ ეტაპზე.
ჩემი დაშვებული ყველა შეცდომები,
ჩემი სათრევია, რაში გენაღვლებათ?!
ორმოცდამეერთე შემოდგომას ვხვდები
წლები დაუნდობლად სადღაც მეპარება.
ჰოდა, დამაცადეთ... თავი დამანებეთ!..
ჩემი ოცნებების ქოხი მაგებინეთ...
არავის არგერჩით, არაფერს არ ველი
მე ჩემი კუთვნილი ჯვარი მათრევინეთ!
ჰეი! რომელი ხართ მანდ? –
მე ჩემს სავალ გზაზე დგევარ-
გამატარეთ!!!

05.07.2010

ნათიას

ავყია ქარში გაშლილი თმების,
სურნელი ვიგრძენ, სადღაც აქახარ...
გამშრალი ცრემლი...მდუმარე დედის
–შვილო, რამხელა გოგო გამხდარხარ?!
თითქოს ბორკილი დამადეს ფეხზე ,
თითქოს მარილის სვეტად ვიქეცი,
იმ წუთში აღარ ვჩიოდი ბედზე,
სულგამოცლილი უტყვად ვიდექი...
შენ კი საოცარს ჰგავდი ფარვანას,
მზის ათინათებს აკიდებული...
მე კი ვეძებდი შვილო სამალავს,
რომ არ გენახე ატირებული.
მხოლოდ სურნელი დატოვე ჩემთან
და შენი ფეხის ფაქიზი ჩქამი...
მადლიერი ვარ ამისთვის, ღმერთთან,
რომ შენი ხილვის მაჩუქა წამი!

07.04.2014

ბედის ირონია

„შენ"
ჯვარზე გაკრული უფალი, ღმერთი...
ცარიელია ბაღში სკამები...
ირგვლივ არასჩანს სულდგმული ერთიც,
მხოლოდ გარდასულ დღეთა წამები...
ვდგევარ, სამრეკლოს ჩრდილს მინდობილი
შეფარვით, უხმოდ გეძებ თვალებით...
შემდეგ ვნებდები ბედს ირონიულს
და ისევ ვკეცავ ნავალს წვალებით...
მივდივარ, სადაც არავინ მელის,
გარეთ კი ქუჩას აცვია ღამე...
ვითვლი შენს ნავალს ნაბიჯით ნელით,
გვერდით, ხელკავით მომყვება მთვარე...
გახადეთ ქუჩას შავი სამოსი,
სულში ისედაც კუპრი ღამეა!!!
შენ უკვე გახდი ბერი, სალოსი-

მაქ უსასრულო სულის არეა...
ვერ მოვიდინე ცრემლი სამყოფი,
ჩემში გამეფთა მელანქოლია...
შენ ზეციურში გერგო სამყოფი,
მე კი მიწაზეც არამქონია!

08.11 2014წ

***

...გამოვქან-და-ვქანდაკდები,
თითქოს ხარ და თან მაკლდები...
თანდათან და თანაც ვხვდები-
მერე უფრო დამაკლდები!..
დარი დამიაავდარე,
ჟამი ჟანგისფერიამე...
უცხო მგზავრებს მიმაბარე,
შენ კი წადი-გეიარე...
დამე დამიკოდე გული,
დარდად დამამარტოხელე...
ახლა ვდგავარ მონა ღვთის და
მათხოვრივით გიწვდი ხელებს!!!

13.05.2015წ

***

...უკანვე მაბრუნებს წარსულის ბილიკი,
გზადაგზა ვაგროვებ ცხოვრების ტკივილებს...
რამდენჯერ მოვბრუნდი ამ გზაზე,ვინ იცის?-
მეც ვგავარ ცრემლებად ჩამოღვრილ ტირიფებს!
წარსულის მოძახილს მოვყავარ შენსკენ და
მოსვლისთვის არ ვიცი ძალა თუ მეყოფა...
შენ მიხმე შენეულ ფიქრიდან ერთხელაც-
და ამას ველოდი ძვირფასო,ეტყობა!..

06.09.15წ

***

მაცდური გამოხედვა,
ცბიერი საფიქრალი...
მგონია გითხარი თუ-
არ ვმახსოვს-არ გითხარი?!.
შენ ასე მარტივად და შენ ასე ხელაღებით
არ იცი რამინდა და ესაა საკითხავი...

მე ასე ზომიერად,
მე ასე ჩარჩოებში...
შენ კიდევ ახირებით
მიტიე, არ მომეშვი....
მორიგი გადაჩეხვა
და გზები ვიწროებით,
ტანთ მარტი გადამედვა,
თმებს ქარში ვისწორებდი-
შენც იმ დროს დამინახე,
სხვა ნაპირს მიღწეულო,
შენთანაც დავივანე
ალერსებს მიჩვეულო...
მაცდური გამოხედვა,
ზერელე საფიქრალი...
შენ გულს თუ გადაგიხსნი
ესაა საკითხავი(?)
და რადგან ყოველდღიურ
ყოფითებს მივეჩვიე:
მეც ასე გახელებით,
მეც ასე მარტივად და
უბრალოდ მოგეჩვიე

13.03.16წ

***

...და იდგა ზღუდე ჩვენ ორს შორის
ისე მაღალი-
ვერანაირად ვერ ვხედავდი სიახლოვის საჭიროებას...
მერე, მარტის თოვლივით გაქრა
უხერხულობა
და საგზლად
შენი ალუბლისგემოიანი ტუჩების სიტკბო გამოვიყოლე...
იქნებ ხვალ სამხრობამდეც მიმყვეს
არ ვიცი...
ხელისგულით კი შენი მკერდის ჯეჯილს ვეხები
ფიქრებში
-სადაც ძველი ქოხი გამოჩნდა
შენთვის რომ ვაგებდი და
საძირკველიც ვერ მოვასწარი
ახლა დაბრუნდი და ყოველგვარი

სიტყვის,
ახსნის,
გრძნობის გარეშე ჩამომისახლდი-
ჯერაც არაგებულ ქოხში, რომელსაც
არც ჭერი,
მითუფრო საძირკველიც არ გააჩნია...
სამაგიეროდ სარკმლებია,
ბევრი სარკმელი
თითქმის ყველგან და არ მოგბეზრდება
არც დასველდები,
სიცივესაც ვერ იგრძნობ
ოდნავ...
ამ არარსებულ ქოხში გაზაფხულები
დაბინადრევდნენ
...შენ შეგიძლია იგაზაფხულო
და მერცხალივით გაითბილქვეყნო
თუკი ზამთრები შეგაშინებენ...
შენი ალუბლისგემოიანი ტუჩების
და ბაგეებშეუხები ქუთუთოების ვერშეცნობილი
გემო გამომყვა საგზლად...
იქნებ დავჯერდე ამას,
იქნებ, ვინ იცის?!.

28.02.16წ

***

...დღეები გზაში რომ გეკარგება,
დღეები სევდებით დანაფერი,
ყოველი ნაბიჯი გენანება,
ნაბიჯი, რომ გრჩება-არაფერი...
წამები, წამები მოისრული,
დროება ათვლილი წამისწამად,
იქნებ და ასაკიც მოისრულე,
იქნებ და გიღირდა ყოფა ამად.
ვით შარახვეტია ქარბორბალამ,
წარსული ფოთლებად აიყოლე,
ცხოვრება, ვითარცა დარდუბალა
წახველ და სტიქიად გაიყოლე.
ყამირი მიწა ხარ წყალნაკლული,
მაისის წვიმები გეზმანება,

ცალ-ცალად ყოველი გაზაფხული,
ო, როგორ, ო,როგორ გენანება!
უდაბნოს მირაჟში ჩაკარგული,
არც ეძებ, არც ელი გაღვიძებას,
რამდენი წამი გაქვს დაკარგული,
რამდენის კვლავ ცდილობ დავიწყებას...

17.06.16წ
07.35სთ

***

და სადაცაა გათენდება ისევ ჩვეულად,
ზეცა ვარსკვლავებს შემოიხსნის მკერდზე ღილებად..
ათას სატკივარს დავატარებ დღემდე ეულად
და არცეთგანი მემეტება გასამხილებლად...

***

მუჰაჯირის აკვანი...
და გალუმპულა დედის წარსული,
და კვლავ დახტიან უცხო ჭინკები,
აქ იწვა ბევრი ქორფა ასული
და გულმაგარი ბაბას ბიჭები...
მშობლიურ ხისგან გამოთლილ აკვანს,
უფლისოდენა შუქი ფენია...
მასში თავმოყრილს-წესსა და ადათს,
და შენი ჯიშის ქართულ გენიას...
ყველაზე ძვირფასს, სალოცავს, სათნოსს,
ცისარტყელასებრ შვიდფერა სურვილს,
ვით ხელშეუხებ უწმინდეს სატრფოს-
ელაციცები, უფრთხი და უვლი.
თითქოს სამშობლო გეწვეს აკვანში,
გსურს საუკუნის არტახი შეხსნა,
ის მუჰაჯირი სამი წლის ბავშვი,
ისევ იმ გზებით მიჰყავენ დღესაც..
და მჯიღში მალავ ტკივილის კურცხალს,
მუჰაჯირი რომ ქვია სახელად,
შენი სამშობლოს ნატრულობ ზეცას,
თუმც ამ ყველაფრის არგსურს გამხელა-
რადგანაც უკვე სხვაგვარს ატარებ
და უნებურად სხვა ჰიმნსაც მღერი,

უცებ ავდრიან სახეს იდარებ
როს გახსენდება ქართული შენი...
ვერ ამოხსენი ბედის იგავი,
სივრცესაც ყური რამდენჯე უგდე,
ყველა ქართველში ხომ შენ იყავი,
წლების სიმძიმით აივსე უბე...
ახლა ზიხარ და როგორც სამშობლოს,
ძველისძველ აკვანს უმზერ ცრემლებით,
არგადახვიდე გინდა არაფრით,
რომ დაგიბარა სიტყვა ნენემ ვით-
გარდაუალი უფლის სახელით,
სურვილასხმული კრიალოსანი,
მჭადზე დასმული ჯვარი მის ხელით,
როგორც მფარველი, როგორც მისანი.
მიდი და ახსენ არტახი აკვანს,
იქნებ მოეშვა წლობით ჩაკრულო,
შთამომავლობით ატარებ ამგვარს-
ურცხვ ბედისწერას გურჯო ჩაგრულო...
და უფალს შესთხოვ-კიდევ ერთი ყრმა,
კიდევ მრავალი რომ დაიბადოს
და ამ აკვანში იმ ყრმასთან ერთად,
შენი სამშობლოც რომ გაიზარდოს...

22.01.17წ

***

...მუხლზე დაგიდგები,ნისლად მოგეხვევი,
წვიმად დაგადნები-ჩემო მთა და მდელო...
შენ არ დამიბერდე, შენ არ დამიღონდე,
შენ არ დამიმთავრდე-ჩემო საქართველოვ!!!

***

ალბთ(ოდეს)....
...ახლა სხვას ვემონები, შენი ხსოვნის შემყურე,
შენს ნაკვალევს ყვრიმაზე სხვისი კოცნა გადაშლის...
აღარც ყურს არ ამშვენებს ლალისფერი საყურე,
დრო ცხოვრების მომდევნო გვერდს თავისით გადაშლის...
მერე სხეულს დააყრის სხვისი ნათითურები,
თმასაც სხვისი ხელები გადაიფენს ბალიშზე,
შენი ნაფერები და შენი ნადიდგულები,
სევდის ნოტად იკვრება სულის ყველა კლავიშზე...

შენი ტუჩით ნაწრეტი თვალის უპეებიდან,
მოდის ცრემლი საბრალო და შეურაცხოფილი,
ყველაფერი წაშლილა დროთა უქმეებიდან,
დამრჩა მხოლო სული და ისიც უარყოფილი...

23.11.17

***

...ეხლა ღამეები ვიმეგიბრე,
ჩემი ტკივილების მოზიარე...
ღმერთმა მე მომანდო შენი თავი,
მე კი ვერაფრით ვერ მოგიარე...

***

დასასრულის დასაწყისი
დღეს უმოწყალოდ მოწყალე ვარ, ვთესავ ღიმილებს
და არ მადარდებს რა ამოვა-პური თუ შვრია,
წლებმა, რომლებმაც უშენობის ხარკად მიმიღეს,
შენი ლამაზი ნატერფალით ნათელი ქვია...
დღეს უმოწყალოდ მოწყალეა ღმერთიც ჩემს მიმართ,
ცას საჭოგრიტოდ ააცალა ღრუბელთ ამალა,
ვხედავ ფრთებშესხმულ ანგელოზებს და ყველა იმათ,
ვინც მიწამია და ისევ ვარ რწმენის ამარა...
ხვალ ნასიზმრალი სიზმრებითღა ისევ ავდგები
და ზღვას მოვიქცევ მჯიღში მისი ნების გარეშე,
ო,რახანია დამიხიეს თეთრი აფრები,
კაიპიტანი ვარ შტორმს მიმყოლი გემის გარეშე.
და მაგრამ მაინც, მოწყალე ვარ საკუთარ ცოდვის,
ქარიც სარკმელზე ელეწება მტკივა მინები,
ვინმემ ჩამოხსნას მთვარე ციდან,იქნება როდის,
იქნებ შენ მაინც ამისრულო დანაპირები?!
დღეს, მე დღეს მინდა ყველაფერი, წყალობაც შენი,
თორემ ხვალ იქნებ უმოწყალოდ გავხვდე ბოროტი,
როცა მე და შენ ასე რიგად სიცოცხლე გვშვენის,
ხვალ იქნებ კიდეც გავემგზავრო ლექსით ბოლოთი...
თუკი ოდნავ და ცოტა მეტად უფრო მიწამე,
ნუ აგვიანებ, დროა უკვე კარი გამიღო,
შემომატკეპნეს მუხლებამდე შავი მიწა მე,
იჩქარე, თორემ ან მიწამ, ან ქარმა წამიღო...
დღეს უმოწყალოდ მოწყალე ვარ, ყველა სათქმელი-

გითხარი, უკვე ღიას ვტოვებ გულის დარაბებს,
მოხვალ, დაგხვდები-მზემღიმარა, შუბლით ნათელი,
თუ არ მოხვალ და... ჩემო ეგეც აღარ მადარდებს.
რადგანაც ვთქვი, რომ ის რაც ვთქვი და რაც არ გითხარი,
მოწყალებაა უმოწყალო-გარდა მაგისა,
ან სიზმარია, თუმცა ცხადი, უფრო იგავი
და დასასრული არდაწყებულ ტრფობის ამბისა!!!

03.11.17

***

...აგყევი, დავიწყე თამაში,
თუმცაღა ნაცნობი როლია,
ისევ ვარ იმ ცისფერ კაბაში,
ვოცნებობ თუ გახსოვს-როდიდან...
შენ ჩვეულ პარტიას მთავაზობ,
მე ვიცი ეს როლი დამკარგავს...
არ მინდა სხვას ვუთმობ მთავარ როლს,
ვიცი რომ ცხობრებაც ჭადრაკს ჰგავს-
მეფეს რომ დედოფალს უკლავენ,
სანაცვლოდ პაიკებს გადიან,
მეც ასე ვთამაშობ უმთავრესს
ამჯერად ეს აღარ მწადია...
და მაინც აგყევი თამაშში,
ჯანდაბას, გასწიეთ ფარდები...
სცენარში არაფერს აღარ ვშლი,
ამჯერზეც უთქმელად გბარდები...

02.06.17

***

...დამყვები საავდრო ღრუბელივით,
ჩემი დუმილების კავალერო...
ცრემლებს ნაჩვევი ბაგეები,
მინდა ღიმილებით გავანელო...
***
რომც განმიკითხონ, სულმთლად, ბედნიერი ვარ ცამდის!
...ცაში აფერადებული მაშხალები და... ალმაცერად მზირა-
ლი, (დაქალები)... ვიღაცეებს გაუჩნდათ სადარდელი, ჭორე-
ბი ათქვეფილა ათასფერი.
სოფლის ატეხილი ჟრიამული და... ვინ მთვრალი, ვინ კიდე

მხიარული და...

შენს ძებნაში დაღლილი თვალები, ხესთან შექუჩული-ჭორიკანა ქალები და... უზომოდ გაწელილი წამები.

გიცქერდი შორიდან შეპარვით და ვწყევლიდი გაჩენას ამ-გვარს...

ველოდი ულამაზეს გაზაფხულს და შევესწარ შემოდგომის ავდარს...

მთელმა ღვარცოფმა ჩემს სუსტ მხრებზე გადაიარა და და-მიტოვა პირგახსნილი სულის იარა.

ბედმა მუხთალმა, სად აღარ და სად არ იარა, შენთან შედ-გა და -ღმერთს მადლობა არ ჩაგიარა !!!

ისევ იწყება, ისევ მაწვალებს და ჭრილობები იხსნიან პი-რებს... ათიათასებს ავითვლი წამებს, მე და შენ, ერთად გავი-ნაპირებთ...

... იწვიან მაშხლები...

მჭორავენ დაქალები...

აწყვეტილი საღამო, გრძნობა დაუსაბამო...

და სადღაც ჩურჩელებს ქალი-„ მაგას გაუხმესო თავი! ტყუი-ლა აცვია შავი... როდის ჩადგება ქარი?!

... მე კი, ჯერ ასე წყნარად არ შევხვედრივარ ღამეს,

რადგან ვიცი რომ აქ ხარ-აი, აქა ხარ აქვე...

მე იმ ჰაერით ვსუნთქავ, რომელიც შენში ჩადის,

რომც განმიკითხონ სულმთლად -ბედნიერი ვარ ცამდის..

11.07.2012

რეზიკოს

გამოჩნდი, განათდა , ბრწყნვალე აღდგომა
და ჩემმა წუხილმა ნისლები გახია...
კაცი ხარ უკვე და ის შენი ბავშვობა,
ცრემლებმა წარსულის ბურუსში გახვია.
შორიდან შემნიშნე შენც უცაბედად და
შეცბუნდი, არვიცი რამდენად მელოდი,
დამთხვევა თუ ბედი რამდენს არ ბედავდა–
ვგრძნობდი ...
და შორიდან ვერაფერს გშველოდი
მეგონა , იმ ბრბოში შიშველი ვიდექი –
იმდენა ამეწვა მე შენი განცდები ...

ვეძებდი და ტკივილს ჩემს შიგნით ვიტევდი
ღობეს მივეყრდენი ვით ძაღლი ნაცემი .
სულ ერთი შეხედვით მითხარი სათქმელი,
შორიდან მათხოვრულ მზერით რომ მომიგდე–
წახვედი...
 და ზეცამაც დახურა სარკმელი
მიწაზე დამტოვა დარდების მორიგედ.

05.05.2013

***

შენ უნდა იყო შენ
და არა ვიღაც სხვა...
ვინ ვის სალამურს სტვენს,
ვინ ვის აუბამს მხარს.
შენი ცუდით და კარგით,
შენ უნდა იყო შენ,
იყავ კაცური კაცი-
სხვისას ნუ მოჭრი ხეს.
შენი ღობე და სარი,
შენი ოდის წინ დადგი,
უნდა იცოდე კაცმა-
სინდის-ნამუსის ყადრი.
შენ თუ არა ხარ ვინც ხარ,
სხვისს ნუ მოირგებ ყალიბს,
ნუ მიეჩვევი ტყუილს
და გეშინოდეს ხვალის.
თორემ ქვიშანი რჩებიან
და წყალს გაჰყვება ყოველი...
სამსჯავროს როცა წარსდგები,
ხსნას ნურავისგან მოელი!!!

***

და მერე ქარები წაგვიღებს,
შენ ცალკე ნაპირი გექნება,
კვლავ ბედი ჩემზე ხელს აიღებს
და მიტოვებული მერქმევა...

14.04.18წ

***

...წამიდან წუთამდე,
წუთიდან კვირამდე,
კვირიდან კვირამდე-
აიტან ან რამდენს?
დათვლილი პულსებით,
მაჯიდან მაჯამდე...
გადასვლა გადმოსვლა-
აქედან მაქამდე...
ზღურბლიდან კიბემდე,
კიბიდან მიწამდე...
ფეხდაფეხ, გზადაგზა
მინდა კვლავ მიცავდე...
წამი და...პაუზა
არც კვირა აღარც თვე,
აღარც მზე ბრდღვიალა...
მორიგი ფიალა
უხეში ხელებით
დაცლილი სასმისად
უაზრო ბრძოლებად
და ოქროს საწმისად...
კარსუკან მეძავად
აჭრილი საღამო
და სული ხურდებად
ნაძარცვი სალარო...
წამიდან წამამდე,
ჟამიდან ჟამამდე,
ბაქნიდან ბაქნამდე,
მაქედან მაქამდე...
და თუნდაც-
აქედან მაქამდე...
ჩავლილი რეისი,
მომდევნოს ლოდინი...
უნცნობი მერმისი
და ცივი ლოგინი...
წამი და... პაუზა
აჭრილი სარჟები...
წარსული-სისხლისგან
დაცლილი მაჯები...

08.08.15წ

***

...წამოვიწყებდი მსოფლიო ომებს,
შენ მოგიძღვნიდი პირველი ყოვლის,
ამ ქარტეხილებს რავუყო თორემ-
ბრძოლისთვის შენი არყოფნაც მყოფნის!!!

***

...მე ვარ თამამი, ვარ თავნება,
თუნდაც თავხედი...
ასე ვგანგაშობ,
ასე ვიბრძვი
რაც შენ წახვედი...
ვარ მოყოლილი შტორმებსა და ნიაღვარებში,
ასე არ უნდა წასულიყავ–
ან მე გაგეშვი!..
რადგანაც ვხედავ, უკვე მიჭერს მთელი სამყარო,
ტყემლის კვირტივით დამებერა ყველა აორტა,
ძლივს გიპოვე და მიმატოვე სულის სადარო
და ამჯერადაც ყველაფერი ისევ აგორდა–
ცოდვა ცოდვაზე გავამრავლე
ცოდვის ტოლობით,
ყველას ვუამბე ყველაფერი, არგამოკლებით,
ასეთიც უნდა გყვარებოდი, უნდა გდომოდი,
რატომ ვამტკიცებ, რომ მიყვარხარ, თავგამოდებით?!
რა ძალა ადგას, და მეც ვითხოვ
მქონდეს შენდობა,
ვიცი ტკივილი მოგაყენეთ მტერს თუ მოყვარეს,
მაინც ვიტოვებ თავხედობას მერქვას თავნება,
ერთი მებადა ჩემდაწილად
ესეც მომპარეთ!..

12.03.16წ

ჩემს არგაჩენილს შვილს

„ნინა”
მე შენ არ მყავხარ, მე შენ არ მგავხარ,
 მაგრამ ისე დიდი საერთო ჩვენში,
რომ ეს მსგავსება ჭკუიდან შემშლის.
შენი თითები; რბილი ფაფუკი,
შენი თვალები- სუფთა, ანკარა,
ხვეულ კულულზე თმისსამაგრს ვხედავ
ჭიამაია გაზის პატარა.
მე შენ არ მყავხარ, მაგრამ ....
სულ დაგსდევ ხელჩაკიდული გატარებ მინდვრად,
ხშირად მისხლტები ბორძიკ ნაბიჯით უახლოვდები გაღე
ბულ ჭიშკარს...
მობრუნებული ისევ ტაატით
ხელებგაშლილი მორბიხარ ჩემსკენ,
 მერე იხრები, ნელა იხრები,
ასე გზადაგზა აგროვებ კენჭებს.
მე კანზე გკოცნი დედის რძის სუნით რომ გაგჟღენთია,
ბროლის ნამსხვრევა ცრემლებსაც ვხედავ
თვალი უპენი რომ გაგვსებია...
მე შენ არ მყავხარ, მაგრამ ისე ამავსო შენმა კისკისმა,
ისე გამათბო, გული ისე გამილღო მკერდში,
 რომ უშენობას და შენს მოგონილ ბედს აღარ ვერჩი.
იცი,სახელიც კი შეგირჩიე ვარდო და ია-
მამას უნდოდა და ასე გაჩნდი წარმოსახვაში შავტუხა ნინა.
მე შემ არ მყავხარ, მაგრამ ისე დიდია სურვილი ჩემი-
 მე შენ გიპოვე, მე მოვალ შენთა,
რომ შემეწიროს სიცოცხლის დღენი.

19.01.2013.

***

ზეცის კაბადონს მოსწყდა უკვე ჩემი ვარსკვლავი,
აღარაფერი დამრჩენია სასიხარულო...
გზები დამთავრდა...და შენ აბა საით მასწავლი?...
ეს ასეა და გევედრები -„არიხმაურო”...

ნინოს...

...ვერ მივეცემი ფუჭ იმედებს ჩემო ნინია,
ახლა ორმაგად მეფიქრება მე ეს საწუთრო,
როცა ცხოვრების ყველა წამი გამოთვლილია,
ნუ გაიკვირვებ თუ სევდებმა მძლიოს აწუფრო!..
ვიცი, მე და შენ იმდენჯერ და ისე გვატკინეს,
დროა შევხედოთ ალიონზე ახალ ქიმერებს,
იღბალი ალბათ არცერთ ჯერზე აღარ გვატირებს
და ჩვენი გედი სიკვდილამდე ერთს კვლავ იმღერებს...
ვიცი და მჯერა...მაგრამ მაინც დრონი ჩქარობენ,
ეჰ, რა უხამსად მოიტოვეს ჩვენი წარსული!..
მაგათ რაუჭირთ წლები დარდთან ურჩად ზაობენ,
ჩვენ კი კვლავ შტორმში მოყოლილი ფონს არ გასული-
ვეძებთ და ვეძებთ ღიმილების რამე საბაბებს,
რომ დავიფინოთ ზღვაცრემლნადენ სევდის ბაგეზე,
ღმერთს ვეკითხები-ეს ცრემლები ნეტა სადამდე?
და ახლა თავის წინააღმდეგ თავსვე ვაქეზებ.
ო, არა, არა, არ გამომდის ასე ნინია,
ქარმაც რა ურცხვად მომიხურა ყველა დარაბა.
ვდგავარ მიჯნაზე ქარტეხილის და მეშინია,
გახსოვს, ქრისტეს რომ ამჯობინა ხალმა ბარაბა?!.
ჰოდა, მე ახლა დაგირღვიე ყველა პირობა,
ვერ გიმეგზურე, მოწმე არის ჩემი გამჩენი,
ვერ ვიღიმილე, როცა ჩემი წამი ტიროდა
და ამიტომაც დავრჩი ასე სევდანამჩნევი!!!

17.05.17...

***

შენი თითების სითბოს ვიზოგავ,
ვით უდაბნოში წყალს ბედუინი!
და ახლა ვგავარ ბილიკს ჯაგნარში,
დიდხანს რომ კაფეს და მიატოვეს!!

გივიწყებ

...მივდივარ უგულოდ, არ მინდა მოგხედო,
გიტოვებ ოცნებებს- ახდენილს არასდროს...
ფიქრს ისევ რძისფერი ნისლები მოედო
და ჩემში მარტივით, მარტივად აღარ თოვს...
გივიწყებ, მივდივარ და არც კი გაბედო,
რომ მოწვდეს შენი ხმა შორეულ ტრამალებს,
შენ იყავ სიზმრიდან მოსული საბედო,
და ისევ წახვიდე კი არ გთხოვ-გავალებ!
და ვიწყებ ცხოვრების მოხატვას ზეცაზე,
მხოლოდღა სიცოცხლის კაშკაშა ფერებით,
მე სიყვარულისთვის ბევრ რამეს ვეცადე,
შენ კი ბედს ჩაბარდი აწეულ ხელებით...
ამიტომც მივდივარ და მისხალ სინანულს,
არ ვტოვებ ძველ სკივრში ჩაკეტილ ხსოვნაშიც,
მე განთიადების შევხვდები სიხარულს,
ერთხელაც ჩემს აფრებს თამამად მეც ავშლი...

30.06.17

***

...ხომ გაფრთხილებდი, ჩემს გულის კარებს,
ნურასოდეს ნუ მოესაზღვრები,-
თორემ ხომ ხედავ, ამოგიჩემე,
ვერ მაკავებენ ვერსით საზღვრები!..

მომიახლოვდი

...გაჩაჩხული ვარ წარსულსა და მომავალს შორის,
აწმყოც კი ასე გამეჩხირა თვალს და ხელს შუა...
ყველა სინაზე სადღაც მრჩება ძალიან შორით,
ახლა წყენების და წუწუნის ადგილი თუა?!
მხარზე შემიდგამს მოთმინების კოკა პირსავსე,
ჯერგაუხედნავ ულაყივთ მივსდევ ჯაგნარებს,
ბგერაში ასოს არ გპატიობს ბედი იმწამსვე,
გაჩენასა და არსებობას ერთად განანებს!..
განცალკევებით, ობოლივით ვდგავარ მინდორში,

მოშიშვლებული სივრცეთი და იდუმალებით...
ცხოვრებაც ასე მაჟორიდან მიმყავს მინორში,
ხვალეს კი ისევ ველოდები დამდუმარებით!..
გახლეჩილი ვარ წარსულსა და მომავალს შორის,
აწმყოსაც ფეხი აუცურდა გადასაჩეხად...
მომიახლოვდი, ნუ განმიდექ-ვით უცხომ შორით
და მომეხმარე ნაგვემ სულის გადასარჩენად!!!

01.10.15წ

***

...მზე ნისლებში ბანაობს და
აღავლინეს მთებმაც ლოცვა,
არასოდეს წავიქცევი,
სიამაყედ მყავხარ, როცა....

ვაჟის ეპილოგი

ვუძღვნი - (შენ ჩემგან და მას შენგან)
...გზრდიდი საჩემოდ...
სკოლის ეზოში გადაჯეკნილ ბილიკს დავდევდი,
და შენს ნაწნავზე თეთრი პეპელასავით ფრთაფარფატა ბა-
ფთის ვიყავ მდევარი...
და დროს ვატევდი-
პირველი გაკვეთილის ზარიდან დაწყებული
ბოლო გაკვეთილის ზარამდე...
წუთებს მივდენიდი და მინდოდა დროსთვის დრო მომეპა-
რა,
შენი ბავშვობა ქალად რომ გადამექცია...
ზლაზვნით იხევდა კალენდარი დღეების ფურცლებს...
სკოლის ეზოში გაბნეულ
ჭადრის გაყვითლებულ ფოთლებს ვგონებ
რაც მიყვარდი
მესამედ ეწვია თოვლი...
და შენს პატარა ნეფეხურების ვიწყებდი დათვლას...
მეოთხედ გამიზაფხულდა ზამთარი მახსოვს-
სწორედ მაგ დროს მოსტეხეს ჩემს აპრილს ტოტი...
და გაგიყენა ცხოვრებამ სხვა გზით,
სხვა აღმართებით,

ზღვა სიმძიმით და
იმ სხვასთან ერთად...
შენ სხვისი გერქვა...
(არადა რამდენი ხანი გზრდიდი საჩემოდ)...
მერე კი ვინ იცის როდემდე დავყვებოდი ისევ იმ გადაჯეკ-
ნილ ბილიკს სკოლის ეზოში,
და შენ გეძებდი-
ჭრელი, მუხლებამდე გეტრებითა და წაბლისფერ თმებში
ჩამაგრებული ფრთაფარფატა ქათქათა ბაფთით...
...არადა, საჩემოდ გზრდიდი...

31.01.18

თანდათან

...უმიზეზო მიზეზებს, მოთვლი ახლა რაოდენს.
რას დავეძებ მთის იქით-თუნდაც ქარი ბღაოდეს!
უბილეთო მგზავრივით, დავუყვები ვაგონებს,
ეს სადგური რატომღაც, პირველ კოცნას მაგონებს...
ზუზუნ, ზუზუნ, ზუზუნში-(ქარის)ვეღარაფერს გაგონებ...
მე შაში, შენ დუშაში და კამათლებს ვაგორებთ...
რა ხანია ამ ჩემს „ქვას" ბედი აღმა აგორებს,
მარტოობის წლები კი კვლავ ყალიონს აბოლებს...
წყობა, წყობა, თანწყობით, მიცურავენ ტივები
ამდენ გაქცევ-გაქცევით, ავიტკივე წვივები,
ქოლგა მაინც მქონოდა, თავშესაფრად, იმედად,
შემოდგომა მოსულა ჯერი უწყვეტ წვიმების...
მერეც ჩამომიბარდნის უკაცრიელ სიშორით,
თავს მორგებულ სათვალეს ვეღარსაით ვიშოვი,
შვილიშვილიც ვერ მკითხავს-რას ეძებო ბებია?-
რადგან მასთან ცხოვრება ბედით აღარ მრგებია...
ვისიც გინდა იყავი, მაინც შენ ერთს მოგიხმობ,
ერთი სულს ამოთქმით მთელს ცხოვრებას მოგითხრობ...
ალბათ მინდა, მიტომაც, მაგ მიზეზებს ვიჯერებ
და თანდათან ვეჩვევი, მარტოობის სიბერეს!!!

27.09.17წ
„ფაზარა"

***

...მოხვედი,არ ვიცი საიდან,
ჩემს ფიქრებს შეხსენი საკინძე,
სიზმრები არიე თავიდან,
სიმშვიდე სად ქონდათ,ან კიდე-
წახვედი საითკენ არ ვიცი,
იქნებ და მთებშიაც გადადი...
იმ კოცნას წამისწამ განვიცდი,
მოვდივარ, გაშალე ნაბადი!!!

05.07.17

***

...უნამუსოთა ადგილი სად მაქვს,
ჩემს გულში არის ერთის სავანე...
მილიონობით ცოცხალთა სამარხს,
მივამიწგვამე შენი სამარეც!!!

***

ეხლა უმზეოთი გახდა მზიანეთი...
ეხლა დაისეტყვა ჩვენი გვირილები...
ღამემ ჩაანაცვლა ჩემი დღიანეთი...
ცრემლით დანამულა ჩემი ღიმილეთი...
უკვე მეშინია ისრის მონაცვლების–
წამებს პაკიპუკით დროდ რომ მოიტოვებს...
დღესვე მენატრები იმ დიდ მონატრებით,
ხვალ რომ უშენობის ცრემლად მოითოვებს...
ვეღარ გადავირბენ ველებს ნაღმიანებს,
ვიცი, შენ გაწერე ჩემი განაჩენი...
სიყვარულს გავედრებ ასე ნაგვიანებს,
თორემ მე ჯანდაბას...და სხვა დანარჩენიც!..
ღმერთო, როდის იყო ასე გვიმეტებდი,
ნუთუ ჩემს აპრილებს სუსხი მოერია?!
ჩვენი მომავალის შორი იმედები,
ატმის ყვავილობას ისევ მოელიან...

02.10.2014
03:23სთ.

***

მეც მინდა ვგავდე ყვავილებს მინდვრის,
გულისპირს მინდა წვიმა მილბობდეს...
გვირილა რისთვის არავარ,მიკვირს-
ამაზე მეტი რაღა მინდიდეს...

***

...ყველა ჩვენთაგანია ეს ხარი და ყველანი ვართ ამ ხარ-
ში, რომელსაც საქართველო ქვია სახელად...

***

„ჩვენ ახლა ვგავართ იმ დაჭრილ ხარებს,
აკრძალულ ტყეებს გარს რომ უვლიან”

***

გასხვისდი ჩემო ნიკორავ,
ახლა სხვა გაბამს უღელში,
იყო და არა იყო რა,
მე რითი მოგცე ნუგეში(?)
შენი ნახნავი ყანები,
უცხომ უგულოდ გადახნა,
რაც იძულებით წახვედი,
თავს ათასი რამ გადაგხვდა:
შენგან ნაძოვი მინდვრები,
მოძოვა სხვისმა ნახირმა,
ტყეში ქორბუდა ირმები,
გარეკა უცხო ნადირმა...
რით განუგეში ნიკორა,
სხვის უღელში ხარ გაბმული,
კავკასიონის ქედზეა,
ამირან ისევ დაბმული...
შენ რომ წინ ბალღი გიძღოდა,
უცხოეთშია მსახურად,
შენთვის ომში რომ იბრძოდა,
მიწამ ის გული დახურა...
შენ რომ ქალაი გივლიდა,
სხვას დაფოფინებს, დაჰხარის,
რხევით რომ ამოივლიდა
და გულს მოკლავდა იმ ხარის-

დღეს რომ გროშებზე გაყიდეს,
გულს რომ შანთებით დაღავენ,
ყასბის ჩანგალზე გაკიდეს
და ასე ციცხლად მარხავენ...
რით დაგიამო იარა,
ტკივილო ჩემო მარადის,
წარსულიც ასე იყო რა-
დიდგორისა თუ მარაბდის,
(ყველა შენს ომში იბრძოდა...)
ახლა რას დამსგავსებია,
შენი სახე და იერი?
სახლიკაცების „მეიდანს"
მასპინძლობს გადამთიელი...
რაც თუ რამ სისხლი გდენია,
სამშობლოს საკურთხეველთან,
შენი საუფლო გენია,
შენი ავღამის მთეველთა-
ხელშია, უკვე რაღა დროს,
საშველი ნეტავ საით არს?
ღმერთო, უშველე ნიკორას
და გამოსტაცე შაითანს...

ღმერთო,უშველე ნიკორას!..

02.05.18წ

„ბერმუხელის" სათქმელი

...დამიწვეს ფუძე, მჩეხეს ხმლით და მმუსრეს მახვილით,
მამა-პაპათა სამარხებზე დოღი გამართეს,
სად და რამდენჯერ არ გამყიდეს, არ გამიმეტეს,
მაგრამ მთავარი სული მაინც ვერსით წამართვეს!..
დღესაც მაჩნია, მოურჩენლად სულის ჭრილობა,
ვერ მოვიშუშე სამასი წლის დაღი, იარა,
ჩემო სამშობლოვ არ ვიყავი გადამთიელი
ყველა ტკივილმა კაკალ გულზე გადამიარა.
თავში ვიდექი მომხდურთან და ვცემდი საკადრისს-
პასუხს, და დღესაც აქვე არის ჩემი ადგილი,
ასეც იქნება ღმერთმა უწყის ალბათ სადამდის(?)
შენი შვილობა როდი არის კარგო ადვილი...
ვხნავდი, ვთესავდი, ხარაჩისაც მივეცი მხარი,

პურის თავთავიც გამილეწავს ბალღავსე ფარცხით,
შენს უღელს ვზიდავ დღემდე როგორც ნიკორა ხარი,
და არსად მუხლი ჩამიხრია არცერთი მარცხით.
მარჯვენით როცა მაჭახელას მიზანში ვწვრთვნიდი,
მარცხენით ვაზის თოთო ყლორტებს ვუმყნობდი კალამს,
ზოგჯერ ხმადაბლა მაგრამ მაინც შენ გიმღეროდი
და არასდოდეს არ ვუთმობდი მომხდურს შენს ალამს.
მე წარსულიდან მოყოლილი მომაქვს დიდება,
შენი სიცოცხლის ხანგრძლივობის ვზიდე ჭაპანი,
არცერთ ასაკში, არ ვიქნები შესაბრალისი
არცროს ვყოფილვარ:
მხდალი, სუსტი, ანდაც ჯაბანი...
გაუტეხელმა მოვიტანე უბით სანთელი,
დღემდე მარჯვენით მოფარულად პირჯვარს ვისახავ,
ყელზე ბურთივით მადგას წყენის ყველა სათქმელი
და შინაგანი გამძლეობით გულში ვიმარხავ...
ძლივს მიგნებული დედის კალთას ვებღაუჭები,
მე ობლობაში კვერის ცხობას ველოდე დიდხანს,
ვდგავარ კართან და ვებრძოლები ბედს გაურჩდბით,
როგორც შუბლის ძარღვს ვიშველიებ უდრეკელ ხიხანს.
ვცეკვავდი უწინმც, ახლა უფრო გავშალე მხრები,
ჩემო სამშობლოვ მერდინად კი მხურავს შენი ცა,
ჩვენა ვართ შენი, ფესვმაგარი ურყევი მთები,
ქრისტეს მცნებანი ხომ გახსოვს, რომ ჩემით შეიცან...
ათიათასჯერ რომ დამჭირდეს სიკვდილი შენთვის,
გახსოვდეს კვლავაც ამ გულმკერდით გავკვეთ სამყაროს,
სისხლის დუღილი შენს აორტას ჭოროხად ერთვის,
არ მეგულება ქვეყნად ძალა ისევ გაგვყაროს!!!

28.05.18წ

***

...ღამემ დამმართა თეთრი სახადი,
ქარიც კივილით დაყვება ქუჩებს...
ჩემს სიყვარულის გადასახადი-
დღესაც ვალად აქვს შენს ლამაზ ტუჩებს...

***

...არც პირველი ვარ უბედური ამაქვეყნისა,
არც უკანასკნელს დაითვლიან ჩემის სახელით...
რამდენი დღეა გათენება აღარ მეღირსა,
ო,სადაცაა ჩაიწვება ბოლო სანთელიც!!!

***

ქარიანი წვიმები
ისევ მარტო ვარ, გარეთ ქრის ქარი...
წვიმამ ჩამოწვნა ზეცა ცრემლებით,
კვლავ დახშულია ის ერთი კარი
და მე კი ლოდინს თავზე ვევლები.
გარეთ პირქუში ღამე ბატონობს,
ოთახში ნაღვენთ სანთელს მივაგენ
და მოლოდინი ისევ მარტოობს,
შორს კი ოცნების რაშებს მივაფრენ...
ვზივარ და ისევ სატკივრებს ვრითმავ,
მაგრამ გამგონი არ მყავს არავინ...
კაცის ცხოვრება სალხინოდ ვინ თქვა
ყველას აქვს თავის დელგმის კარავი.
მალე სასთუმალს დავუთმობ სიზმრებს,
იქაც გამტანჯავს ლოდინი ალბათ
და მარტოობის ქარიან წვიმებს
მხრებზე მოვაცვამ ცრემლიან ნაბადს.

21.06.2012.

***

მე მოგიტანე-ზღვა თაკარად ჩემი ვნებები
და მარტოობით გაწელილი სევდის წუთები...
ფიქრით, გონებით, სურვილითაც ახლა გნებდები,
მაგრამ ამას გთხოვ, ნურასოდეს ჩამეხუტები!

შენი თვალების ბინადარი

...მსურს იძულებით დავატყვევო ჩემივე თავში,
ეს უსასრულო თანაწყობა სურვილებისა...
და მე ვოცნებობ, დავიმალო შენს ქუთუთოში...
და ყოველ დახრილ თვალის ჩრდილქვეშ გავუჩინარდე...
მინდა მაგ თვალებს, დიდრონსა და ბევრისმთქმელ თვა-
ლებს,
შევერიო და სევდისფერად დავუბინადრდე...
ყოველ ხამხამზე, გატრუნული თვალის კიდესთან,
სიყვარულის და მზესთან ცქერის ნაოჭად გაჩნდე...
მე რომ მე ვიყო; გუშინც, დღესაც და ხვალაც ასეთი
და არსად მქონდეს საფარი და ღამე სათევი,
შენს თვალის ფერში დავიდებდი ბინას მერმისად,
შენს თვალის ფერში, თუკი ნახვა ისევ მეღირსა!..
...და მეძალება ექსტაზი სივრცეთა შთანთქვის,
ახლა სურვილიც უმკაცრესად გავასამართლე...
მსურს შენს თვალებში დავივანო, ისევ დავინთქა
და სამუდამოდ მანდ დავიდო ჩემი სავანე...
...მოვერიე და დავატყვევე ჩემსავე თავში,
ეს უსასრულო თანაწყობა სურვილებისა...
...და მეძალები-ტკივილად და ცრემლად ქცეული,
ვზივარ და ბარათს,ბარათზე ვწერ შენთვის,ეული!!!
„რიცხვი საშინელი,სახელად ოცდაერთი”

01.2015წ

***

მგზავრი სადგურზე
ჩაიარა ეშელონმა რიხინით და
გაიყოლა კადრები და სიყმაწვილე,
აღარ დარჩა არაფერი იმ ჟინიდან-
გზაზე წლებმა ნელნელა რომ ინაწილეს...
უსასრულო ლიანდაგებს აყოლილი
აირეკლა მოგონება ალქაჯივით...
დარჩა ისე, ვით არავინ, არყოლილი
და ტილოზე არშემდგარი ნახატივით!
მერე როგორც უბილეთო მოგზაური,
შეატოვა უცხო ბაქანს ბედისწრამ...

დარჩა ისე ვითარც თოვლში მოლაღური,
ვით მაისში სადღაც ტოვებს გველი პერანგს!
სადგური კი ჩამოხეულ აბრასავით-
წარსულის რომ შერჩენია მხოლოდ ზარი,
არსაითკენ მისამართს რომ არ გასწავლის,
მაგრამ მისი არსად არის შესადარი-
რადგან უკვე შეჩვევია ამ სადგურს და...
შორეული მატარებლის კივილები
ყურში ისევ ექოსავით ჩაძახიან
და თან სდევენ მარტოობის ტკივილები.
ბაქანზე კი გატეხილი ციფერბლატის
ისრის წყობა უსასრულოდ დაქანაობს...
გაუთეთრდა მოგონებებს ბილიკები...
და რეისი-„სიყვარული", სულ ამაოდ!

01.03.2015წ

***

...ისევ იმ გზებით სამსახურში დავალ ჩვეულად,
სამრეკლოდან კი ისევ რეკენ ცისკრის ზარები...
და ახლა ჩვენი მისამართი არის შვეულად
და ამჯერადაც მხოლოდ უფალს დავენანები...
უშენოდ, ცალად, ოღონდ ისევ თავაწეული-
დავალ და უკან ზურგს მიმაგრებ, როგორც კედელი...
ჩვენს განვლილ საგას შეინახავს ათასწლეული,
შენახარ ჩემი - დღის და ღამის ურჩი მხლებელი!

26.07.2015წ

***

არა, მე ახლა დავარღვიე ათივე მცნება,
მეთერთმეტესაც დავარღვევდი რომ ყოფილიყო...
მე ვერაფერი მივაგენი შენს იქეთ ჯერაც
ისევ დავეძებ კირითხურო საშენ მასალას...
კვლავ მიამიტი ბავშვიით ყველაფრის მჯერა
და ერთგულების კვლავ ვიწყვიტავ სულის სამსალას...
ვეღარაფერსაც ვერ მივაგნებ შენს იქეთ აწი
და დაუნდობელ წარსულს ვატან მოდურ ბარათებს...
ნაირფერადი ზაფხული და...მე მაინც მაწვიმს
წერილს კი ისევ უქუჩსახელოდ ვამისამართებ..
ადრესატს შენი ძვალთსამარხი ქვია სახელად!

02.07.15

***

...არაფერიც არ მინდა,
აღარაფერს დავეძებ...
ამიხირდი თავიდან,
ვრაფერსაც მახვედრებ.
ნუთუ ასე დანებდი-
ბედო, ბედის მარწუხებს?
არაფერიც არ მტკკივა,
არაფერიც მაწუხებს.
ტკივილებით დამიწყე,
ვაი-ვიშით მამთავრებ,
სიხარული მავიწყე,
ჯერ დღეს რატომ მაღამებ?..
აღარ გისმენ იცოდე,
აღარ გემორჩილები!
საკმარისზე მეტია
სულში შენი ჩრდილები...
აიყარე სამყოფი,
სხვა მიზნისკენ გასწიე.
წილზე მეტი სამყოფი-
სიკვდილები მაწნვიე...
იქნებ ჩამომეცალო,
მე უბედოს ბედისა,
ერთი გაზაფხულება
სითბო რომ არ მეღირსა...
ჰოდა, აღარ ვაპირებ
გუნდრუკი რომ გიკმიო...
მინდა ამ ჯოჯოხეთში
გზები თავად ვიკვლიო...

30.11.16წ

ნოემბრის დარი

იყო მზიანი დარი ნოემბრის,
გადახვეტილი ეზო-ქუჩები...
ყველა საწილო წყალს რომ მოელის
და რიგი იდგა თუნგის ჭურჭლებით.
სოფლის შუკაში ისხდნენ ქალები
ამბებს ყვებოდნენ მთელი მილეთის ,
ზოგი მართალი-დანაბრალებიც
სოფლის რძლების და გოგო-ბიჭების.
მერე თავში მჯდომს დაუთმეს სიტყვა ,
დინჯად დაიწყო ასაკოვანმა-
„ჩვენი ოჯახის აქ არა ითქვა" -
სხვებს მაგალითი მისცა მხრცოვანმა.
და ასე ერთხმად ალაპარაკდნენ,
თავიანთ ქმრებზე და საწუხარძე,
ლეგა დარდები აღარ დალაგდნენ ,
ვიღაც ჩიოდა პაპას ბუხარზე.
ახლა შვილებზეც მიდგა ჯერი და
უმალ სატკივრებს შემოაღამდა
ყველა იქებდა თავის გენით და
დედების სითბო რაღაც ზღვას გავდა.
სტუდენტი ყავდა ერთს ქალიშვილი,
მეორეს ბიჭი საზღვრებს იცავდა,
ჩინეთში ყავდა ერთს თვისი შვილი
„მომენატრაო" -ტკბილად კიცხავდა.
იდგა თბილი დღე ნოემბრის დარის
ისხდნენ ქალები სოფლის შუკაში,
ცრემლად ქცეული საბრალო მგზავრი
მივაბიჯებდი მდუმრად ქუჩაში...
და მე ვუსმენდი ჩემის გულის ღელვას ,
ჩემი ტკივილი მე ხომ ვერ გავთქვი...
და , მე შემშურდა, როგორც ქალს-დედას,
ო, როგორ მშურდა იმ წუთას მათი.

17.11.2012

როგორ გვჯეროდა

ვზივარ და ღამეს ვუჯამებ წარსულს,
ხვალ იქნებ სულაც გარდავიცვალო...
შინაგანად კი არადა არ მსურს,
ცოდვგები ისევ გადავითვალო!
უფალი თუკი ინებებს ალბათ,
მეც დავბერდები როგორც წესია
და გავიხსენებ შორეულ ამბავს-
სიყვარულიანს, ლამაზლექსიანს...
რარიგ ვნატრობდით სიბერეს ჩვენსას,
განვლილი წლების ტკბობას ჯეროვნად,
გვეგონა სულ მზე ათბობდა ჩვენ ცას,
დავბერდებოდით როგორ გვჯეროდა.
ახლა კი ვდგავარ წლების მიჯნაზე
და შემოდგომის მზარავს ქარები,
ვიცი შენს გარდა დედამიწაზე,
აწი არავის შევებრალები.„
თუკი უფალი ინებებს ალბათ,
მარტოს მომიწევს სიბერეს ვძლიო
და შორს დარჩენილს შენს ხსოვნას ჭარმაგს,
მოგონენებში კვალდაკვალ ვსდიო!

30.01...

***

დიახ, ოცნებებს გავხედნავ ისევ,
ყველა ჩანაფიქრს აღვირს მივუშვებ ...
მერე მზეც მოვა და გულთან ერთად-
ჩემს შეციებულმ ხელებს მივუშვერ...

***

...ფითრი გადაეკრა ღამის მოლანდებებს,
სადღაც დაჭიხვინებს ცხენი...
ღუზა აუშვიათ უზარმაზარ გემებს,
ვიღაც ყარაჩოღლურს მღერის.
ზეცა მოისარკა, ცისკრის ვარსკვლავია,
ცად რომ აკიაფდა მგონი...
მე კი, არაფერი აღარ მაბადია,
მხოლოდ ვეფერები ლოდინს.

და ეს მოლოდინიც რჩება უსასრულოდ,
და მე მიმატოვა ყველამ...
სულ თუ არავინ და სულ თუ არაფერი,
ჩემთან მოლოდინი რჩება!..

***

წლების მელოდიას უკრავს როიალი,
წვიმა მინას მისდევს ისევ მგლოვიარე...
შენი ხასიათი, ასე უცნაური-
ასე უსასრულო, რომ ვერ მოვიარე...

***

..მერე დღეები ალაგმავენ ვნებების გიზგიზს,
დრო გაგვიყოლებს ერთმანეთის დაუკუთხავად...
ბედი ზურგსუკან მოგვაყოლებს ქარების ქირქილს
და მე დავრჩები, როგორც წიგნი, წაუკუთხავად...

ქარი აშარი...

...კვლავ მოეხეტა საიდანაც ქარი აშარი,
მთებს წააკრიფა ბავშვობის ნატერფალები,
წამოეშალნენ ცას ნისლები, როგორც ამქარნი,
და წარსულიდან მიყურებენ ჩემი თვალები...
ეს ქარიც კიდე ამბავთ ხროვას ყურით მომითრევს,
რა საჭიროა, მილეთის და სხივისი ვიცოდე?
ერთგულ ძაღლივით,მ თვარე კართან ღამეს მომითევს,
(ღამის და მთვარის მიჯნურობით მინდა ვიწვოდე)...
მოურიდებლად მიმტვრევს ისევ ქარი დარაბებს,
კარგა ხანია დავუხურე სარკმელს ფარდები...
ეს დღეებია ჩემი ბედი შენც არ გადარდებს
და ამიტომაც ამ ჯერზედაც ღამეს ვბარდები...
არა ,რა უცებ წამოკრიფა ნაფეხურები-
ქარმა, წაიღო, გაუფინა უვალ ალაგებს,
და ჩემს ნეკროლოგს ვწერდე თითქოს, არ გეხუმრები,
წლებს და თარიღებს, კვლავ ავყია ქარი ალაგებს...

13.08.17

...არწივთა საბუდარია...

...წამო ნატრიავ, მთას მივცეთ,
ჩვენი გული და მარჯვენი,
ჯაბან არ დავრჩეთ არვისზე,
ვიყოთ გამრჯე და მარჯვენი...
კოშკებ კარები შევუღოთ,
კვამლ ავადინოთ ბუხრებში,
ნიშას უღელში ვეუღლოთ,
არ მოვისუსტოთ მუხლებში...
ცხორ ვიყოლიოთ ბლომადა,
ცხენის ჯოგ, მურა ძაღლებიც,
ღმერთმა სამოთხე მოგვმადლა,
შემოვიკრიბოთ მძახლებიც...
და არც წაწლობა ვიგუოთ,
ისედამც მცირედ დავრჩენით,
ერთურთი ცოლქმრად ვიგულოთ,
კურთხევას მოგვცემს გამჩენი...
მერე ვამრავლოთ „ლეკვები"
ციხე-კოშკების პატრონად,
ხევისბერ აღარ გვჭირიყო,
ღმერთი გვყოლოდეს ბატონად...
არ მოგვეშალოს არასდროს,
არწივთა საბუდარია,
მთიდან ყმუილით დაგვეცვას,
სამშობლო სანუკვარია...

12.08.17...
0108 სთ..
„მთა-თეთრობი"

ნუ...

...ნუ დამიძახებ, არ ფიქრობ რომ დაგაგვიანდა?-
ჩემს ტერფებს აჩნდეს უსასრულო გზები სავალი...
ეს მარტოობა წესი ყოფილა ადამიანთა,
რასაც არსაით არ ჰქონია გამოსავალი!
ნუ დამპირდები, რომ ოდესღაც მოხვალ ჩემთან და,
პეშვით ამივსებ მოლოდინის დამშრალ მდინარეს,
სად იყავ მაშინ, ბედს თუ ოდეს ასე ეწადა,

ურჯულოსავით რომ გამაკრეს ყველა მინარეთს?!.
და ვერც „ჯვარისად”ვივარგე და ასე ზეზეურ,
ჯორდანოსავით ცეცხლს მიუგდეს ჩემი სხეული,
მჩეხეს, მარბიეს, დამიტოვეს მაღლით მზე მზეურ
და მკერდზე სისხლით დამაწერეს ათასწლეული!
ნუ, ნუ მიმაჩვევ შებრალებას ან მოლოდინებს,
ისედაც ბევრი დავუფეთე ღამეს მუზები,
და განთიადებს, ახალბედებს ვით მოლოგინეს,
შევრჩი ურჩი და უმადური-შვილი უძღები...
ღმერთმა მეწყვილედ მარტოობა მიბედისწერა,
ნუ დამპირდები, ნუ, ნუ იზამ გემუდარები,
გთხოვ შემოდგომებს შემატივე ვით ფოთოლცვენა,
თორემ ამ ჯერზე, უფალსაც არ დავენანები!!!

07.08.17წ

შემოდგომის წვიმები

...ახლა ისე ვუხდები ამ არეულ ამინდებს,
შემოჩვეულ წვიმებს და შემოჩველ ბეღურებს...
შენ მეტყვი, რომ: დაბრუნდი, ნათქვამს ბანზე აგიგდებ
და გულიდან ამოვშლი ყველა შენს ნაფეხურეს...
ახლა ისე მიხდება შემოდგომის წვიმები,
უშენობაც ასეთი, არანაკლებ წვიმაა,
ჯარი ოცნენების და სველი ხეთა მწკრივები,
(რაც წარსულში იყო და ის რაც აწი წინაა...)
მაინც ასე ვიჩემებ, მაინც ასე მგონია,
შემოდგომის წვიმებმა ამისხეულსისლხორცეს,
ამიტომაც სულში მაქვს ახლა ეს აგონია,
ხატების წინ დამუხლულ გულში რომ აქვს იმ მლოცველს-
სიყვარულზე მარადის არაფრის რომ არ სჯერა...
ეს წვიმებიც ამ გრძნობას ახლა ისე ამშვენებს,
ნუ გადამისხვაფერებ ღმერთო ამ გულისძგერას
და ნურასდროს მომირღვევ უანგაროდ ნაშენებს...

13.11.17..
00:55სთ.

უიშვიათესი ლეგენდა

...ჰო, შენ ახლაც მოხვალ შორეული მონატრებიდან
და შენეული უშიშრობით გადმოივლი-ზვრებს, მინდვრე-
ბს,ტყეებს,
აბობოქრებულ ზღვებს და დათოვლილ ქედებს...
შენ გადმოივლი უმკაცრეს, გათოშილი ზამთრის დღეებით
და ჩემს გულს ისევ მოაფიცხებ შენს ფაფუკ ხელებს-
განა იმიტომ, რომ შენი ძალა აჩვენო ვინმეს?..
განა იმიტომ, რომ ხმის ჩახლეჩამდე,გამაყრუებლად მეძა-
ხო ისევ -
ვით ფურირებს ხარი მყვირალობისას მთის ფერდობებზე...
არა,იმიტომ რომ დადგე ჩემს წინ და უბრალოდ მითხრა
„მოვედი ისევ...“
მე კი იცი რომ იგივეს გეტყვი-
სად არ გეძებდი, როცა შენ არც კი იცოდი ჩემი სახელი,
გვარი, არც მისამართი...
მე კი შენი არსებობის აღარ მჯეროდა, სწორედ მაშინ დაუ-
წერელი მომივიდა მე ის ბარათი...
მაინც გეძებდი, ყველასთან, ყველგან-
უმისამართოდ, უსახელგავროდ...
ვსდიე ტრამალებს,ზამთრებს, მაისებს, სადღაც სიღრმეში
განა თამამად?!
ბევრგან დავეცი, ჩემი ცრემლი წვიმად ვაქციე და ყველა
ჭირის სუფრას ვყავდი უცვლელ თამადად...
რამდენის გულთან ჩამუხლული გამტეხვია ძილის ყულაბა...
ო, რამდენისგან ხელნაკრავი დავკარგულვარ უცხო მხარე
ში....
მაინც გეძებდი, არ დავნებდი იღბალს დამცინავს, რადგან
მეპოვე ხელი ჩაგევლო და არსად გაეგშვი!!!
ჰო, შენ ახლაც ისე გადმოივლი გახურებული მზით დაზაფ-
რულ წვიმიან ქუჩებს,
ყველაფერს მკითხავ დაწვრილებით, მაგრამ პასუხს არ
მომთხოვ
და საოცარი გულწრფელობით, პირველყოფილი თოვლის
სისპეტაკით შემახებ ტუჩებს-
თვალის უპეში ტკივილის ცრემლებს და უშენობით ნაგრო-
ვებ წვიმის წვეთებს შენ ამომიშრობ....
შენც რომ ჩემსავით მოგეძებნე-მთებში ან მდინარის პი
რას, ჩვენს შორის მგონი ეს უცხო წლები და შუალედი არ

იქნებოდა...
მე იმ დაკარგულ ყველა წუთს და წამებს დავსტირი...
ადრე გეძებნე საყვედურიც არ მეთქმებოდა...
და მაინც მჯერა, მაშინაც კი გესმოდა ჩემი, როცა ჩემი მისამართიც კი არ იცოდი,
მე კი ორ კოცონზე-რეალობისა და გამოგონილით ჩუმად ვიწვოდი...
და იმ ორის ცხოვრებაში, სადაც მეგონა რომ მართლა ვცხოვრობდი,
მაგნიტივით ვიყავი მიწეპებული და მიუხედავად იმისა,
რომ არ ვიცოდი შენი არც ქუჩა, არც მისამართი და არც სახლი...
ზოგადად შენი არსებობის არც კი მჯეროდა, მაინც შენსკენ ვილტვოდი...
ჰო, შენ ისევ გამოარღვევ სიცივის კედლებს,
შენს მარტოობას დაუწყვილებ ჩემს სიმარტოვეს..
მერე ჩემს გულზე მოიფიცხებ შენს ლამაზ ხელებს
და დამპირდები, რომ არასდროს არ მიმატოვებ...
მეტყვი-სულელო, მეც შენსავით გეძებდი ყველგან
და შენს გარეშე ნაცხოვრები იყო მცდელობა....
შენ ჩემი სულის ნახევარი რომ სადღაც იყავი,
ყოველთვის ვგრძნობდი და ჩემი სიმარტოვე მუდამ გელოდა...
მეც ხომ შენსავით გავიარე ბევრი ტრამალი
გზაზე მეგზურად ვინ არ და... ვინ არ მყოლია,
მაგრამ არვისთან, არასოდეს მსგავსი უბრალოება ასეთი
გრძნობა სამყოფელი არსად მქონია...
მე კი ისევ გულუბრყვილოდ, დახარბებული, შენს საოცარ სიტყვათა კორიანტელში
ლოდინად და მოგონებად ჩამელევა უშენოდ ვიცი ეს წლები,
მე დავატარებ ორ სიცოცხლეს, ასე- ამჯერად...
ჩვენ უყოყმანოდ დავანგრიეთ დოგმის კედელი
 და მე და შენ ისევ უიშვიათეს ლეგენდად ვრჩებით!

16.07.15წ

აჭარული სალაღობო

...მე შენ კოცნა მოგპარევი,
შენი ტუჩის სიმსხო და...
ნეტაი ჰაიდან მოვდიოდი,
ნეტაი ჰიმთკენ მიმქონდა?!
განა რამე ხეირი დამრჩა,
ერთწამალაი დევბენი...
სინდისის და ვნების კართან-
ქვეყნის ცოდვა დევდევი!
მადლი გამჩენს, ამდენ თმენის!
დერდი გულზე მეხვევა..
პაწაი ოქში თუ არ ვქენი-
ილაქი დემერხევა!!!

***

ნისლი მიყვარს ნისლისფერი,
ზღვაა და ზღვისფერი,
მწვანე, ლურჯი, ფოთლისფერი,
ამფერი დ იმფრი.
მთები მიყვარს ტყის ბალანით,
და ჯიხური ჭალებით,
ბაბას იეილა- ჯარგვალით და,
მოფუსფუსე ქალებით.
დიდი ნენეი ფეშტამლით და,
ანაი ჭადის კვერებით,
დასირმული აკვანით და,
 დედის თბილი ცრემლებით.
მე ცა მიყვარს ცისფერი და,
ცივტბის წყაროს წკანწკარი,
მიმდვრად წოლა ნისლების და
ჩიორების თვალთვალი.
კვარის სუნი საჭილიას,
ღობეყელას ციყვები,
არ მაძლევენ მოსვენებას,
წასულ წლების ფიქრები.
მე ის გოგო უფრო მიყვარს,

ცისფერ სარაფანაში,
მკერდზე ნაწნავგადმოყრილი,
ბილაჯოხას თამაშით.
მერე დაქალებული და
შეფაკლული ღაწვებით,
ატმის კვირტად აკოკრილი,
სუფთა, სუფთა თვალებით.
ჰოდა, გული რომ ივსება,
დარდითა და იჭვებით,
გავურბივარ ყველაფერს და
მასთან ვრჩები ფიქრებით.
რა ტკბილია მოგონება,
ნენეს, მთების, მინდვრების,
უსულ-უსულ გამეპარა,
ბარიჭოლოს ნისლები...

გამოდევნება ბავშვობასთან

დედემ აპეურები,
გამუუკოჭა ალმასას,
სამსმელოს ტყის კატრებში,
მზემ სხივები დანაცრა.
მეჯიდემოს ვაკეშე,
ცხვარი დაფაჩუნობდა,
ღელის პირას დიდ სოჭთან
ციყვი დაფაჩუნობდა.
სარძიეში კარგდალით
დათუხთუხებს ნაღები,
მატყლის წინდის ქსოვაში,
გართულიყვენ ქალები.
გამეიქეცი ნენულავ,
ხბომ გატეხა მესერი,
მეზობელმა გინებით
ამოგიმსო მეზერი.
მზე გედევდა ვერნებში,
და „იქინდიც“ მუაწევს,
დედეიც დაბრუნდება და
ერთი სადილს ნუ აჭმევ.
დაგაკუწრებს „გეჩმიშებს”

ჩუმად აგასლუკუნებს,
მემრე ნუღა ბეჩდები,
მემრე ნუღარ კუკუნებ.
ალთუნასაც მუუჭარ,
სამფურცელაი ბალახი,
მიალ-მუალურწუკე,
მიალგე ჯალაბი.
თვარა ჩემი იმედი,
ზოვლი გულში არც გქონდეს,
ვერც ბორანოს შევწვავ და
ვერც დიგიგვი ახორებს.
ვითომ წუხელ სიზმარში,
სარეკელას დავრბოდი,
უჩუმალაი „ჰულიედ“
ჩემ ბაღნობას ვნატრობდი.
ჭალა-ჭალა ვესხრიკე,
მიტოვებულ ბაღნობას,
უწიწარმა გემექცა და
ღობეყელას გარბოდა.
მუსტაღია გევფიქრე-
ადრე არდა გემეშვა,
ჩემ ოცნების აფრები,
მაღლა არდა ემეშვა.
ახლა რაღა დროისა,
სიმწრით წელში მევსხრიკე,
ეჰ,რატყვილაი ბაღვობას-
ჭალა-ჭალა ვესხრიკე!..
ხელში შემრჩა ნაბევი,
ქალი ინადიანი,
წლების მოტრიალება
დამრჩა ზოვლი გვიანი!

სარჩევი

ავტობიოგრაფიის დანართი..... 7
...ჰო..... 7
გარდაცვალება..... 11
დედასფერი..... 15
მისმინე ადამიანო..... 17
მაპატიე..... 19
დამბურეს ჩალმის სარქმელი..... 21
...და შენც წახვედი ისევე როგორც ის..... 22
ღამის სუდარა..... 24
...ისევ სიმარტოვე... ისევ უშენობა... ისევ კუნაპეტი ღამე... 25
შვილს..... 25
დრო დადგა ჩემი ხმის ამაღლების..... 26
სოფელს მოდარაჯობდა..... 28
შეხვედრა წარსულთან..... 29
მთების ხიზანი..... 30
გაღმითა ნაპირი..... 33
ბადრის სიზმარი..... 37
დაბრუნება..... 39
დედას..... 40
ღალატისფერი იდგა ამინდი..... 41
დადუ..... 42
მე გამათხოვეს..... 43
ანდერძი ნატალი სხალთელს..... 45
არ მაპატიეს..... 47

ასე თენდებოდა მთებში..... 50
ზვარაკი..... 51
წამო..... 53
იამურ..... 54
(აბდაუბდა)..... 55
ემიგრანტებს..... 57
„მელანია”..... 62
წერილი შვილს..... 63
„აჯანყდა და მტერი ხოცა...”..... 65

ჩემი სულის ტკივილებს, ჩემს შვილებს..... 67
(გია ქურიძეს)..... 68
„ბედობა“..... 70
ერთხელ არაღდგომით..... 71
ჯანდაბას..... 73
ნაზმანევი პაემანი..... 76
არადა..... 76
მომავლის ძალა..... 80
მარტოობაა ჩემი მეწყვილე..... 82
ჩემი ავან-სცე-ნა..... 83
შემომიყვარდი..... 88
ზღვისფერი სურვილი..... 89
ესა-მესა, გადის ისა..... 89
დედის ტკივილი..... 90
ნათიას..... 91
ვიდრემდის..... 91
დაბრუნება..... 94
ვიდრე..... 95
ისევ თქვენ..... 96
რეზიკოს..... 97
ჩვენი საგა..... 98
რამეგაზაფხულება..... 99
სიცოცხლის ნანგრევი..... 100
თეთრი ზმანება..... 100
...პაპ - პუპ..... 103
ემიგრაციაში მიმავალი ქალის წერილი სამშობლოს!!!... 105
აჰა..... 108
ნათიას..... 110
ბედის ირონია..... 110
რეზიკოს..... 118
ჩემს არგაჩენილ შვილს..... 122
ნინოს..... 123
მომიახლოვდი..... 124
ვაჟის ეპილოგი..... 125
თანდათან..... 126
„ბერმუხელის” სათქმელი..... 129
შენი თვალების ბინადარი..... 132
ნოემბრის დარი..... 135
როგორ გვჯეროდა..... 136
ქარი აშარი..... 137
...არწივთა საბუდარია..... 138

ნუ..... 138
შემოდგომის წვიმები..... 139
უიშვიათესი ლეგენდა..... 140
აჭარული სალაღობო..... 142
გამოდევნება ბავშვობასთან..... 143

ნანა ნანო შაინიძე